# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 26 (320) ფასი 30 თეთრი


## ყოველ შაბათს: «არილი» ლიტერატურული გაზეთი «კავკასიონში»


არილი

მე, შენ და ყვითელი ჯუჯა

ნუგზარ შატაიძის ახალი მოთხრობა

«ორეჯერ დამხრჩვალი»

### პოზიცია

## გრაჩოვის თხოვნა

„თუ ქართული და აფხაზური მხარეების მოლაპარაკებები კონფლიქტის დარეგულირების შესახებ უშედეგოდ დამთავრდება, მე თხოვნით მივმართავ პრეზიდენტსა და ფედერაციის საბჭოს, რათა კონფლიქტის ზონიდან გამოყვანილ იქნას სამშვიდობო ჯარები, რადგან მათი იქ ყოფნის დრო გავიდა და პირადად მე ვადის გაგრძელებას არ ვაპირებ", — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა რუსეთის ფედერაციის სამხედროთა პროფკავშირების მეორე სხდომაზე. გრაჩოვი მიიჩნევს, რომ აფხაზთა მიერ შემოთავაზებული ხელშეკრულება საქართველოსთვის მიუღებელია და ყველაფერი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მიდის. „ეს კი დაუშვებელია", — დასძინა მან.




## შეასრულებენ სიტყვას?

აფხაზებმა განაცხადეს, რომ საქართველოს მხარეს მძევლებს დაუბრუნებენ. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ზუგდიდში, ენგურის ხიდთან, ოთხმხრივი შეხვედრის დროს, რომელიც გაეროს სამხედრო მეთვალყურეების მისიის ხელმძღვანელის, გენერალ პერ კასტრემის შუამდგომლობით მიმდინარეობდა.

### ვიზიტი

## შადმან ვალავი:

„თუ არ მიიღეს კანონი მიწის შესახებ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა აღმასრულებელი საბჭოს სხდომა არ შედგება"

## საქართველო 240 მილიონ დოლარს ელის


იხ. მე-2 გვ.


## აქა ვდგევარ და სხვაგვარად არ ძალმიძს...

მოსკოვში შედგა ორი შეხვედრა ვლადისლავ არძინბასა და რუსეთში საქართველოს ელჩს ვაჟა ლორთქიფანიძეს შორის. პრესკონფერენციაზე ელჩმა განაცხადა, რომ მხარეთა, განსაკუთრებით რუსეთის, ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, ვლადისლავ არძინბას პოზიცია ძირითადად უცვლელი დარჩა. თუმცა, როგორც ვაჟა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, შეინიშნება გარკვეული ძვრებიც. ვლადისლავ არძინბამ კი თავის ბოლო პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ აფხაზეთი თანახმაა, მხოლოდ ჰორიზონტალურ, კონფედერაციულ კავშირზე საქართველოსთან.

## უზბეკეთის ტვირთს — მწვანე შუქი

უზბეკეთი და საქართველო მზად არიან, ხელი მოაწერონ ოქმს ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის ტრანზიტული გადაზიდვების შესახებ. ამის შესახებ ითქვა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის უზბეკეთის ექსპერტების დელეგაციასთან შეხვედრაზე. დელეგაციას ხელმძღვანელობდა სერგეი ვახილენკო. უზბეკეთის ექსპერტები უკვე გაეცნენ ფოთის პორტის საქმიანობას. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ რესპუბლიკაზე გამავალი ყველა ტვირთის უსაფრთხოება გარანტირებულია და ეს გზა იქნება ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის საწინდარი.

## ასოციაცია „თავისუფალი პრესა" აცხადებს

რომ ამიერიდან საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, გარდა რადიო და ტელევიზიით პრესის მიმოხილვებისა (გაზეთები, საინფორმაციო სააგენტოები, ელექტრონულ-კომპიუტერული ფოსტა და სხვა), წერილობითი შეთანხმების გარეშე, ასოციაციის წევრი გაზეთებიდან კატეგორიულად ეკრძალებათ ინფორმაციების, სტატიების, ფოტო და სხვა სახის მასალების როგორც მთლიანი, ისე ნაწილობრივ გამოყენება და გადაბეჭდვა.

აღნიშნული მოთხოვნის უგულვებელყოფის შემთხვევაში, ასოციაცია მიმართავს კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

განცხადებას უერთდება „ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოება".

„არგუმენტი",
„ახალი თაობა",
„დრონი",
„იბერია-ექსპრესი",
„მიმომხილველი",
„რეზონანსი",
„7 დღე",
„ჯორჯიან თაიმსი",
„ალია",
„კავკასიონი"

## ვინ შეჭამა დახმარება?

ცხინვალში, ადგილობრივ ადმინისტრაციასა და მოსახლეობის ნაწილს შორის, დაძაბული ურთიერთობაა. ეს უკანასკნელნი მიიჩნევენ, რომ ადმინისტრაციამ მიითვისა საქველმოქმედო საზოგადოება „კარიტასის" გამოგზავნილი ფული და 26 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი. ტვირთი ადგილზე კი მივიდა, მაგრამ „კარიტასის" წარმომადგენლებმა იგი ვერ აღმოაჩინეს.

## რბოლის ტემპი მატულობს



რეგისტრაციაში გატარდა რუსეთის პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი — კომუნისტების ლიდერი გენადი ზიუგანოვი. კომენტატორების აზრით, მის უკან დგას საკმაოდ ორგანიზებული კომუნისტური პარტია, ხოლო ელცინის უკან — არანაკლებ მძლავრი სახელმწიფო აპარატი „რუსეთი ჩვენი სახლია"-ს სახით. გარდა ამისა, ჩუბაისმა და ფილატოვმა, რომელთაც ცოტა ხნის წინ საკმაოდ მაღალი პოსტები ეკავათ სახელმწიფო იერარქიაში, განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ ახლანდელ პრეზიდენტს.



## რესპუბლიკელ კანდიდატთა დებატები ნიუ-ჰემპშირში



ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება წინასაარჩევნო კამპანია. ნიუ-ჰემპშირში ჩატარდა დებატები პრეზიდენტობის რვა კანდიდატს შორის, რომლებმაც გამოხატეს თავიანთი პოზიციები სხვადასხვა საკითხებზე. მათ შორის თუმცა კორექტული, მაგრამ


იხ. მე-3 გვ.


### უცნაური წყვილები



## ქალების სწრაფვა ახალგაზრდა მამაკაცებისათვის




იხ. მე-6 გვ.

### ვიზიტი

## შადმან ვალავი:

„თუ არ მიიღეს კანონი მიწის შესახებ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა აღმასრულებელი საბჭოს სხდომა არ შედგება"

# საქართველო 240 მილიონ დოლარს ელის

საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეორე ევროპული დეპარტამენტის სამხრეთის რეგიონის მენეჯერი შადმან ვალავი. გუშინ შადმან ვალავი შეხვდა საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლებს. შეხვედრაზე განიხილეს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგიერთი ასპექტი, იმსჯელეს მიწის კანონპროექტზე, რომელიც პარლამენტმა, არა უგვიანეს, თებერვლის ბოლოს უნდა დაამტკიცოს.

შადმან ვალავიმ ისაუბრა საქართველოში მიმდინარე იმ დადებით ეკონომიკურ ძვრებზე, რომელიც აშკარად განასხვავებს სამიოთხი წლისწინანდელ, ეკონომიკური კატასტროფის პირას მყოფ ქვეყანას დღევანდლისგან. მისი თქმით, საგრძნობლად გაუმჯობესდა ფინანსთა სამინისტროს მუშაობა, შედარებით მოწესრიგდა საგადასახადო სისტემა, განხორციელდა ფასების ლიბერალიზაცია. ერთი სიტყვით, საქართველოს მხარემ გაითვალისწინა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც საქართველოსთვის საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ დახმარებას უზრუნველყოფს.

მან აღნიშნა, რომ ახალი პროგრამა — ისააფის დახმარების პროგრამა, რომელიც საქართველოსთვის 1996-98 წლებში გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტის გამოყოფას ითვალისწინებს, საგრძნობლად წაადგება საქართველოს ეკონომიკას და მოსახლეობა შვებით ამოისუნთქავს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არ შესრულებულა საქართველოს მხარისთვის წაყენებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა, რამაც ხელი შეუშალა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა აღმასრულებელი საბჭოს სხდომის დროულად მოწვევას, რომელმაც უნდა განიხილოს ისააფის პროგრამა და გამოყოს გრძელვადიანი სესხი საქართველოსთვის. პროგრამით გათვალისწინებულია 240 მილიონი დოლარის ოდენობის სესხის გამოყოფა. უკვე მიმდინარე წელს საქართველო 80 მილიონ დოლარს მიიღებს, საიდანაც 60 მილიონი დოლარი ქვეყანაში ფინანსურ სტაბილიზაციას და საგარეო ვალების ნაწილობრივ დაფარვას მოხმარდება. ისააფის პროგრამის განხორციელებისთვის კი აუცილებელია, რომ საქართველოს მხარემ პროგრამით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა შეასრულოს. მართალია, პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტი, მაგრამ ჯერჯერობით არაა მიღებული კანონი მიწის შესახებ, რაც პროგრამის დროულად განხორციელებას აფერხებს.

„თუ პარლამენტმა თებერვლის ბოლომდე არ მიიღო კანონი მიწის შესახებ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა აღმასრულებელი საბჭოს სხდომა არ შედგება", — განაცხადა შადმან ვალავიმ და იქვე დასძინა, რომ თუ საქართველო დროულად ვერ დაფარავს საგარეო ვალებს, ეს მძიმედ დააწვება ეკონომიკის წინსვლას და ქვეყანას ფინანსურ კატასტროფამდე მიიყვანს.

ვალავის განმარტებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები არ ითვალისწინებდა ნავთობპროდუქტებზე საგადასახადო რეჟიმის შემოღებას. „ბენზინზე ფიქსირებული გადასახადის შემოღებით ქვეყნის ბიუჯეტს დიდი ზარალი არ მოელის, ამდენად, ჩვენ შევთანხმდით ბენზინზე ფიქსირებულ გადასახადზე", — ბრძანა შადმან ვალავიმ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო მოსახლეობისთვის ხელფასების და პენსიების მომატებასაც. შადმან ვალავიმ აღნიშნა, რომ ხელფასების და პენსიების მომატება მხოლოდ განვითარებული მრეწველობის ფონზეა შესაძლებელი. მართალია, თებერვლიდან ხალხს ხელფასები მოემატა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოსახლეობას მდგომარეობა ოდნავ მაინც შეუმსუბუქდა. თუმცა, ბატონ ვალავიმ ეჭვი გამოთქვა, რომ საქართველოში დღეს 16 ლარზე ვინმე ცხოვრობდეს — თუნდაც ჩვენ, დარბაზში მსხდომნიო. ალბათ, სწორედ ამიტომაცაა, რომ სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, ეკონომიკის რომელ სფეროსაც არ უნდა შეეხებოდეს, ქართველი ხალხის „უჩინმაჩინობასაც" ითვალისწინებს.

შადმან ვალავის ვიზიტი საქართველოში გრძელდება.

დიანა გაბროშვილი

### საქართველოში

## საპროტესტო აქცია პარლამენტთან

გუშინ, 11.00 საათისთვის საქართველოს პარლამენტის შენობასთან დაახლოებით 600 ქალმა მოაწყო საპროტესტო აქცია, რომელთაც, მერიის გადაწყვეტილებით, „გარე ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით", არ აძლევენ ვაგზლის მოედნის ტერიტორიაზე ვაჭრობის უფლებას. აღსანიშნავია, რომ აქციის მონაწილეთა უმრავლესობას აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობა შეადგენდა. საპროტესტო აქციის მონაწილეებს არ მიეცათ შენობაში შესვლის საშუალება, პოლიციის ნაწილებმა ოპერატიულად გადაკეტეს გზები და დაშალეს აქციის მონაწილენი. მათი ძირითადი მოთხოვნებია — ნებართვა ქუჩაში ვაჭრობაზე, აფხაზეთში დაბრუნება, პურზე და ელექტროენერგიაზე ფასების მომატების შეჩერება. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში აქციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ოფიციალურ ბაზრობებზე ვაჭრობის შემთხვევაში ყოველდღიური გადასახადია 7 ლარი, რისი გადახდაც მათი ფინანსური მდგომარეობის პირობებში შეუძლებელია. ისინი, ასევე მოითხოვენ ფაბრიკა-ქარხნების ამუშავებას. ასეთ შემთხვევაში, მათი თქმით, ისინი სიამოვნებით იმუშავებდნენ და აღარ ივაჭრებდნენ ქუჩაში. აქციის მონაწილეთა განმარტებით, მათი ყოველდღიური შემოსავალი 2-3 ლარს არ აღემატება. აქციის მონაწილეებს მთავრობის წარმომადგენელთაგან არავინ შეხვედრია.

იპრინდა

## წითელი ჯვარი — სამიტის შედეგების კონტროლიორი

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია შეხვდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქართველოს მისიის ახალ ხელმძღვანელს ივ დაკორს. ისაუბრეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობის შესახებ კონფლიქტის ზონაში. ივ დაკორის თქმით, ბოლო დროს აფხაზეთში, კრიმინოგენული სიტუაციის მკვეთრ გაუარესებასთან დაკავშირებით, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ არა მხოლოდ იქ დარჩენილი ქართველები, არამედ რუსებიც. შეხვედრის დასასრულს ვ. ყოლბაიამ სთხოვა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელს, დაიცვას სამიტის ხელშეკრულების პირობები, კერძოდ, რეგულარულად აცნობოს საქართველოს მთავრობას მათ მიერ აფხაზეთში ჩატანილი ჰუმანიტარული ტვირთების რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ.

## კრიმინალური ქრონიკა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) პრესცენტრის ცნობით, მცხეთა-თიანეთის შსს-ს რეგიონალური სამმართველოს ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილებისა და საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა ნატახტარის საგუშაგოსთან გააჩერეს 4 ავტომანქანა „კამაზი". როგორც წინასწარი მონაცემებით გაირკვა, აღნიშნული მანქანებით, შესაბამისი საბუთების გარეშე, წალვერიდან თბილისში გადმოჰქონდათ 95 კუბური მეტრი დამუშავებული ხის მასალა. მიმდინარეობს გამოძიება.

იპრინდა

### ამბები საზღვარგარეთ

## ელცინის ვიზიტი ურალის მხარეში

გრძელდება რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ვიზიტი ურა-
ლის რეგიონში. იგი ჩავიდა ჩელიაბინსკში, სადაც განსაკუთრებით და-
ინტერესდა სამხედრო წარმოებაში შექმნილი სიტუაციით. სამხრეთ ურა-
ლის საქმიან წრეებთან შეხვედრისას კი ყურადღება გაამახვილა სოფ...
მეურნეობის პრობლემატიკაზე და აღნიშნა, რომ უკვე გაიცა განკარგუ...
ბა, შემუშავდეს მიწის შესახებ ბრძანებულების პროექტი. ელცინი შეხვ...
აგრეთვე, საოლქო, საქალაქო და რაიონული ადმინისტრაციების ხელმძ...
ვანელებს, ეწვია მსხვილ სამრეწველო ობიექტებს. შეხვედრებზე ...
ხაზგასმით თქვა: „16 ივნისს გადაწყდება, როგორი გზით წავა ეკონო...
კური რეფორმები რუსეთში და როგორ იმოძრავებს კაპიტალი – რუს...
თიდან თუ რუსეთისკენ".

## ელცინი ჩეჩნეთიდან ჯარის გაყვანის შესახებ

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ჩელიაბინსკში განაცხა...
რომ დაიწყება ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან ფედერალური ჯარების გამ...
ვანა. „თუ დუდაევის მომხრენი არ დამშვიდდებიან, ჯარებს ისევ დავაბრ...
ნებთ", – თქვა მან. იტარ-ტასის ცნობით, ელცინმა ისიც დასძინა, რ...
ჩეჩნეთიდან ჯარების სრულმა გამოყვანამ, შეიძლება, კონფლიქტის ჩრდ...
ლოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებში გავრცელება გამოიწვიოს.

## გროზნოს ცენტრი სახეს შეიცვლის

ხუთშაბათს გროზნოში ააფეთქეს პრეზიდენტის სასახლე, ვინაი...
ტექნიკურად შეუძლებელი აღმოჩნდა მისი შეკეთება-რესტავრაცია. რუ...
სეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მის ადგილზე ჩეჩ...
დედაქალაქის ადმინისტრაციული ცენტრის აშენება. ზოგიერთი მიმ...
ლველის აზრით კი, ეს აქტი უკავშირდება ჩეჩნების განზრახვას, 23 ...
რვალს, დეპორტაციის დღესთან დაკავშირებით, ჩაატარონ გრანდ...
ლი მიტინგი, რომელშიც, სავარაუდოდ, 80 ათასამდე კაცი მიიღებს ...
წილეობას. ისინი აპირებენ ეს დღე გლოვის დღედ გამოაცხადონ.

## პრინციპი: «ყველა – ყველაზე»

გუშინ ჩეჩნეთში გრძელდებოდა მოლაპარაკება 12 ნოემბრიდან ...
მილიციელის გათავისუფლების თაობაზე. ჩეჩენი მებრძოლები მოით...
ივივე მძევლების გაცვლა მოხდეს პრინციპით: „ყველა – ყველა...

„ვესტის" ვერსიით, მოლაპარაკება, ალბათ, წარმატებით დამთავრდე-
ბა, რადგან რუსეთის გენერალურმა პროკურორმა რადუევის დაჯგუფ...
წევრების ამნისტია გამოაცხადა.

## რუსი პარლამენტარები ბოსნიაში ჩადენილ დანაშაულებებზე მსჯელობენ

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრების აზრით, სერბიე...
ოფიცრების დაპატიმრება სხვა არაფერია, თუ არა პროვოკაცია, რომე...
მაც თავის მხრივ შეიძლება, შეაფერხოს კონფლიქტის მშვიდობიანი მო...
წესრიგება. იტარ-ტასის ცნობით, რუსი პარლამენტარები არ ეწინააღმდე...
გებიან იმათ დასჯას, ვინც ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე სამხ...
დრო დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ, მიაჩნიათ, რომ ასეთი ფაქტების განხ...
ლვას ცალმხრივი და სუბიექტური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. სათათბი...
როს წარმომადგენლები ოფიცრების დაკავებას უკანონოდ მიიჩნევენ ...
მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ. ითქვა, ისიც, რომ უ...
დროა, შეწყდეს ეკონომიკური სანქციები ყოფილი იუგოსლავიის წინაა...
მდეგ.

რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება, ამ საკითხთან დაკავშირებ...
რუს პარლამენტარებს არ მიუღიათ.

## მოლაპარაკებები მკვლელობის ფონზე

ამხაბადში გრძელდება მოლაპარაკება ტაჯიკეთის დაპირისპირებ...
მხარეებს შორის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე. ამასობაში ტ...
ჯიკეთის ისლამური ოპოზიციის მებრძოლებმა მანქანაში ჩაცხრილ...
უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთი რაიონული განყოფილების უ...
როსი. ორი თანამშრომელი დაიჭრა.

## ცვლილებები რუსეთის ტელევიზიის ხელმძღვანელობაში

რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ბრძანებულებით, რუსეთ...
სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანიის ხელმძღვანელი პოპცოვი გათა...
სუფლდა თანამდებობიდან. მის ნაცვლად ამ პოსტზე ედუარდ საგალ...
დაინიშნა. პროგრამა „ვესტის" ცნობით, ამ შემთხვევაში
საქმე ეხება არა მხოლოდ ხელმძღვანელის, არამედ
მთლიანად სატელევიზიო არხების მუშაობის სპეციფი-
კის შეცვლას.

# [რ]ესპუბლიკელ კანდიდატთა დებატები ნიუ-ჰემპშირში

[illegible]

[...] ჟაბული ბრძოლა [...]ობდა. რვავე კან[...] რესპუბლიკელთა [...]ჭენელია. სხვადას[...]ტებში გამართულ [...] არჩევნებში თუ [...]რიგ კრებებზე [...]ზები და კოკუსე[...] წარმატება არაერ[...]ანია. ლიდერთა [...] გადიან: ბობ [...] დოული, სტივ [...] ფორბსი, პატ (პატ[...]იუკენენი და ლემარ [...]ნდერი.

[...]ები ჩატარდა ნიუ[...]რში პრაიმარიზის (პი[...] არჩევნები) ჩატა[...] ოთხი დღით ადრე. [...]ქსანდერმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ რეკომენდირებულია გამოიყოს დიდი თანხები საზღვრების მაკონტროლებელი სამხედრო სამსახურებისთვის, რათა აღიკვეთოს ნარკოტიკების შემოზიდვა ·სახელმწიფოში და უკანონო ემიგრაცია. მისივე თქმით, მიზანშეწონილია ექსპორტის გაზრდა.



დოულმა კი განაცხადა, რომ არ ეთანხმება ექსპორტის შესახებ ალექსანდერის გამოსვლას, რადგან „როგორც ბიუკენენმაც თქვა, ხალხს ბევრი არაფერი აქვს საექსპორტო".

ფორბსმა ისაუბრა თავისი იდეის შესახებ, რომელიც ხალხის სამედიცინო მომსახურების გადასახადების შემსუბუქებას ითვალისწინებს. ამ იდეამ სხვა კანდიდატებშიც ჰპოვა მხარდაჭერა. ფორბსმა საკუთარი გამოცდილებით იცის, რომ ხალხის დახმარებას ამ სფეროში ბევრი დადებითი შედეგი მოაქვს. მაგალითად, მან ცადა თავისი ჟურნალის თანამშრომელთათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯთა შემცირება და ამით მათ დიდი დახმარება გაუწია.

ფორბსაც და ალექსანდერსაც მთელი ძალ-ღონე უნდა ეხმარათ, რომ როგორმე დასწეოდნენ ბობ დოულსა და პატ ბიუკენენს, რომლებიც ნიუ-ჰემპშირის დებატებამდე პირველ და მეორე ადგილებზე ლიდერობდნენ.

პრეზიდენტობის კანდიდატებმა ისაუბრეს ეკონომიკურ რეფორმებზე. კერძოდ, დიდი ყურადღება დაუთმეს ვაჭრობის დარგში გადასახადების შემცირების პრობლემას.

კანდიდატთა შემდგომი შეხვედრა მომავალ სამშაბათს გაიმართება.

## [პრ]ეზიდენტს კორუფციაში სდებენ ბრალს

[...]ქსიკის გენერალურმა პროკურორმა ქვეყნის პრეზი[...] ოფიციალურად დასდო ბრალი კორუფციაში. გენერალუ[რ]მა [პრ]ოკურორმა წარმოადგინა დოკუმენტები, ვიდეომასალა, [რომელი]ც ადასტურებს, რომ პრეზიდენტმა 1994 წელს, წინასა[არჩევნო] კამპანიის წარმართვისთვის ნარკომაფიისგან მიიღო და[ახლოებით] 6 მილიონი დოლარი. თავად პრეზიდენტი ბრალდებას [უარყოფ]ს.

## [იმ]ედი თითქმის აღარ არის

[...]კულად, არანაირი იმედი აღარ დარჩა, იაპონიის [...]კაიდოზე, გვირაბში ცოცხლად დამარხული 20 ადა[მიანი გადა]რჩენისა. მიუხედავად ამისა, სამაშველო სამუშაო[ები გრძე]ლდება. გუშინ სპეციალური აპარატით პოლიციამ [...] ჩამოწოლილ ნაწილს მიაყურადა. არანაირი ნიშანი [...]ის ქვეშ ცოცხალ ადამიანთა ყოფნისა არ დაფიქსი[რებულა]. სამაშველო სამუშაოები ძალზე ნელა მიიწევს წინ, [...]ფლისა და გვირაბის სხვა ადგილას ჩამონგრევის საში[შროების] გამო. ამიტომ სპეციალური ტექნიკის ხმარება თით[ქმის გა]მორიცხულია და მუშაობა ძირითადად ხელით ხდება. [...], რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებთ გვირაბში ჩარჩე[ნილთა ნ]ათესავებს, რომლებიც გათხრების სწრაფად წარმოე[ბას მოით]ხოვენ.

## [ეს]პანეთი არჩევნების წინ

[ესპა]ნეთში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ დაიღუ[პა ესპანეთ]ის კონსტიტუციური ტრიბუნალის ყოფილი თავმჯდომა[რე. მა]დრიდში, ათასობით მოქალაქემ, მათ შორის პრემიერმინი[სტრმა ფე]ლიპე გონსალესმა, პატივი მიაგო მის ხსოვნას. გაიმა[რთა პ]როტესტო აქცია, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ [იყო მიმა]რთული. 3 მარტს ესპანეთში საპარლამენტო არჩევნები [ჩა]ტარდება. ასე რომ, მისი ფონი მთლად მშვიდი არ არის.



## იუგოსლავური სამიტი

კვირის ბოლოს რომში დაიწყება ყოფილი იუგოსლავიის სამი რესპუბლიკის პრეზიდენტების — სლობოდან მილოშევიჩის, ალია იზეტბეგოვიჩისა და ფრანიო ტუჯმანის მოლაპარაკება.



ისინი განიხილავენ დეიტონის შეთანხმების მიმდინარეობას, რომელიც ბოსნიის არმიის ორი ოფიცრის დაპატიმრებისა და ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალისთვის მათი გადაცემის შემდეგ ჩიხში მოექცა.

## ბრიტანული იარაღის ექსპორტი ერაყში

დიდ ბრიტანეთში შეშფოთებას იწვევს ერაყისთვის იარაღის მიყიდვის ფაქტის გარშემო წარმოებული საგამოძიებო პროცესი. თითქმის ყველა პარტიის პოლიტიკოსებმა სურვილი გამოთქვეს განეხილათ მოკვლეული მასალები. კონსერვატორთა პარტიის წევრები ორ სამთავრობო მინისტრსა და ოფიციოზის სხვა წარმომადგენლებს 80-იან წლებში ერაყთან იარაღით უკანონო ვაჭრობაში სდებენ ბრალს.



ოპოზიციის ლიდერთა აზრით, ადგილი ჰქონდა იარაღის საიდუმლო ექსპორტს, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მინისტრები. ეს ფაქტი ძირგამომთხრელია ამ მინისტრთა კარიერისთვის და ზოგიერთი ხელისუფლის რეპუტაციისთვის. გამოძიება ადგენს, რომ ერაყს მიყიდეს არა მხოლოდ ავტომატური იარაღი, არამედ მძიმე საბრძოლო ტექნიკაც. გამოძიებას 270-ზე მეტი მოწმე აძლევს ჩვენებას. მათ შორის არიან მარგარეტ ტეტჩერი - დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი და ჯონ მეიჯორი, რომელსაც კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდა ამ საქმის სახით. მას მიაჩნია, რომ ეს გამოძიება დიდ გავლენას მოახდენს მომავალ არჩევნებზე.

## თურქებთან კონფლიქტის გამოძახილი

საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ამერიკის საელჩოს შენობასთან აფეთქდა ბომბი. საბერძნეთის ხელისუფლებმა აფეთქების ორგანიზატორები — ეროვნულ მებრძოლთა ჯგუფი დააკავეს და დააკისრეს პასუხისმგებლობა მომხდარ ფაქტზე. როგორც ჩანს, ისინი საბერძნეთ-თურქეთის ურთიერთობებში აშშ შუამავლობის წინააღმდეგნი არიან.

### მსოფლიო

## ქაბულში ხმაურია

ქაბულში მოხდა ორი ძლიერი აფეთქება. პირველის დროს 60 ადამიანი დაიღუპა. მეორე აფეთქებისას კი ხანძარი გაჩნდა [...] სასახლესა და მის ახლოს მდებარე სასტუმროში. სასახლის დაცვის წარმომადგენლის ცნობით, ხანძრის მიზეზი იყო მოკლე ჩართვა.

## ჩინელებს რაკეტის გაშვება არ სცოდნიათ

ჩინეთში, სიჩუანის პროვინციაში, აფეთქდა კოსმოსური ხომალდი, რომელიც საკომუნიკაციო სატელიტით იყო აღჭურვილი. დაიღუპა ოთხი ადამიანი. როგორც ხელისუფალნი ამბობენ, ვარდა მსხვერპლისა, აფეთქებას მოჰყვა 100-ზე მეტი ადამიანის მსუბუქი დაზიანება ტოქსიკური მავნე ნივთიერებებით.

## ახალი ვერსია?

ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთმა თანამშრომელმა, იტარ-ტასის კორესპონდენტს მოულოდნელი ინ[ფორმაცია] გადასცა. მისი [...]. [...], რომელი[ც] [...] რუსეთის საელჩოში შეიჭრა, [...] და [...]. ეს ინფორმაცია [...] რუსეთის საელჩოს წარმომადგენელმა [...] [...]ლევმა.

## შვიდი წელი საიქიოში

შვიდი წელი კომაში მყოფი ამერიკელი პოლიციელი ჰარი დოკარი გონს მოვიდა. უფრო მეტიც: პროგრესირებადი პნევმანიის გამო მას ოპერაცია გაუკეთეს ფილტვებზე, რასაც მან ვაჟკაცურად გაუძლო. ექიმთა აზრით, მის სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე არ ემუქრება.

## სარკინიგზო ავარიები ამერიკაშიც ხდება

მინესოტას შტატში (აშშ) დიდი სარკინიგზო ავარია მოხდა. 80 კმ/სთ სიჩქარით მიმავალი საბარგო მატარებელი ერთ-ერთი სადგურის მახლობლად რელსებიდან გადავიდა და გაჩერებულ ელმავალს დაეჯახა. 9 ადამიანი ჰოსპიტალში დააწვინეს. მსხვერპლი არ არის.

# ქვეყნის გადარჩენის ნიჭი

(დასაწყისი იხ. № 19, 20)

აჭარაში ინგლისელთა ოკუპაციური რეჟიმის გამგებლობა იმთავითვე უაღრესად საშიშ, ამასთან, მოქნილ მუშაობას ეწეოდა. მას სურდა ინგლისური საოკუპაციო ძალების საფუძვლიანად დამკვიდრება აჭარაში, ამასთან, მტრულად ეკიდებოდა ყოველივე ქართულს. ინგლისელები აჭარას რაცხდნენ რუსეთის განუყოფელ ნაწილად, კუთხის გამგებლობაში შეჰყავდათ, როგორც წესი, რუსები ან რუსული მსოფლმხედველობის სხვა ეროვნების ადამიანები.

ინგლისის საოკუპაციო გამგებლობა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რუსეთის ეროვნულ საბჭოს მისი მიზნების შესრულებისთვის, რომლის საქმიანობის შინაარსი ერთსახოვნად ემსახურებოდა აჭარაში რუსული ძალაუფლების როგორმე გაბატონება-დამკვიდრებას. რუსეთის ეროვნული საბჭო ფართოდ ემყარებოდა ანტიქართულ ძალებს, გამიზნულად იყენებდა კიდეც მათ აჭარაში რუსული ორიენტაციის გამაგრებისთვის და დაჟინებით მიილტვოდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის მოწყობა როგორმე განწირულიყო.

გერმანიის პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, რუსეთის პოლიტიკამ, რამდენადმე სახე იცვალა. უპირველესი მიზანდასახულება გახდა ამიერკავკასიის ხალხთა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მოწყობის ჩაშლა. აჭარამ კი თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით ახალი მნიშვნელობა შეიძინა რუსეთისთვის მისი პოლიტიკური ზრახვების შესრულების საქმეში. ბათუმი იქცა ახევე საყრდენ პუნქტად ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აი, რას წერს მემედ აბაშიძე რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით: „მათი მოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ აჭარა დედა-სამშობლო საქართველოს მოწყვეტილი იყოს, რომ არ გავღონიერდეთ, არ გავძლიერდეთ. მათ კარგად იციან, თუ საქართველოსთან ავტონომიურად გავერთიანდებით, ეს დიდ ძალას მოგვმატებს, მაშინ ვერ დაგვიპყრობენ. მათ სურთ, ჩვენ სუსტები ვიყოთ, რადგან სუსტზე გაბატონება ადვილია". „დიდი დაკვირვება, დიდი წინდახედულება გვმართებს, ამიტომაც სიფრთხილე, სიფრთხილე და სიფრთხილე".

აჭარაში მოქმედი, თავისი ხასიათით მეტად საშიში, პოლიტიკური ორგანიზაცია „სედაი მილეთი" მოითხოვდა აჭარის გაერთიანებას თურქეთთან ავტონომიური უფლებით და ეს იყო ცხრა თოკში გამოვლილი, უაღრესად ფლიდი, გაიძვერული ხერხი, გამოყენებული ხალხის გაბრუების მიზნით. „სედაი მილეთის" ამ უხამს, თავისნება სწრაფვას არაფერი ჰქონდა საერთო ხალხის სურვილთან, ხალხის გულის წადილთან.

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი" წინ აღუდგა „სედაი მილეთის" პანთურქული და პანისლამისტური დაჯგუფებების ამ ვერაგულ მიზნებს, დღის სინათლეზე გამოიტანა მათ მიერ შემოთავაზებული ღია თუ ფარული ხრიკების არსი, ფაქტობრივად, დაანახა ხალხს, რომ აჭარას სამუდამოდ სწირავდნენ დასაღუპად. პანთურქისტული და პანისლამისტური ძალების ამ აკვიატებულ ზრახვებს ბეჯითად ედგა მხარში და თანაც ანტიქართული მუსლიმანური ფანატიზმით შეპყრობილ საქმიანობას ეწეოდა „ბათუმის ისლამური საზოგადოება", რომელსაც პოლიტიკურ და ფინანსურ დახმარებას თურქეთის ხელისუფლება უწევდა. თურქული ავტონომიის პოლიტიკა ყველაზე საშიში, ამასთან ფათერაკიანი, ღალატიანი ფანდი იყო იმ დროისთვის, მით უმეტეს, რომ იგი შენიღბული იყო რელიგიური საბურველით.

იმდენად დიდი იყო ერის კაცების მიერ აჭარაში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თვით მოსახლეობის ლტოლვა დედასაქართველოსკენ, რომ ამდენი ჟამთა სიავით, სოციალური სიდუხჭირითა და პოლიტიკური ბატალიებით მოღლილ-მოქანცული ხალხი, ხმაჩაწყვეტილი მაინც არ იყო. ტარდებოდა არაერთი ღონისძიება, იმართებოდა მიტინგები, სადაც საჯაროდ ცხადდებოდა აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების მოთხოვნები. მაგალითად, გაზეთი „სახალხო საქმე" (№584, 1919 წ.) იუწყებოდა 1919 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარებული მიტინგების სერიის შესახებ. „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" მიერ მარტო ამ ერთი თვის განმავლობაში ორგანიზებული მიტინგების სიაც კი საკმაოდ შთამბეჭდავ სურათს ქმნის.



## რელიგია, ეროვნება და ავტონომიის ზოგიერთი საკითხი

მაგალითად: ქობულეთში ასეთი შეკრება ჩატარებულია 18 ივლისს, ბათუმში — 20 ივლისს, აჭარისწყალზე — 23 ივლისს, ქედაში — 25 ივლისს, ხიჭაურში — 29 ივლისს, ხულოში — 1 აგვისტოს, ბორჩხაში — 8 აგვისტოს. თანაც, ბორჩხაში გათვალისწინებული ყოფილა მთელი ართვინის მცხოვრებთა შეძლებისდაგვარად თავმოყრა.

ამ ყრილობათა მიზანდასახულობას ნათელს ხდის თუნდაც ერთი — ქობულეთის მიტინგის რეზოლუცია, რომელიც მიმართული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარისადმი: „18 ამ თვეს, — ნათქვამია რეზოლუციაში, — დაბა ქობულეთში შეიკრიბა მრავალრიცხოვანი ყრილობა. ქობულეთის უბნის ქართველ მუსლიმანთა ყრილობამ გამოსთქვა მტკიცე სურვილი, რომ სამუსლიმანო საქართველო, როგორც ნაწილი დედასამშობლო საქართველოსი, დღეს უკუღმართი პირობების გამო მისგან ჩამოშორებული, შეუერთდეს ფართო ავტონომიით დედასაქართველოს. ყრილობამ, აგრეთვე, გამოთქვა თავისი ღრმა რწმენა, რომ შორს არაა ეს დიდებული წამი გაერთიანებისა".

გაერთიანების წამი მართლაც არ იყო შორს, მაგრამ ამით როდი წყდებოდა პრობლემა. სანამ არ მოისპობოდა თურქეთის რელიგიური გავლენა, მანამდე თვითდამშვიდების უფლება არავის ჰქონდა. სათქმელად იოლი, მაგრამ ეს პროცესი უაღრესად დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და სიფრთხილესაც მოითხოვდა. საკუთრივ მუსლიმანობის წინააღმდეგ გამოსვლა უაზრობა იყო, ეს თურქეთის წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავდა, რომელიც მაშინვე აღდგებოდა „ერთმორწმუნეთა დასაცავად". პროცესის თვითდინებაზე მიშვებაც არ იქნებოდა გამოსავალი — თურქები გულხელდაკრეფილნი როდი ისხდნენ, აჭარა სავსე იყო ჯაშუშებით და პროპაგანდისტებით.

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა", როგორც ჩანს, გარკვეული გეგმა შეიმუშავა. ამ გეგმაზე ჯერ არავის გაუმახვილებია ყურადღება და მით უფრო საინტერესოა, რომ იგი სრულიად ახალი ასპექტით წარმოაჩენს კომიტეტის მუშაობასაც და მემედ აბაშიძის ბრძნულ, შორს გამიზნულ პოლიტიკას რელიგიასთან მიმართებაში.

1920 წლის გაზაფხულზე სტამბულის ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა ვინმე ახმედ ჯევადის ვრცელი წერილი „მოგზაურობა კავკასიაში". ეს კაცი, შეშფოთებული აქ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით, ძნელი სათქმელია, საკუთარი ინიციატივით, თუ ვისიმე დავალებით, ბათუმში ჩამოსულა და შეხვედრია ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებს, პოლიტიკური ორგანიზაციების ("განმათავისუფლებელი კომიტეტი", „სედაი მილეთი") ხელმძღვანელებს. წერილი იმითაცაა საინტერესო, რომ აქ მოვლენები მოწინააღმდეგის თვალითაა დანახული. ავტორი, თითქოს ცდილობს, ობიექტურ მსაჯულად წარმოადგინოს თავი, მაგრამ უპირატესად აქ მაინც „ტერიტორიების მოსალოდნელი დაკარგვით შეშფოთებული" თურქი ჟურნალისტი ჩანს (წერილის ნაწილი გადმობეჭდა „სახალხო საქმემ", №22, 1920 წ. 8 მაისი). ასე რომ, სტატია მრავალმხრივ საინტერესოა. თუმცა, ჩვენ მხოლოდ ზემოთ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით შევეხებით მას.

მემედ აბაშიძესთან საუბარში, მას შემდეგ, რაც განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ცხადად განუმარტა სტუმარს თავისი მიზანი, სიტყვა სწავლა-განათლებაზე ჩამოვარდნილა. მემედ-ბეგმა, თუმცა სარწმუნოებრივი აღზრდის მომხრედ წარმოადგინა თავი, ახმედ ჯავადის გასაოცრად აღნიშნა, რომ უმჯობესია, ეს სარწმუნოებრივი სწავლება თურქულზე კი არა, არაბულ ენაზე მიმდინარეობდესო, ისევე, როგორც დაღესტანშია, რაც შეეხება თურქულს, თუ მაინცდამაინც, სკოლაში როგორც ერთ-ერთი უცხო ენა, ისე უნდა ისწავლებოდესო.

თურქს, როგორც ჩანს, მწვავედ ეწიშნა ეს ამბავი და მაშინვე საწინააღმდეგო საბუთები დაახვავა: ჯერ ერთი, ბათომს არაბეთთან არც ეკონომიკური, არც სხვა სახის დამოკიდებულება არ აქვს, მეორეც, ბათუმის ოლქში, ძირითადად, მოსახლეობა თურქულად მშვენივრად ლაპარაკობს და საქმის გართულება რა საჭიროაო, მესამეც, — აგერ, აზერბაიჯანმა სტამბულიდან 60 მასწავლებელი გამოიწვია და ბუნებრივია, არც თქვენ დაგტოვებთო უყურადღებოდ. მემედ ბეგის ირონიულ შენიშვნაზე — თავად არ გყოფნით მასწავლებლები, თქვენი სკოლებისთვის 50 ათასამდე მასწავლებელი გჭირდებათ და ჩვენთვის რატომ შეიწუხებთ თავსო: — ახმედ ჯავედმა პასუხად რაღაც მიკიბ-მოკიბა და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

ეს დიალოგი მართლაც საინტერესოა. ნუთუ მართლა თვლიდა მემედ ბეგი, რომ არაბულს უფრო იოლად შეისწავლიდნენ აჭარელი ბავშვები, ან არაბულ ენაზე უფრო სრულყოფილად მიიღებდნენ რელიგიურ ცოდნას? ან რატომ შეწუხდა ასე ძალიან თურქი „მეგობარი"? მე ზემოთ ვახსენე მემედ ბეგის ბრძნული, შორს გამიზნული პოლიტიკა რელიგიასთან მიმართებაში და სხვა საკითხებთან ერთად ეს საუბარიც მაძლევს ამგვარი დასკვნის საფუძველს. თავი და თავი „განმათავისუფლებელი კომიტეტის" თავმჯდომარის პოზიცია ისაა, რომ ახმედ ჯავედის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბათომს არაბეთთან არც ეკონომიკური, არც სოციალური დამოკიდებულება არ აქვს". არაბეთი შორსაა, ეს სიშორე არ მისცემს საშუალებას მისწვდეს ერთმორწმუნეს. თურქეთი კი აქვეა, მეზობლად. ენის ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და სანამ ორივე ქვეყანაში ერთნაირად, ერთსა და იმავე ენაზე იქნება სარწმუნოებრივი აღზრდა, თურქეთი ყოველთვის მოახერხებს, შეინარჩუნოს რელიგიური გავლენა. სწორედ ამ პერსპექტივას ეწინააღმდეგებოდა მემედ აბაშიძე, როცა არაბულს აძლევდა უპირატესობას. მიხვდა თურქი სტუმარი ამ ნაბიჯის მიზანს და ამიტომაც აფორიაქდა ასე ძალიან.

დავუბრუნდეთ სათქმელს, ანტანტის სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დე-
ფაქტოდ აღიარებამ თურქეთის ხელის-
ფლება აიძულა, თავისი პოლიტიკის იე-
სახე გადაესინჯა მოვლენების შესაბამ-
სად, რაც უკვე იძენდა შენიღბულ ელ-
ფერს. ამიტომაც იგი შესაფერისი შენ-
ნარებით მოეკიდა აჭარის თურქულ
ავტონომიის საკითხს. თურქეთის საგარ-
საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ დოკუმ-
ნტში პირდაპირ მითითებულია, „ხსენ-
ბული ოლქების მიერ ავტონომიის მოპ-
ვება ოსმალეთის პოლიტიკური გავლენ-
ფარგლებში შეესაბამება სახელმწიფო
ინტერესებს და ეს საკითხი არსებით-
იმსახურებს ღრმა, ფართო და ყოველმ-
რივ განხილვას".

ცნობილია, რომ მაშინდელ თურქ-
თის იმპერიას თავისი სახელმწიფო მ-
რთველობის პერიოდში არსად, არასოდ-
ერთხელაც არ გამოუყენებია არა
დემოკრატიული მართვა-გამგეობის პრ-
ნციპები, არამედ დემოკრატიის ნიშნებ-
კი. ან როგორ გამოიყენებდა ავტონომი-
პრეცედენტს, როცა თურქეთის იმპერ-
მიტაცებული უცხო ქვეყნების მიწებ-
ნაერთს წარმოადგენდა. ეს ხომ გამორ-
ცხული იყო. თუ არა მემედ აბაშიძე
მისი თანამოხაგრენი, ყველაფერი გეიან
იქნებოდა. მემედ აბაშიძემ ერისკაცო-
ტეირთი ეროვნული გმირის გულითა
გონებით ზიდა და შთამომავლობას
რხეულ ეროვნულ განძად ჩააბარა კიდ-
ერის მთლიანობის აუცილებლობა
მისი დაცვა, ასეთ მომენტში, როდეს-
მიმდინარეობს უცხო სხვადასხვა ძალე-
შეხლა-შემოხლა და უფსკრულისკენ
ჩებიან აჭარას, კიდევ უფრო გაართუ-
იმ გარემოებამ, რომ თავი იჩინა ახა-
მიმართულებამ, რომელიც ითხოვდა
რის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შ-
ნა-გამოცხადებას. ამ წინააღმ-
გობათა გადალახვის მიზნით მ-
აბაშიძე მოითხოვდა მუსლიმან
რთველთა პირველი ყრილობის
ტარებას, რათა მტრისთვის ნა-
თმია სადავეები, ქრისტიან
მაჰმადიან ქართველთა ძმობის
ფუძვლად გამოეცხადებინა ერ-
ნება, ენა და ერთი ისტორია.

ასეთი დღე დადგა, ეს იყო 1
წლის 31 აგვისტო. ყრილობას თავკაც-
ბდა მემედ აბაშიძე. ესწრებოდა
დელეგატი. ასევე, საქართველოს დამ-
ძნებელი კრების წევრები: პ.საყვარელ-
ს.ფირცხალავა და პ.სურგულაძე; საქ-
თველოს კონსული ნ.აღნიაშვილი; აზ-
ბაიჯანის, სპარსეთის, სომხეთის კონ-
ლები, ბათუმის ქართველთა ეროვნ-
საბჭოს თამჯდომარე და სხვები. „ჩ-
სამშობლო ომის შემდეგ კუნძულს
მოადგენდა, — განაცხადა მემედ აბ-
ძემ, — რომელსაც ყველა ეპოტინება
მის ჩაყლაპვას ლამობს. ასეთ გაჭირ-
ბულ დროში არავის ვხედავთ მშველ-
გარდა საქართველოსი, რომელიც,
გორც ყოველთვის, უანგაროდ და თა-
წწირვით ცდილობს ჩვენს დაღუპვ-
გადარჩენას. ჩვენ უნდა დავაფასოთ
და დავემყაროთ მის ძალას და გამო-
ლებას, რადგან ქართველმა ხალხმა
დაანახა ქვეყანას, რომ ის ღირსია მი-
მოპოვებული დამოუკიდებლობისა".
დღეს იგი არა მხოლოდ აჭარის, არ-
მთელი საქართველოს „ისტორ-
დღედ", „წმინდათა წმინდა დღედ" თ-
ამ დღეს ითქვა მთელი სამუსლ-
საქართველოს „გულის ნადები" სი-
ხალხის წარმომადგენელი ყრილობ-
ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილებ-
აჭარა, ბათუმის ოლქი, შეუერთდეს
ბუნებრივ სამშობლოს — საქართვ-
რესპუბლიკას, ფართო ავტონომიის
დაგზე. კერძოდ, საქართველოს დამ-
ნებელი კრების თავმჯდომარისადმი
რთვაში ნათქვამია:

„სამუსლიმანო საქართველოს წა-
მადგენელთა ყრილობა მხურვალე ს-
უძღვნის დედასამშობლო საქართვ-
უზენაეს ნების გამომხატველ დამფ-
ბელ კრებას და მისი ხახით
ქართველ ერს. ყრილობა გამოთ-
თავის ღრმა რწმენას, რომ სამუსლ-
საქართველო, უკუღმართი პირობებ-
მო დღეს მოწყვეტილი თავის დედ-
შობლოს, მალე შეუერთდება მას ფ-
ავტონომიის საფუძველზე. ერთი
ჩვენს განუყრელ ძმებთან, ქართველ-
სტიანებთან, მათი ჭირისა და ლ-
გაყოფა, მათთან სიცოცხლე, მ-
სიკვდილი, — აი, ყრილობის ერთხ-
ვანი გადაწყვეტილება. გაუმარჯო-
ერთიანობას! გაუმარჯოს საქართვ-
დამფუძნებელ კრებას, გაუმარჯოს
სლიმანო საქართველოს ფართო ავ-
მიას დედასამშობლო საქართველოს
გლებში".

ნური ვერ-

# არილი

17 თებერვალი, 1996 წ.



სიმუს ჰინი, ჩრდილოეთ ირლანდიელი პოეტი, დრამატურგი, ესეისტი, ლიტერატორთეორეტიკოსი, 1939 წელს დაიბადა ფარმ-მოსბაუნში (დერის საგრაფო). განათლება ბელფასტის Queens University-ში მიიღო. მისი პირველი პოეტური კრებული. Death of a naturalist, 1966 წელს გამოიცა. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ჰარვარდში, სადაც უძღვებოდა რიტორიკის კათედრას, და ოქსფორდში, პოეტიკის პროფესურის ხელმძღვანელად. გამოქვეყნებული აქვს ოცდაათამდე წიგნი და ნაშრომი — ლექსები, დრამები, ლიტერატურული ეხეები.
...ნამდებარე ლექსი შესულია 1991 წელს გამოცემულ წიგნში, Seeing Things; ლექსი ეძღვნება სასწაულებრივ ჩვენებას, რომელსაც, ლეგენდის მიხედვით, ადგილი ჰქონდა ქლონ-მექნოისის ეკლესიაში.

## ...მუს ჰინი

+ + +

...მატიანე გვამცნობს: როს ტიდი ტაძრის მღვდელმონაზონნი
...მლოცველოში განვიდნენ და ლოცვად დაემხნენ
...ვენათ ხომალდი, ცაში გარჩენილი

...აშვებულ იყო მისი ღუზა გრძელთუგრძელესი. გამოსდებოდა
...კურთხევლის დაბალ მოაჯირს.
...ა მაშინ როცა შეწყდა რხევა ხომალდის ტანის

...ებლაუჭნენ ზღვაოსანნი ღუზის თოკს და ჩამოსრიალდნენ.
...იდხანს ცდილობდნენ აეხსნათ ღუზა.
მაგრამ ამაოდ.
...სრეთ კაცნი ვერ ჰგუობენ ჩვენებრ ყოფას: დაიხრჩობიან''

...ატმა ბრძანა ,,მათ თუ ისევ ჩვენ არ ვუშველეთ''
და ამდაგვარად
...ანი მოკვდნენ, ცარიელი ხომალდი კი ისევ დაიძრა.
...მოიმართნენ ბოლოს კაცნი
...ა სასწაულს აქციეს ზურგი: თითქოსდა მართლა შეიცნეს იგი.

## ...ლევ შესტოვი – 130

### ...მხოლოდ ...რწმენით



შესტოვი თავის პირ...ელ მასწავლებლად შექს...ირს მიიჩნევდა. ჰამლეტის ...რაზა ,,დროთა კავშირი ...აირღვა'', ის ფილოსოფი...ური იმპულსი იყო, რომე...ლმაც იგი ,,წყეული კითხ...ების'' წინაშე დააყენა და ...ამიანური არსებობის პრობლემაზე ჩააფიქრა. ხელგაუტე...ავმა ,,ლიტერატორმა'' თავის თავზე აიღო ,,ნაღრძობი დრო...ის'' მოვლა-პატრონობის პასუხისმგებლობა და ჩათვალა, რომ ...წყეულმა ბედმა სწორედ მას არგუნა დარღვეუ...ლი კავშირის შეკვრა.

VII

პოეზია

## შოთა იათაშვილი

# მე, შენ და ყვითელი ჯუჯა

ნახევარი საათი რომ დააგვიანე,
ქოლგის ქვეშ დავსხედით,
ფინჯანი ყავა დავლიეთ,
სიყვარულზე ვიხითხითეთ.
და როცა ორჯერ დააცემინე,
ერთხელ დაახველე,
კარუსელიდან ჩამოვედით და
გამაცანი შენი მეგობარი ყვითელი ჯუჯა — იქვე
მდგარი,
მას შემდეგ ის კვირაობით მოდის ჩემთან
სტუმრად და
ჭადრაკს მეთამაშება.
ერთ მუშტში თეთრ პაიკს იმწყვდევს,
მეორეში შავს და ხელებს ზურგს უკან მალავს.
თუ თეთრი ფიგურები შემხვდა, უნდა ვიტირო და
თუ შავი, პარკში უნდა წავიდეთ,
შენთან ერთად ქოლგის ქვეშ დავსხდეთ,
ფინჯანი შამპანური დავლიოთ და
სამივემ ერთად
სიყვარულზე ვიხითხითოთ.
ყვითელი ჯუჯა ჩვენი საუკეთესო მეგობარია,
ჩვენ მას ყოველი შეხვედრის შემდეგ ვროზგავთ და
მერე იარებს მაყინიანი ტუჩებით ვუკოცნით.
ყვითელი ჯუჯა ხანდახან ღამღამობითაც გვადგება
ლოგინში და
სასაცილო მითითებებს გვაძლევს.
თუ ჩვენი გენიტალიები სისხლით ივსება და
იბერება,
ჩვენი მეგობარი შავ სათვალეებს იკეთებს და
მორცხვად დაგვცქერის.
მას შეუძლია გვაპატიოს წამიერი სისუსტეები.
მან იცის, რომ არსად გავექცევით.
იცის, კიდევ ბევრჯერ დავსხდებით ერთად
ქოლგის ქვეშ,
ფინჯან ,,კოკა-კოლას'' დავლევთ და
აღგზნებულ გენიტალიებზე ვიხითხითებთ.
1995.



II

# ნუგზარ შატაიძის ახალი მოთხრობა



პროზა



III

## კონკურსი გრძელდება

? შეკითხვა შეკითხვა შეკითხვა შეკითხვა ?

საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსის ლუის კეროლის წიგნის ,,ალისა საოცრებათა ქვეყანაში'' გამოქვეყნებისთანავე საჩუქრად მიართვეს ინგლისის დედოფალს. წიგნით აღტაცებულმა დედოფალმა მოითხოვა, მისთვის ეახლებინათ ამ ავტორის შემდეგი კრებული.

რა ერქვა შემდეგ ნაწარმოებს?



დიოგენე

**გამარჯვებული საჩუქრად მიიღებს შვედი დრამატურგის ავგუსტ სტრინდბერგის წიგნს ,,ზმანება''.**

IV

## ზვიად რატიანი
## ამერიკული ლექსი

VI

## ოდონ ფონ ჰორვათი
## მამაპაპური სიკვდილი

საკვირაო საკითხავი

მცირე დეტექტივი



## ედმუნდ კრისპინი
# «ორჯერ დამხრჩვალი»

VIII

# შოთა იათაშვილი

დაიბადა 1966 წელს. პროფესიით მათემატიკოსია. მუშაობდა სკოლაში, კინოსტუდიაში, ტელევიზიაში, რედაქციებში. 90-იანი წლებიდან ეწევა ლიტერატურულ მოღვაწეობას. მუშაობს პოეზიაში, პროზაში. თარგმნის. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „ანომალური პოეზია" (ავტორთა ჯგუფთან ერთად), „სიკვდილის ფრთები" და „სალეჰი რეზინა". მისი მოთხრობა „ავადმყოფი ქალაქი" („მნათობი" №7-8, 1992 წ.) ითარგმნა რუსულ ენაზე და დაიბეჭდა ჟურნალში „დრუჟბა ნაროდოვ". უკანასკნელ წლებში გამართული ბევრი აქციის და ალტერნატიული ლიტერატურული თავყრილობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილეა. 1994 წლის ოქტომბრიდან თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად ჩამოყალიბებულ პერფორმანსის თეატრშია. არის რედაქტორი გაზეთისა „სერაფიმის თეატრი". მიაჩნია, რომ დღევანდელ საქართველოში:




— ძალიან ცოტაა თანამედროვე მწერალი.

— ლიტერატურაზე ზრუნვა გაიგება როგორც რაღაც მექანიკური და მატერიალისტური რამ და არ არის დაფუძნებული სულიერ ძალისხმევაზე.

— მთლიანობაში ქართული ლიტერატურა არ ცდილობს საკუთარი თავის გაცნობიერებას, მეტიც, მაქსიმალურად მოწადინებულია თავიდან აირიდოს და გადაწიოს ეს პროცესი, რაც ნიშნავს, რომ ის არ ზრუნავს საკუთარ თავზე. აქედან გამომდინარე, აბსურდია ზრუნვის მოთხოვნა გარედან, სახელმწიფო იქნება ეს, კერძო სტრუქტურები თუ კერძო პირები.



— შექმნილ მდგომარეობას ბურჯად უდგას დამკვიდრებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ერთხელ უკვე აღიარებული ავტორის ყოველი მომდევნო ნაწარმოები „კარგი" და „საუკეთესოა". ლიტერატურულ კრიტიკაში ანალიზი ჩანაცვლებულია ცარიელი პათოსით ან ქილიკით.

— მკითხველი ინტუიციურად გრძნობს ლიტერატორთა დიდი ნაწილის ინერციულობას და ქართული ლიტერატურის მომავლისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, რაც შესაბამისად იწვევს მის გულგრილობასაც.

— ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნომერ პირველი პრობლემაა დღევანდელმა ქართულმა ლიტერატურამ გადალახოს „სირაქლემას სინდრომი", ამისათვის კი საჭიროა დაიწყოს გლობალური და საქმიანი პოლემიკა.

— თუ ეს არ მოხდა, ძალიან მალე შეიძლება გაჩნდეს ტენდენცია [...] კვლავ იდეოლოგიურ მარწუხებში მოქცევისა სახელმწიფოს მხრიდან, [...] „ზრუნვის" საგნად აქცევს იმას, რაც თავად არ ზრუნავს საკუთარ [...]

შოთა იათაშვილი ამ თეზისებს თვლის შეკითხვებად და ამ [...] მიმართავს ყველა ქართველ მწერალს.

## სიმშვიდის ზღვა. 20 ივლისი. 1969 წელი

ამ დღეს ამერიკელი ასტრონავტები ნარმსტრონგი და ეოლდრინი მთვარის ზედაპირზე დაეშვნენ. ეს იყო ადამიანის პირველი დღე მთვარეზე, ხოლო ადგილს, სადაც ისინი დასხდნენ, ერქვა სიმშვიდის ზღვა.

ბალახებში სხედან ისინი
ერმანეთს მხრებით ეხებიან
კომშის ხეს ეყუდებიან

ვილაც დადის მთვარეზე

მუჭში ახველებს
გოგოს გადახედავს
უღიმის

ვილაც დადის მთვარეზე
ფრთხილად
ფრთხილად ადგამს მსუბუქ ნაბიჯებს

ისინი სხედან ბალახებში
ერთმანეთს უყურებენ
და მთვარეს
ხანდახან ერთმანეთს ხელს ხელზე კიდებენ

ვილაც დადის მთვარეზე
გრუნტს დაჰყურებს
გული უცემს გამალებით

და ისინი ხეს ეყუდებიან
ერთმანეთს სხეულებს უსინჯავენ
ხმადაბლა ლაპარაკობენ

შორიდან ნაბიჯების ხმა ისმის
ვილაც დადის მთვარეზე
გრუნტს დაჰყურებს
ხანდახან აიხედავს
იქ სადაც სახლი ეგულება

ისინი მალე სახლში შევლენ
ბიჭის პენისი
ულამაზესი იქნება
გოგო მას ფეხებს შორის ჩამალავს

ღია ფანჯარაში
ხის მიღმა მთვარე მოჩანს
ისინი უყურებენ მთვარეს
იქ ვილაც დადის
რაღაცას ამოწმებს

ისინი ორნი არიან სახლში
ისინი დაამატებენ ერთსაც
მერე წყალს დალევენ
ჯერ ბიჭი მერე გოგო

მთვარეზე ვილაც დგას
იქეთ იყურება
საიდანაც მოვიდა
საითაც უნდა წავიდეს და
ისევ დალვაროს ამღვრეული წყალი

გოგო დგება
ფანჯარაში იხედება
„იქ ვილაც არის" — ფიქრობს
ელიმება

იქ ვილაც არის
დგას
ფიქრობს
„ნახევარი დედამიწა მიყურებს" —
ტუჩი უთრთის

ისინი ორნი არიან სახლში
და თითქმის სამნიც

ვილაც დადის დედამიწაზე
ღრმულებში ფეხი უვარდება

ვილაც დადის
დაჰყურებს გრუნტს
თავის ნაფეხურებს აკვირდება
ცდილობს გაიხსენოს
ერთი სტრიქონი მაინც —
მთვარეზე გამოთქმული.
იცის — ასეთი ბევრია
მაგრამ არაფერი გამოუდის
დადის დაწრიალებს
დაჰყურებს გრუნტს

ძირს ბიჭი და გოგო სხედან
ერთმანეთს მხრებით ეხებიან
კომშის ხეს ეყუდებიან

თითქოს ვილაც დადის მთვარეზე
თითქოს ვილაც დარაჯობს მათ
თითქოს ვილაც ამოწმებს

ისინი იმშუშნებიან
მზერას არიდებენ მთვარეს
ერთმანეთს უყურებენ
კითხულობენ თვალის ბროლზე
რაღაც მნიშვნელოვნად ახალს
რაც დღეიდან ყველამ იცის
რაც მათაც იციან

ვილაც დადის მთვარეზე
ფრთხილად აბიჯებს გრუნტზე
თითქმის მონინებით
და მაინც უხერხულობისგან იბუზება
თითქოს უნდა
ნახევარ დედამიწას დაემალოს

ხოლო ისინი სხედან ბალახებში
ნიკაპები მუხლებზე ჩამოუწყვიათ
ხანდახან ერთმანეთს
შუბლზე უსვამენ ხელს
დაგუბებული ხმით ლაპარაკობენ
თითქმის არაფერზე
ბიჭის პენისის სილამაზე
უკან მოიტოვეს

ვილაც დადის მთვარეზე

ისინი თვალებს ხუჭავენ
უსმენენ ფეხისხმას
შორიახლოს ვილაც მიაბოტებს
გუბეში ჩაკრა ფეხი
შეიკურთხა
ბიჭს და გოგოს ელიმებათ
თავზე მთვარე დანათით

მთვარეზე ვილაც დადის
რაღაცას ამოწმებს
მისი ნაბიჯები ფართოა და მსუბუქი
მაგრამ როცა ჩერდება
მძიმედ ელურსმება გრუნტს და
იქეთ იყურება
საიდანაც გამოაგზავნეს

იქ ორნი
კომშის ხეს ეყუდებიან
მხრებით ერთმანეთს ეხებიან
მესამეზე ფიქრობენ
ხანდახან ყურში
ნაბიჯების ხმა ჩაესმით

ვილაც დადის მთვარეზე მოუსვენრად
თავი ჩაუქინდრავს და ისე დადის
გული გამალებით უცემს
ერთადერთი სიტყვა უტრიალებს თავში:
„თოვლი"

1996.

## მარჯვენა ყურში დაცობილი თითი

მარჯვენა ყურში დაცობილი თითი
არ გაფრუებს ნახევრად
შეიძლება მხოლოდ ათი პროცენტით, ან ოცით.
თუმცა ხანდახან ესეც საკმარისია,
რაიმეს რომ ნაუყრუო.
ის თითი კი, რომლითაც მარჯვენა ყური გაქვს
დაცობილი,
ხანდახან საჩვენებელიცაა,
ამიტომ ახლა შენივე ტვინის კოლოფისაკენ
მიგანიშნებს
და უფრო მეტიც, მარცხენა ყურისკენაც,
რომელიც თუ გაქვს დაცობილი,
მხოლოდ ქარვასავით გოგირდით და არაფრით
მეტით.
ეს ყური შეგიძლია გაიხვრიტო და საყურე
ჩამოიკიდო.
და აი ასე,
მარჯვენა ყურში მარჯვენა ხელის
საჩვენებელი თითი გექნება გარჭობილი,
ხოლო მარცხენა — გახვრეტილი და
საყურეჩამოკონწიალებული,
ამას აქვს თავისი უპირატესობა!
რაიმე თუ შეუშვი ერთ ყურში, მეორიდან
გამოუშვებ!
თუ გამოუშვებ, ისევ და ისევ იმავე ყურ[...]
ანუ კვლავაც საყურეჩამოკონწიალებული
მარცხენადან
და თან გაიფიქრებ,
წავიდეს ერთი, ნეტა ვის დაკარგვია, რომ
გავეკიდოო!
და ეს მართლაც ასე მოხდება,
თუ გეყოფა ნებისყოფა და
მარჯვენა ყურში დაცობილი თითით
ნესტოების ჩიჩქნას არ ჩაიფიქრებ.
ასე შეგძლება ყველაფერი წყალში ჩაგეყა[...]
ასე შეიძლება დაგემატოს სრულიად ზედმ[...]
ათი ან სულაც მთელი ოცი პროცენტი სმ[...]
და
საკუთარი მუცლის ბუყბუყი გაიგონო,
ან ჯოჯოხეთის წყლების.
სად მიდიხარ მერე?
ხომ არ გგონია, ისევ ისე იოლი იქნება
გზაკვალაბნეული თითისთვის კვლავ სწ[...]
ორიენტაციის მიცემა და
ყურის ნიჟარისაკენ მისი შებრუნება?
ასე რომ, გაითვალისწინე!
მარჯვენა ყურში დაცობილი თითი არა[...]
წარმატება!
იზრუნე მისი სტაბილიზაციისთვის!
და თუ კი შემოქმედი ნატურა ხარ,
სასურველი იქნება ამ აქტის
ესთეტიურ გაკეთილშობილებაზეც იფიქრო,
მაგალითად, იმ თითზე, რომელიც
მარჯვენა ყურში გაქვს დაცობილი,
ალმასის ან გიშრის ბეჭედი წამოიცვა,
ხოლო ყურის ირგვლივ მაღალპროფესიონა[...]
პარიკმახერთან
თმა ლამაზად შემოიკრიჭო. —
და აი ნახავ, რა სასიამოვნო გახდება შენ[...]
მარჯვენა ყურში თითის დაცობის
ეს ხანგრძლივი პროცედურა!
ვინძლო, ყველაფერი ისე კარგად აეწყოს, [...]
თითი თანდათანობით ტკბილად შეეზარდო[...]
და
ივლი მერე ისე, თითქოს არც არასდროს [...]
არც მარჯვენა ყური და
არც მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი!
წარმოიდგინე, რა კმაყოფილნი დარჩებიან [...]
ვისკენაც ადრე თითს იბზეკდი ხოლმე და
თუ რამეს იტყოდნენ,
იმის მაგივრად რომ წაგეყრუებინა, აყურა[...]
ამ შავნე ჩვევებს ერთი თითის მოსმით მო[...]
გულში სიამე ჩაგეღვრება.
ოღონდ, სანამ ყველაფერ ამას დაიწყებ,
ფრჩხილი კარგად დაიქენი,
რომ სიცოცხლე გაიხანგრძლივო!
შენც კარგად გესმის,
ფრჩხილის ზრდას ვერაფერი შეაჩერებს!
რაც არ უნდა შეეწინააღმდეგო,
თავისი განუხრელი ტემპით
მაინც შეაღწევს იგი შენს თავის ქალაში,
ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს მიებჯინ[...]
მერე მის გახვრეტას დაიწყებს!
ეს ხომ ისევე გარდაუვალია, როგორც ბე[...]
რამ და
ამიტომაც მჯერა, მორჩილად შეხვდები შე[...]
ხვედრს!
იცოდე, როცა ვერაგი ფრჩხილი საბოლოო[...]
გამოღრუტნის
გვირაბს შენს ტვინში,
ყველანი თავს დავხრით შენს წინაშე და
გიტყვით, რომ პატიოსნად აღასრულე
მარჯვენა ყურში თითის დაცობის უწმინდ[...]
მოვალეობა!

1996.



## ნუგზარ შატაიძე

# გვირაბი



...კარგი, რაღაც მაინც ისმის! ...ჩაურობს. როგორც ამიხ-...თის წყალი. ჩხრიალებს. ...ანთებული სიგარეტები — ხან ერთი, ხან კი ...ერთად. ვსხედვართ, ვისვე-...ვდება ერთი სიგარეტი და ...მი, როგორც ფოტოქაღა-...ამოდის ვიღაცის სახე. ეს ...ბია, სრულიად უცნობი. ...ბია სხვა სახეებიც. მარტო ...არჩევ იმათ. არ მახსოვს, ...არიან — რომელი უფრო ...რომელი უფრო შავგვრემანი. ...ავადასხვანაირი აქვთ, ხმები ...ის კილო. ერთი გურულია. ...ავდები, რომ ის არის — ...ლაპარაკობს, ზოგჯერ ვერც ...რას ამბობს. თან ხმასაც ...ეორე ქალაქურად უქცევს ...ებს ტკაპნის, ხმოვნებს ...მახვილებს უსვამს. მესამე ...მეოთხე კახელი, მეხუთე, ...არელი. მეგრელიც გვირევია ...ცვეთილად რბილ „ლ"-ს ...არის კიდევ ქართლელი, ...ერთიც რაჭველი. ხევსური ...ჩუმად არის, ხმას არ იღებს. ...იხელ რაღაც წამოსცდა და ...ვხვდი, ხევსური რომ იყო: ...ერთი თბილისელი ინტე-...და ერთიც ფშაველი.

...ჩუმად ვსხედვართ და ...ვეწევით.

...ყოფილა თვალი ...ჩვევაო. ასეთ სიბნელეს ...მიაჩვევ. დიდი მანძილი ...ი, დავიღალეთ, დავიქანცეთ. ...გასავათებული, რომ ამათი ...და მე ნამდვილად ველარ ...ებ იქით, გვირაბის მეორე ...უნდა წავსულიყავით? იქ-...ით უფრო ახლოს იყო ...ი? არ ვიცი, არაფერი არ ...ე, თავიდან რაღაც ეჭვი კი ...მაგრამ არ მიყვარს ინიცი-...გამოჩენა — რომ შეგეშალოს, ...ები მერე? გურულმა დაი-...ქით ჯობიაო და ჩვენც ...ით. მირჩევნია ვიღაცას წა-...უღრე ვიღაცეებს გავუძღვე. ...ესენიც ჩემნაირები არიან, ...ით გამოედევნენ კუდში. ...დავრწმუნდი, ჩემი სიკეთის ...ა, ამასაც რომ არ სცოდნია ...მაგრამ რაღა დროსია, უკან ...დავბრუნდებით? რაკი აქამდე ...უნდა ბოლომდე გავუძლოთ. ...ვენებთ, სიგარეტს ვეწევით. ...კარგი, ეს სიგარეტი მაინც ...შემოგვრჩა. ნეტა როდემდე ...ვ? ვეწევით. სიბნელეში ცი-...ლებივით ვანათებთ.

...გეთ, ახლა, ავდგეთ! — ამბობს ...ული.

...დგეთ კაია!

..., ასე ვისხდეთ აქანა?!

...ახდეთ, რა! მე შენ გეტყვი, ...ქიანი პოვრები მელოდებიან ...

..., მამშივდა, კაცოუ!

...ა ერთი კარგი ცხელი ხინკალი! ...დაც ცივ-ცივი ლუდი.

...უ ნატვრაა, ბარემ ხაშლამა ...ეთ!

...პური, ბატონო, ლომი, სულ-...და ბაჟეს წვენი!

...ილი არ დაგავიწყდეს, წიწილი! ...მ-მაყვალი...

...ლობიო, შიგ ჩაბუჟბუჟებული ...და წითელი კომბოსტოს ...

...რას ამბობ, ე, რასა!

...ო კარგია ლომთან.

...კაი მსუქან დედალსა, ცივად ...ულსა, ნივრითა, სჯობიან რა-

...ბარ ... უჭამია ვინმეს?

... ლედალი ძალიან კარგია, ... ცივად მოხარშული, მაგრამ ... ინდაური მირჩევნია.

...ინდაურის საცივია კარგი.

...ნეტა ეგ ხორცის გათხუპვნა არ იცოდეთ თქვენა და!

...არტალაზე როგორა ხარ?

— ...ვაცივით. მაგრამ კარგი ბატკნის ჩაქაფული ტარხუნითა და ახალი ხახვით?

— ლორის სუკის მწვადები?

— კუჭმაჭი ნიგვზით, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ცხელ-ცხელი ჭადები!

— გოჭი, გოჭი არ დაგავიწყდეს, ბუხარში შეპიწკინებული!

— კეცზე შემწვარი სოკო.

— ნალვერდალში ჩაბულული კალმახი!

— ტარანი ჭადთან!

— ვა, მა ცოცხალი? ზუთხი? ზურგიელი? ხიზილალა? — ზერნი-სტი გინდა, პაიასნი გინდა!

— ლოქო ქინძ-ძმარში!

— ნადული პიტნით.

— ყველი კიდევ გუდისაა კარგი...

— ჰო, ტარხუნა უხდება მაგასა, კარგი დედას პურები.

— ახლა ნამეტანი ნუ ავირევით, დავიწყოთ თავიდან და მივყვეთ ბოლომდე. ყველაფერში წესი და რიგია საჭირო. ასე, ბატონო, გავ-შალეთ ესე იგი სუფრა...

— სუფრა ლურჯი უნდა იყოს.

— იყოს, ბატონო, ლურჯი...

— ჰო, ძაან არ შაატყოთ ამ სიბნელეში, ლურჯი იქნება თუ წითელი.

— დავალაგეთ ცხელი ჭადები...

— ტარანი არა თქვა რა, ტარანი არა თქვა!

— ხო დავალაგეთ ეს ჭადები?

— კაი იმერული ყველი, ხინკალი...

— გადაზელილი.

— სულგუნი კიდომ.

— ცივად მოხარშული დედალი, თელავური, მოკლებინცლებინა...

— რა ვქნა, მე მაინც ინდაური მირჩევნია...

— იყოს ორივე, რა გენაღვლება!

— გოჭი, ბატონო...

— ბოლოკი არ დაგავიწყდეს პირში.

— მჟაუჟე რა, თქვენი ჭირიმეთ, მჟაუჟე!

— მა ტოლმა?

— ჯერ რა დროს ტოლმაა, კაცო?!

— ეკალა, კვერა ფხალი და წითელი ჭარხალი...

— ბროწეული, ბროწეული მოაყარე!

— მოვაყარე.

— კუჭმაჭი ნიგვზით.

— მჟაუჟე, მჟაუჟე-მეთქი!

— კარგი, იყოს მჟაუჟეც.

— საცივი დაგვავიწყდა მგონი.

— ვავა!

— საცივი. ბაჟე ვთქვი?

— არ გითქვამს.

— ჰოდა ბაჟე! რა გვაკლია?

— ჯერ სადა ხარ, კაცო?!

— ჯონჯოლის წნილი, წიწაკისა, ტარხუნა და ბოლოკი.

— წიწმატი, წიწმატი!

— ჰო, წიწმატიც.

— ეხლა კარგი ბატკნის ჩაქაფულიი!

— აგაშენა ღმერთმა!

— ხაშლამა არ დაგავიწყდეთ, ე!

— ხაშლამა.

— კარგი ნასუქი დეკეულისა...

— სულ უნდა თიმთიმებდეს, იცოდე, აი!

— მა ტოლმა?

— ტოლმა არა და ცხელ-ცხელ კუპატებზე რას იტყვით?



— დავალაგეთ.

— მივუწყოთ გვერდით დედას პუ-რები, შენ ხარ ჩემი ბატონი, ხაჭაპური... კიდო?

— ლომი, შე კაცო!

— მე ლომი არ მამიტანოთ!

— კიტრი, პამიდორი, ყველი...

— გუდისა!

— სუნმა თუ არ შეგვაწუხა, კი ბატონო. ცოცხალი...

— მურწა იყოს!

— მურწა. ხიზილალა — წითელი და შავი. სათალი ზუთხი...

— კეფალი და კიდომ ქამბალა ბაჟეში.

— კარგი, კაცო, ამდენ თევზს რა შეჭამს!

— იყოს, რა გენაღვლება.

— ლოქო, ეე, ძმაო, ლოქო ქინძ-ძმარში!

— რას აკეთებთ, ხალხო, წაიღო თევზმა სუფრა!

— მა რა ვქნა ეხლა, კალმახი აღარ ჩავალაგო?

— ჩაალაგე, ბატონო!

— დედა, გამაგიჟებს ეს კაცი!

— ტყემლით, ბატონო, ტყემლით!

— ისრიმ მაყვალში ჩაწყობილი წი-წილები...

— კაია, კაი დაგემართოს!

— სოკო?!

— ნიყვი — კეცზე შემწვარი.

— ყაურმა ბლომად ხახვითა და ქონდრით.

— მწვადი როდისღა შემოვა?

— ბოლოში, სულ ბოლოში.

— სუკი უნდა იყოს, იცოდე!

— გეკადრება?!

— ჰა, რა გვინდა კიდევ?

— ბოზბაში.

— ბოზბაში არა, ჩიხირთმა!

— ასატრინა ნა ვერტილე!

— მალადეც!

— ხომ არაფერი გვაკლია?

— მარილი, კაცო, მარილი!

— ეხლა ღვინოო...

— და ხინკალი?

— ხინკალი და ხაში დილით, პახმელიაზე.



— დილამდე აქ უნდა ვისხდეთ, კაცო?!

— ვისხდეთ, რა გენაღვლება?

— კაი ადესაი...

— აჰ, აჰ, აჰ!

— აბა?

— ცოლიკაური, ბატონო!

— ოჯალეში.

— ვითომ ხვანჭკარის ეგენი ...?

— კარგი გორული მწვანე, აი არა და ჩინური!

— საფერავი?

— ნაფარეული ქვევრისა!

— მუკუზანი, მუკუზანი!

— ეხლა სუყველანი გაჩუმდით!

— გურჯაანი, ევროპულად დაყენებუ-ლი.

— თქვენი ხმა არ გავიგო!

— მანავის მწვანე...

— პინოი, პინოი!

— ციცქა, ბატონო, თორემ თქვენი საქმისა თქვენ იცით!

— ან არა და თავკვერიი!

— ტიბაანი, ე, ტიბაანი!

— გაჩუმდით-მეთქი! კაცო და, კარ-დენახის წარაფთან ეგენი რა სახ-სენებლებია?!

— კარგია, კარგი!

— კარგია, მაგრამ მძიმეა ნამეტანი...

— რას ამბობ, ო?!

— მძიმეა და შენც პატარა ჭიქით დალიე!

— წელში გამოყვანილითა.

— მაშ!

— ეხლა რა გვინდა?

— რაღა უნდა გვინდოდეს, ავირჩიოთ თამადა... და მიდიი!

— არჩეულია, მა რა არი, მაშ· ეს გურული ვინ არი?

— აჰ, არა, თუ ძმა ხარ!

— არა კი არა, ჰო!

— აბა, გაგიმარჯოს, სულ კაი ამბავში გეთამადოს!

— გაგიმარჯოთ, ჩემო ბატონო, დაგვალევიეთ თითო ჭიქა...

— კაი, რა ვქნა, რახან არ იშლით...

— გაგიმარჯოს.

— აბა, შევავსოთ ახლა... ამ პირველი ჭიქით, მეგობრებო, გაუმარჯოს მშვიდობას!

— გაუმარჯოს.

— მშვიდობას გაუმარჯოს!

— ამ სადღეგრძელოს კაი სიმღერა დაშვენდებოდა ახლა...

— აგერ არ ვართ?!

— აბა, ჩვენ მშვიდობა!

წყლის ჩხრიალი აღარ ისმის. გვირაბი სიმღერით იტენება. ბანები გუგუნებენ სიბნელეში. პირველ-მეორე ტკბილად ეწვნება და ეგრიხება ერთმანეთს. კრიმანჭული ბეტონის სქელ კედელს მისდგომია და ბურღავს. ერთი წუთით თითქოს ნათდება კიდეც, მაგრამ ეტყობა თვალი მატყუებს.

ცოტა ხანში, ყველა სადღეგრძე-ლოს რომ ჩამოვათავებთ, ყველა სიმღერას რომ ვიტყვით, წამოვიშლე-ბით და მივყვებით ისევ ამ ჩვენს გურულს კუდში. მივაშლაპუნებთ გრუ-ნტის წყალში დამბალ ფეხსაცმელებს. დაღლილობა სადღაც გამქრალა, გუ-ნებაში ისევ ვღიღინებთ ბოლო სიმღერის სიტყვებს: „მტერო, დამჩაგრე, არ ვსტირი — ტირილი დიაცთ წესია; ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესია. მაცალე, ერთი გავლესო ხმალ-ხანჯალ ცეცხლის მკვე-სია, სულ წალმა შემოგიბრუნო, რაც ჩემთვის დაგითესია"...

მივდივართ, მივბარგანაობთ სიბნე-ლეში. სამ საათზე მეტია, რაც მეტროში დენი გამოირთო, როდის მივაღწევთ ბაქნამდე? იქნებ იქით, გვირაბის მეორე მხარეს უნდა წავსუ-ლიყავით? იქნებ იქით უფრო ახლოს იყოს გასასვლელი? არ ვიცი, არაფერი არ ვიცი...

ზვიად რატიანი

# ამერიკული ლექსი

## წერილი პირველი

ბანალური ჭეშმარიტებით მიწევს დაწყება: ყოველი ქვეყნის პოეზიას აქვს რაღაც გამაერთიანებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები; ამ მხრივ, ბუნებრივია, არც ამერიკული პოეზიაა გამონაკლისი; მაგრამ თავად ის ნიშნები, რომლებიც გარკვეულწილად ამთლიანებენ სხვადასხვა ეპოქისა თუ სტილის ამერიკელ პოეტთა სალექსო მემკვიდრეობას, საგრძნობლად განსხვავდებიან ნებისმიერი სხვა ქვეყნის პოეზიისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისგან, რომლებიც, უმეტესწილად, ისტორიულ-კულტურული და ნაციონალური ტრადიციებით არიან განპირობებულნი,

ამერიკა კი — მიწაა,

სადაც სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვა რასისა და ზნე-



**ემილი დიკინსონი**

**(1830-1886)**

* * *

**თუმც არასოდეს მინახავს ჭაობი,**
**თუმც არასოდეს მინახავს ზღვა,**
**ვგრძნობ, ლეანელები როგორ ქანაობენ,**
**როგორ ემსხვრევიან ტალღები ზღვარს.**

**თუმც არ მღირსებია ღმერთთან საუბარი,**
**თუმცა არ ვწვევივარ ზეციურ ფერდობს,**
**ისე მწამს, რომ ზემოთ მომელის უფალი,**
**თითქოსდა ბილეთი ჯიბეში მედოს.**

ჩვეულებების ადამიანები სხვადასხვა დროს დაემკვიდრდნენ, — რაც, რა თქმა უნდა, სრულებით არ გამორიცხავს ახალი და თვითმყოფადი ტრადიციების აღმოცენებას, მაგრამ ეს ტრადიციები „თვითნაბადნი" ვერ იქნებიან, რადგან იმ საწყისთა უსისტემო ერთობლიობას ეყრდნობიან, რომლებიც ამ ქვეყნის მკვიდრთ თავ-თავიანთი მიწა-წყლიდან გადმოჰყვათ; მით უფრო, ეს ტრადიციები ვერ იქცევიან იმ საერთო ნიადაგად, რომელზეც უნდა აღმოცენდეს მოკვდავთა ისეთი ინტიმური საქმიანობა, როგორიც ლექსის წერა გახლავთ.

აქვე დავძენ, რომ ყოველივე, რისი თქმაც მოვასწარი, და ისიც, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, მხოლოდ ჩემს პირად მოსაზრებებს წარმოადგენენ და უტყუარობის პრეტენზიაც არ გააჩნიათ; არც მგონია, პოეზიის თაობაზე „საერთო აზრის" არსებობა იყოს შესაძლებელი (მკითხველს ბოდიშს ვუხდი, წინასწარ განსაზღვრული თემატიკის წერილში პირადი განმარტებებით რომ შემოვიჭერი, მაგრამ პუბლიცისტური ეთიკა მთხოვს იმის აღნიშვნას, რომ ჩემი მსჯელობა იქნება უკიდურესად სუბიექტური).

საკითხს დავუბრუნდეთ.

მაინც რა არის ის გამაერთიანებელი ნიშანი, რომელიც ადუღაბებს ამერიკულ პოეზიას, — ჩემი აზრით, ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვანს, მიუხედავად თავისი „უასაკობისა"? (- მართლაც, ევროპისა თუ აზიის ზოგიერთი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე პოეზიის გვერდით ამერიკული ლექსი ჯერ მთლად „ჩვილია").

უკვე ვთქვი: ამერიკა მიწაა, სადაც სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან გადმოხვეწილი ადამიანები დამკვიდრდნენ, რათა დაეწყოთ ახალი ცხოვრება, ხოლო ის, ვინც ძველ ყოფას გაურბის, ქვეცნობიერად მაინც მიელტვის თავისუფლებას (გთხოვთ, არ გამიგოთ ეს აზრი პირდაპირ — ანუ არასწორად).

ჩემს მიერ დასმული კითხვის პასუხი ესაა:

**თავისუფლებაა** ის, რამაც მოახდინა ისტორიულ-კულტურული და ნაციონალური ტრადიციების კომპენსაცია და იქცა ამერიკული პოეზიის საერთო ნიადაგად.

კიდევ ერთი თხოვნა მკითხველთან: არ გამოვრიცხავ, რომ ჩემი მხრიდან ამ „დიაგნოზის" დასმა ნაჩქარევი იყოს; თქვენ იგი მხოლოდ მხედველობაში მიიღეთ და მიჰყევით შემდგომ მსჯელობას, რომელმაც — არც ამას გამოვრიცხავ — შესაძლოა ჩიხში მოაქციოს ჩემი დასკვნა (თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ მისი ადგილი წერილის ბოლოს უფრო იყო, ვიდრე დასაწყისში).

ვატყობ, ცნებებით მანიპულირება (ანუ ზოგადი საუბარი) გამიგრძელდა. საქმეზე გადავალ.

1650 წელი —

„მეათე მუზა ეწვია ამერიკას" — ეწერა შტატებში გამოცემულ პირველ პოეტურ კრებულს. ეს გახლდათ ერთ-ერთი კოლონიის გუბერნატორის მეუღლის, მის ანა ბრედსტრიტის ლექსების წიგნი (სხვათა შორის, ეს იყო პირველი შემთხვევა ინგლისურენოვან პოეზიაში, როცა მკითხველთა სამსჯავროზე წიგნის სახით გამოტანილ იქნა ქალის მიერ შეთხზული ლექსები. ცნობისთვის: წიგნი ავტორთან შეუთანხმებლად გამოიცა).

ასე ჩაეყარა საფუძველი ამერიკულ პოეზიას, რომელსაც ჯერ საკმაო გზა ჰქონდა გასავლელი, სანამ ეს პოეზია მართლაც ამერიკულად იქცეოდა. თითქმის ორი ასწლეულის მანძილზე ამერიკული პოეზიის სახელს ატარებდა ევროპული ლექსი და მას მხოლოდ შეთხზვის ადგილის მიხედვით თუ ვუწოდებთ ამერიკულს. იყვნენ დიდი პოეტებიც. მაგალითად, ედვარდ ტეილორი, ევროპული ბაროკოს უზადო ოსტატი; მოგვიანებით, ტიმოთი დუაიტი, ფილიპ ფრენო, უილიამ კალლენ ბრაიანტი, — მაგრამ მათი ნაწარმოებები, მიუხედავად პატრიოტული ელერადობისა და თავისთავადი ღირსებებისა, ბევრით არაფრით განსხვავდებოდნენ ოკეანის გაღმა მოღვაწე პოეტთა ლექსებისგან.

პირველი ტალღა პოეტებისა, რომელთა შემოქმედებაშიც მეტნაკლები სიმძაფრით შეინიშნება ევროპული პოეტიკის ტრანსფორმირების ნიშნები, მხოლოდ XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან იკვეთება. გამოჩნდნენ ლიდერებიც: რალფ უოლდო ემერსონი, ჰენრი დევიდ ტორო, ჰერმან მელვილი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სიახლე, რომელიც ახლავს ამ პოეტთა შემოქმედებას, მათ ინდივიდუალურ ტალანტზე უფრო მეტყველებს, ვიდრე გარკვეული (ამერიკული) ტრადიციის აღმოცენებაზე.

ვირტუოზული სალექსო ტექნიკა, ევროპული რომანტიზმის საუკეთესო ტრადიციების ოსტატური ფლობა, ინგლისელ მეტაფიზიკოს პოეტთა გამოცდილების გათავისება და სრულყოფა (ვაღიარებ, რომ ეს უკანასკნელი აზრი საკამათოა, მაგრამ მე ასე ვთვლი, ანუ მეჩვენება), — აი ის ძირითადი ღირსებანი, ამ თაობას რომ ახასიათებდა; თაობას, რომელსაც წილად ერგო ნიადაგის შემზადება, რათა ამერიკულ პოეზიაში მოსულიყო დიდი სამეული, ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავებული ხმისა და მრწამსის სამი პოეტი,

— ედგარ ალან პო, ჰენრი უოდსვორთ ლონგფელო, უოლტ უიტმენი.

ეს სამი პოეტი, რომელთაც, საერთო საქმის გარდა, თითქმის არაფერი აერთიანებდათ, საოცარი ჰარმონიულობით განლაგდნენ ამერიკული პოეზიის ევოლუციურ ჯაჭვში.

**„ახალი" რომ დაიბადოს, საჭიროა დასრულდეს „ძველი", რადგან: სწორედ თვალსაჩინო დასასრულის არსებობაა იმის გარანტი, რომ „ახალმა" შეინარჩუნოს კავშირი „ძველთან";**

ღირსეული **დასასრული** — ხიდია, და არა საფლავის ლოდი.

**XX** საუკუნის გადასახედიდან თამამად შეიძლება ითქვას: ჰენრი ლონგფელო იქცა ევროპიდან გადმოყოლილი და თანდათან „გაამერიკულებული" ლექსის სრულმყოფად, და, ამ არცთუ უბრალო მიზეზის გამო, ლონგფელოს შემოქმედება ღირსეული **დასასრულია** „კლასიკური რომანტიზმისა" ამერიკულ პოეზიაში.

კანონზომიერი იყო ამ პოეტის უზომო პოპულარობაც, რასაც თითქმის მთლიანად იყვნენ მოკლებულნი ედგარ პო და უოლტ უიტმენი, პოეტები, რომელთაც, ლონგფელოს საპირისპიროდ, წილად ერგოთ „ახლის" დაწყება.

გარკვეულწილად, პოსა და უიტმენის შემოქმედება, — როგორც ფორმალური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით, — გზაგასაყარია. ესაა ორი განსხვავებული სადინარი, რომელთაც **XX** საუკუნის პირველი ათწლეულების პოეტურ ნაკადთა სამსახური დაეკისრათ.

ძნელია ისაუბრო დიდი პოეტის შემოქმედებაზე. მით უფრო, როცა საქმე ეხება ედგარ პოს პოეზიას, უნიკალურ ლექსებს, რომლებზეც ბევრი დაწერილა და, ალბათ, მომავალშიც დაიწერება. თანაც, ჩემი აზრით, ლექსზე საუბარი, რაგინდ საფუძვლი-

**ედგარ ალან პო**

**(1809-1849)**



* * *

**თუმც ვერ ვიხარე ამ მიწაზე, მაინც არ ვგლოვობ,**
**თავდავიწყება, მიწიერი, ჩემი არ იყო.**
**ტრფობის სიზმრების ნამსხვრევები რისთვის ვაგროვო —**
**წამი იყო და წამმა წაიღო.**
**რატომ ვიგლოვო, რად დავივსო ცრემლით თვალები,**
**თუ სიხარული ხვედრი არის მხოლოდ ბრიყვების;**
**მე იმას ვდარდობ, რომ შენ, თურმე, მე გებრალები,**
**მხოლოდ იმიტომ, რომ უდაბურ ბილიკს მივყვები.**

ანიც არ უნდა იყოს იგი, ვერ გასცდება ვარაუდების საზღვრებს, ხოლო თუ მსჯელობამ ამ საზღვრებს მიღმა გაიტყუა მიმომხილველი, მისი ნაშრომი წყლის ნაყვად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ, გავბედავ და თქვენს ყურადღებას პოს შემოქმედების მხოლოდ ერთ თავისებურებაზე შევაჩე-

**ჰენრი უოდსვორთ ლონგფელო**

**(1807-1882)**



* * *

**ჯერ მხოლოდ ოთხია, ჯერ ისევ ბნელა,**
**ბრუნავს დედამიწა მძიმედ და ნელა,**
**მის დიდრონ სხეულზე სიბნელე ცოც...**
**ხომალდებს ზღვაში და ხმელეთზე ქალაქებს**
**კუთვნილ ადგილებზე კვლავ ჩამოალაგებს,**
**ინათებს როცა.**
**გემი ნავსადგომში, ირგვლივ კი არავინ,**
**და გემზე ეულად ანათებს ფარანი,**
**და მისი ციმციმი სიბნელეს ერთვის.**
**ტალღის უმძიმესი ჩამესმა სუნთქვა...**
**მორჩა, ამის მეტი აღარც რა უთქვამს**
**სიბნელეს ჩემთვის.**

რებ. ვგულისხმობ ერთ კონკრე... პარადოქსს და გამოვთქვამ ვარა... რომ სწორედ ეს პარადოქსია პო... ლექსების სიცოცხლისუნარიან... მთავარი მიზეზი და, ალბათ, ... პარადოქსი იყო მიზეზი ამ ლექ... ვერგაგებისა თანამედროვეთა მიე...

— ამ კაცის შემოქმედება, ... მხრივ, წარმოადგენს ამბოხს; ყო... რების ყველა სფეროში — ... განსაკუთრებით ლიტერატურაში ... გაბატონებული ნორმების წინააღ... გალაშქრებას, ხოლო მეორე მხ... ეს არის ცხოვრების უკუღმართ... სადმი დამორჩილების, უბედურე... მიღებისა და აღიარების, ტრაგიკ... შეგრძნებებით დათრგუნული ... სახვის გაშიშვლების (და არა ... რვის) პოეზია.

პარადოქსიც ამაშია: მეამ... პოეტი, რომელსაც უსასოობა ა... ვია იარაღად. ესეც საკამათო ა... ვხვდები.

რა თქმა უნდა, ედგარ ... პოეზია ლამაზია, გასაოცარია ... მიერ შექმნილი „მკვდარი" სახებ... სიცოცხლისუნარიანობა (- იქნება ... ანაბელ ლი თუ ლენორ), მა... მთავარი, რაც მის ლექსებს ასუ... გმულებს, სითამამეა; **სითამამე** — ... როგორც ჟესტი, პუბლიკის გას... ნებლად გამიზნული, არამედ ... როგორც იარაღი, აღმართული ... წინააღმდეგ. სითამამე — თვისებ... რომლითაც პოეტი წვრთნის საკ... თავს და რომლითაც უარყოფს ... ნამედროვეებს, ანუ დიდებას. უ... რია, რატომ უკვირდათ, როცა ... დაუნდობლად კიცხავდა უორდს... თსა და კოლრიჯს...

მიჰირს ედგარ პოდან პირ... უიტმენზე გადასვლა. აკი ვთქვი... საერთო საქმის გარდა, თით... არაფერი აერთიანებდათ-მეთქი. ... დერთი გამოსავალი მრჩება: საქმე... გავიიოლო, თავად უიტმენის სი... ბის მოშველიება დამჭირდება. ვა... სხმობ ერთ ფრაგმენტს მისი ... ნებების წიგნიდან „რჩეული დღ...

„კარგა ხანია, თითქმის დღ... ედგარ პოს პოეზიისადმი ... განვიცდიდი. მე პოეზიისგან ყ... თვის მოვითხოვდი და მოვ... სინათლეს, მზის შუქსა და ... ჰაერს, ვნებათა ქარიშხალ მე... მსურს სიჯანსაღე ვიხილო და ... კოშმარი, და ყოველივე ამის ... — სამარადისო ზნეობრიობა. ... პოს ჩემგან განსხვავებული შე... ლება ჰქონდა პოეზიაზე, მისმა ... მაინც მოიპოვა განსაკუთრებულ... არება, და მე ახლა მესმის ეს, ვ... ამას და პატივს ვცემ ამ პოეტ... ეს სიტყვები უოლტ უიტმენს ... პოს დაკრძალვის ცერემონიალ... მთავრების შემდეგ უთქვამს.

უიტმენი იყო პოეტი, რომ... ჰქონდა მისია... ვგრძნობ, ჩემი ... ვამი გარკვეულ განმარტებას ს... ებს, მაგრამ მომიტევეთ, მე ამ... შევძლებ. უბრალოდ ვამბობ... ჰქონდა მისია! იგი უნდა განვ...

...ა როგორც რაიმეს ლოგიკური ...ედეგი, არამედ, როგორც **ლოგიკური მიზეზი** და ამ მიზეზის ლოგიკურობა ...ეა ვეძიოთ მომავალში და არა ...არსულში.

იშვიათად წამიკითხავს ნაწერები, ...ძლებიც ისე ძალდაუტანებლად „...უნთქავენ“ თავიანთი ავტორით, ...როგორც ეს უიტმენის ლექსებს ...ლუძთ (დასაწყისშივე დქვიზღვეე ...ავი და ვთქვი, რომ სუბიექტური ...ქნებოდი. ამიტომ, მომიტევოს მკი...ხველმა, თუ უიტმენზე საუბარი ...ლირიული გადახვევის“ ხასიათს ...ებს). თუ ამ ლექსების წაკითხვას ...ვიწადინებთ, ერთი აუცილებელი ...რობის დაკმაყოფილება მოგვიწევს: რიგიანად შეზარხოშდებდა; რომელმაც, ჯერ კიდევ „ბალახის ფოთლების“ გამოცემამდე, წინასწარ იზრუნა და თავადვე დაწერა ოცამდე რეცენზია საკუთარ წიგნზე, ზოგი საქებარი, ზოგიც განმაქიქებელი, მერე ამ რეცენზიებს გამოგონილი კრიტიკოსების გამოგონილი სახელები განუმწესა და ჟურნალ-გაზეთებში მიმოგზავნა; რომელმაც, ერთხელ, მეგობრებისგან გულნატკენმა, საკუთარ თავს სამი თვით ლექსების წერა აუკრძალა და ა.შ.).

და, ვიმეორებ, ამ ლექსების კითხვისას აუცილებლად უნდა გვახსოვდეს მათი ავტორი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მათში გაბატონებული უკიდეგანო და ყოვლისმომცველი სიკეთე ანაქრონიზმად არ გადაიქცეს.

არაფერს ვამბობ უიტმენზე, როგორც პოეტური მეტყველების ახალი, თავისუფალი ფორმების ფუძემდებელზე. წერილი გამიზნულია მათთვის, ვინც იცნობს ჩემს მიერ ჩამოთვლილ პოეტთა ლექსებს.

ტ.უ.ჰიგინსონმა, ლიტერატორმა, 1890 წელს პირველად წარუდგინა მკითხველებს ემილი დიკინსონის ლექსები. ამ დროისთვის მათი ავტორი ოთხი წლის გარდაცვლილი იყო. მის სიცოცხლეში, უახლოეს ადამიანთაგანაც კი, თითქმის არავინ იცოდა, რომ ქალი, რომელსაც ერთხელაც არ მიუტოვებია პატარა ქალაქი, ამჰერსთი, სადაც დაიბადა, ლექსების წერით იყო გატაცებული. თავად პოეტი ლექსის გამოქვეყნებას უკადრის საქმედ მიიჩნევდა. არაერთხელ გამოუთქვამთ აზრი, — წამიკითხავს, — თითქოს დიკინსონის ლექსების სითამამე მხოლოდ იმით იყოს გამოწვეული, რომ მათი ავტორისთვის პოეზია უცხო თვალთათვის მიუწვდომელ, პირად სულიერ საზრდოს წარმოადგენდა, ლექსებს გულდაგულ მალავდა და, თუ ზემოთ ხსენებულ ჰიგინსონსა და კიდევ ორიოდ ადამიანს არ ჩავთვლით, არც არავის აკითხებდა, — ეს რომ არა, იმ დროში, პროვინციელი ქალი გრძნობათა ასეთ სიშიშვლეს როგორ გაბედავდაო. იქნებ მართალიცაა, მაგრამ ვეჭვობ: როცა საქმე ეხება ისეთი დონის შემოქმედს, როგორიცაა ემილი დიკინსონი, არ მესმის, რატომ უნდა ბადებდეს ახსნა-გაშიფვრის სურვილს მისი სითამამე? რა შუაშია „ქალობა“, „პროვინცია“, „დრო“?

ასეა თუ ისე, ემილი დიკინსონი, ედგარ პოსთან და უოლტ უიტმენთან ერთად, XX საუკუნის ამერიკელ პოეტთა ერთ-ერთი აშკარა წინამორბედია.

დაბოლოს, პოეტი, რომლითაც ვასრულებ XX საუკუნემდელი ამერიკული პოეზიის მიმოხილვას, სტივენ ქრეინია. მის ლექსებს ალარაფერი სცხიათ XIX ასწლეულისა, ესაა მომავლის პოეზია.

სტივენ ქრეინი XX საუკუნის ამერიკელი ექსპრესიონისტების, და არა მხოლოდ ამერიკელების, და არა მხოლოდ ექსპრესიონისტების, უშუალო წინამორბედია. ამ პოეტით სრულდება XIX ასწლეულის ამერიკული პოეზია. სიმბოლურია: 29 წლის სტივენ ქრეინი 1900 წელს გარდაიცვალა.

## ᲣᲝᲚᲢ ᲣᲘᲢᲛᲔᲜᲘ

(1819-1892)



### ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲔᲫᲐᲕᲡ

**დამშვიდდი, და ნუ გრცხვენია ჩემი, მე ვარ უოლტ უიტმენი, გულუხვი და**
**ყოვლისშემძლე, როგორც ბუნება.**
**სანამ მზის სხივი არ უარგყოფს, მეც შენთანა ვარ.**
**სანამ წყლის წვეთი შენს სხეულზე აბრწყინებას არ უკადრისობს, სანამ**
**ფოთლები კადრულობენ შენს გამო შრიალს, იშრიალებენ**
**და იბრწყენენ მანამ შენთვის ჩემი სიტყვებიც.**

**გოგონავ, გამცნობ, დრო მოვა და მეც მოვალ შენთან, და ღირსეულად**
**უნდა დამიხვდე.**
**იყავ მომთმენი და კეთილი, სანამ მე მოვალ.**

**ჯერ კი შორიდან გითვალთვალებ, მზერას, მრავალმნიშვნელოვანს, გაჩვევ,**
**გაპარებ,**
**რათა გახსოვდე.**

## ᲡᲢᲘᲕᲔᲜ ᲥᲠᲔᲘᲜᲘ

(1871-1900)



* * *

**ვეხეტებოდი უდაბნოში.**
**აღმომხდა ბოლოს:**
**„ღმერთო, ამ ადგილს განმარიდე!“**
**ხმამ კი მომიგო: „ეს უდაბნო არ არის“. მე კი**
**ისევ აღმომხდა:**
**„როგორ, —**
**ეს ხომ არის ქვიშა, ეს კი სიცხე, ეს ჰორიზონტი“.**
**ხმამ: „ეს უდაბნო არ არის, არა!“**

...ოველი სტრიქონის უკან უნდა ...ხედავდეთ მათ ავტორს, ვეება, ...ეთილ, თეთრწვერა მოხუცს (რომე...ლიც, უფულობისას იძულებული გა...და, ანტიალკოჰოლური რომანის შე...ვეთა მიეღო, მაგრამ ამ საქმეს ...უხიზელი გონებით როგორ დასძლე...და, ავანსის ფულით ყოველ საღამოს ...ვისკის ყიდულობდა და მხოლოდ მაშინ იწყებდა წერას, როცა უკვე

American Verse American Verse American Verse American Verse American Verse American Verse American Verse American Verse American Verse American Verse American Verse

# «ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲡ ᲓᲠᲝᲡ...»

ᲛᲐᲯᲘᲡᲪᲔᲛᲐ

**დღეს, კომპიუტერიზაციისა და „ტელე-სინე-ვიდეოს“ მეუფების ხანაშიც უეჭველად ვლებულობთ ძველ ბერძნულ გამონათქვამს: „წიგნის ბეჭდვა ანადგურებს დროს: მისი წყალობით ჩვენ ყველანი თანამედროვეები ვხდებით“. ეს სიტყვები დიდ ფრანგ მოაზროვნეს ალფონს ლამარტინს ეკუთვნის.**

**ტექნიკის მიღწევებს წიგნის „გაქრობის“ მხოლოდ ილუზიის შექმნა თუ ძალუძს. წიგნს — მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს ნაყოფს — მარადიული არსებობა უწერია. მის გარეშე, ალბათ, გია დანელიასა და რეზო გაბრიაძის ფილმის — „ქინ-ძა-ძას“ უცხოპლანეტელ პერსონაჟებს დავემსგავსებოდით.**

**ჩვენს დღევანდელ ვითარებაში, როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე უნდა ჩავეჭიდოთ წიგნს. ამ მოსაზრების განვრცობა მხოლოდ დასაბუთებული წერილით თუ მოხერხდება; ამჯერად კი ერთ, ქართველი მკითხველი საზოგადოებისთვის მეტად სასიამოვნო მოვლენას მივაქციოთ ყურადღება:**

**გამოვიდა „საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების“ ალმანახის — „მწიგნობარი“ (გამოდის 1980 წლიდან) — 1993-94 წლების გაერთიანებული ნომერი (1995 წლის ნომერი უკვე წარმოებაშია).**

**ალმანახი მისი მთავარი რედაქტორის, „საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების“ ერთ-ერთი სუ[illegible]ამდგმელისა და მესვეურის, აწ განსვენებული ცნობილი ლიტერატურათმცოდნის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ სოლომონ ხუციშვილის ხელით დადებული უკანასკნელი აგურია, ჩადუღაბებული მის მრავალწლიან, ერთობ ნაყოფიერ, უანგარო და უამბიციო საქმიანობაში.**




**„მწიგნობარის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე გახლდათ ახლანდელი მთავარი რედაქტორი, პროფესორი ლევან მენაბდე, პასუხისმგებელი მდივანი — შოთა კობიაშვილი.**

**„წიგნის მოყვარულთა საზოგადოების“ თავმჯდომარის, სარედაქციო საბჭოს წევრის, ლია ნადარეიშვილისა და ალმანახის ფინანსური შემწეების დიდი რუდუნების შედეგია „მწიგნობარის“ მაღალი პოლიგრაფიული დონე, ფერადი გარეკანი, კარგად გაფორმებული რუბრიკები (მხატვარი ანზორ თოდრია) და თეთრი, ქათქათა ფურცლები (მხოლოდ ფოტოსურათების მდარე ხარისხია დასანანი).**

**თუმცა, ალმანახის მესვეურნი ერთგვარად თავს იზღვევენ, „იფარგლებიან“ განცხადებით — „ალმანახი „მწიგნობარი“ მოგვითხრობს წიგნებსა და წიგნის შემქმნელებზე, ძიებებზე წიგნის სამყაროში, ძველ წიგნებზე, სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე, წიგნისმოყვარულებზე“ — მათ უთუოდ კარგად აქვთ გაცნობიერებული გალილეო გალილეის სიტყვები, ერთ-ერთი რუბრიკისთვის რომ წაუმძღვარებიათ: „მხოლოდ დოგმის სიკვდილით იწყება მეცნიერება“. არადოგმატური მიდგომა კი მათ ფართო თვალსაწიერსა და მაღალ პროფესიონალიზმს მიგვანიშნებს. ამიტომაც არის ეს სამეცნიერო-პოპულარული გამოცემა თანაბრად მიმზიდველი და სასარგებლოც ნაირგვარი ინტერესებისა და მოთხოვნილებათა მკითხველებისთვის — როგორც წიგნისა და მწიგნობრობის გაუწაფავ მოყვარულთათვის, ისე სტუდენტების, პედაგოგებისა თუ პროფესიონალი ლიტერატორებისთვის.**

**ჩვენი მიზანი არ არის „მწიგნობარის“ ახალი ნომრის დაწვრილებითი განხილვა. ალმანახის თაობაზე აზრის შესაქმნელად მისი რუბრიკებისა და ავტორების დასახელებაც იკმარებს.**

**გამოვყოთ ზოგიერთი პუბლიკაცია: ნოდარ ტაბიძის „პირველი ქართული ჟურნალი“ (რუბრიკა „წიგნი და ცხოვრება“), ლევან მენაბდის „შოთა რუსთაველის ძველი პორტრეტები“ („ძიებანი“), გრიგოლ რობაქიძის წერილები აკაკი პაპავასამდმი („დრო და ადამიანები“), ზაირა სტურუას „პიეტრო დელა ვალეს მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები „განახლდა ვალე!“ („მსოფლიოს მერიდიანებზე“), ალექსანდრე გვახარიას „სოფიო მარი“ („ჩვენი იუბილარები“), ანჟელინა რატიანის „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კოლექცია“ („ბიბლიოთეკები და ბიბლიოფილები“) და სხვ.**

**თუკი ზემოხსენებული წერილები ზედმიწევნით პასუხობს „მწიგნობარის“ მცდელობას — ნარკვევთა მეცნიერული სიღრმე გასაგები გახადოს მასობრივი მკითხველისთვის, ნაშრომთა ერთი რიგი ნაკლებად იზღუდება და „სუფთა“ სამეცნიერო თხზულების ჟანრს უახლოვდება (კორნელი დანელიას „მწიგნობარი“ სიტყვის ისტორიისთვის“ ან მერაბ გაბუნიას წერილი გრიგოლ რობაქიძის ენიგმურ რომანზე „გველის პერანგი“ და სხვ.); იმედია, ეს ფაქტი ალმანახის ნაკლად არ ჩაითვლება, რადგან ამგვარი ნაირფეროვნება განსაზღვრავს „მწიგნობარის“ ერთგვარ ელიტარულობასაც.**

**ალმანახის შეძენის მსურველთა საყურადღებოდ: „მწიგნობარი“ იყიდება „საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოებასა“ და გამომცემლობა „მერანის“ საფირმო მაღაზიაში.**

ᲚᲐᲚᲘ ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ



# ოდონ ფონ ჰორვათი (1901-1938)

თვალსაჩინო ავსტრიელი დრამატურგი და პროზაიკოსი. მისი ამ ნოველის გმირი თანამედროვე ქართველი მკითხველისთვის სრულებითაც არ უნდა იყოს უცხო. ყოველ შემთხვევაში, ლოიბლისნაირები ჩვენს გარშემო მრავლად იყვნენ და ალბათ დღესაც არიან.

# მამაპაპური სიკვდილი

ერთი შუაევროპული რესპუბლიკის დედა და სატახტო ქალაქში, რომელიც სამხრეთით უწყინარ მაწანწალებს, ჩრდილოეთით კი, სამაგიეროდ, მძვინვარე მეკობრეებს უსაზღვრება, ჯერ კიდევ 1925 წელს ცხოვრობდა კეთილი და პატიოსანი კაცი, ღვთისმოშიში და წინაპართა პატივისმცემელი ფრანც ქსავერ ლოიბლი; სახლის პატრონი, ოჯახის მამა და მამაკაცთა მომღერალი გუნდის ,,ათენ-აღმოსავლეთის'' საპატიო წევრი; იგი დედაბუნებას მხიარული ხასიათით დაეჯილდოებინა და სანამ შეეძლო, ყველა ამქვეყნიურ სიამეს გულხავსედ ეწაფებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ებრაელებმა ტავიანთი მარიონეტების დახმარებით ამ რამდენიმე წლის წინ ქვეყნის უფალი განდევნეს და რესპუბლიკა გამოაცხადეს, გაცინებული ლოიბლი არავის უნახავს, ეს იყო, ხანდახან გესლიანად თუ ჩაიღიმებდა. ახლა სიმწრითა და ლუდით სავსე ლოიბლი განმარტოებას ეძებდა და მუდამ ამოჩემებულ მაგიდას უჯდა; არც კეგლის ეკარებოდა, არც მღეროდა და არც ტაროკს თამაშობდა. ყველგან რესპუბლიკელები ელანდებოდა და შავ-წითელ-ოქროსფერი დროშა ეზმანებოდა.

ესიზმრა ერთხელ, ვითომ ზალცბურგიდან ბერხტესგადენს მიემგზავრებოდა. აღდგომა იყო, ჰაერში თოვლის სუნი ტრიალებდა, თუმცა მდელოები ამწვანებული იყო. ქოინიგზეეზე (ხელმწიფის ტბაზე) ჩასულმა ლოიბლმა ხალხის ღუნდგოში ამოყო თავი; სულ საუქმოდ ჩაცმულ-დახურული სოფლელები იყვნენ, მაგრამ როგორც კი კარგად მიიხედ-მოიხედა, ხალხი საოცრად გამოცვლილი ეჩვენა; მერე ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეათვალიერა სოფლელები და შეცბუნებულმა საშინელი ცვლილება შენიშნა: ტყავის შარვლები კოჭებამდე სწვდებოდათ, ყველა რალაცნაირად ეპატარავა, შავი, ტალღოვანი თმა ჰქონდათ, საფეთქლებზე კულულები ჩამოჰყროდათ და ბრტყელტერფიანები იყვნენ. მწყემს ქალებს სარა და რებეკა, ლეა, რუთი და საბინე ერქვათ! ერთმა მკერდჩავარდნილმა ინტელიგენტმა სიტყვაც წარმოთქვა აუტანელ ჩრდილოურ კილოკავზე (ყველა ალტაცებით გაჰყვიროდა — ,,ვაშა-ვაშაო!'').

მეო, ბრძანა მან, ტარნოპოლიდან პირდაპირ თქვენსკენ გამოვეშურე (''ვაშა!''), რომ ქოინიგზეესთვის სახელი საზეიმოდ შემეცვალა და ზეე დერ რესპუბლიკ (რესპუბლიკის ტბა) მეწოდებინა; გარსშემოჯარული კლდეებიდან კვლავ გაისმა მრავალათასიანი ბრბოს გამაყრუებელი ,,ვაშას'' ექო; ჩვენმა ლოიბლმა კალენდარს დახედა; წითელი ციფრით პირველი მაისი იყო აღნიშნული. თან შაბათიც ყოფილა. ესეც ემთხვეოდა. მაშინ სასოწარკვეთილმა გამეტებით მოიქნია ხელი და... გაეღვიძა.

შვება იგრძნო, როცა მიხვდა, ყველაფერი სიზმარიაო; ქოსმენივით ხვითქი გადასდიოდა. მისი ოცდახუთწლიანი ქორწინების მეორე ნახევარი და მათი ასულის, ტერეზას დედა, მარიად სახელდებული, შეშფოთებული ლოგინში წამომჯდარიყო. ნეტა კიდევ რა ოხრობა დაგესიზმრა, ნუთუ ყოველღამე ჯანდაბა ცხენივით უნდა იქსუტუნო და იფრთხვინოო. მერე ისევ გვერდში მოუწვა და გააბა: დაძინებამდე რაღაც უნდა წაიკითხო ხოლმეო, რაღაც, რაც ზოგს აფრთხობს და ზოგსაც ისე იტაცებს, ვინ იცის. იქნებ სიზმრადაც ის დაგესიზმროსო. მეო, მაგალითად, რომანებს ,,ნოიესტენ ნახრიხტენში'' (ახალი ამბები) ვკითხულობ, მერე საერთოდ ალარაფერი მესიზმრება. ჰოდა, ლოიბლმაც იქნებ... არა, იქნებ კი არა, დღეის ამას იქით აუცილებლად უნდა იკითხოს, მაშინ გაფოთებული ღორივით ოფლში აღარ გაიწურება, აღარც ირემივით იქშუტუნებს და აღარც ცოლს შეაწუხებს იმით, რომ საწოლი ტყვიამფრქვევივით თახთახებს. მერე მორწმუნე ქრისტიანი ქალივით მღვდელთან გარბის ზეთით კურთხევისთვის, თუმცა გულდაჯერებული არასოდეს არაფერშია.

ცოლის მჭევრმეტყველებამ საბოლოოდ გატეხა ლოიბლი. აპოკალიფსური ხილვებით დაოსებულს ძალა აღარ შესწევდა ქალს შეწინააღმდეგებოდა. სადღაც გაუქრა ნაბეჭდი სიტყვების შიში და იმ დილასვე მედგრად გადააბიჯა წიგნის მაღაზიის ზღურბლს. გადაწყვეტით კი გადაწყვიტა, მაგრამ ამდაგვარ ,,დუქანში'' შესვლა მისთვის მთლად იოლი არ უნდა ყოფილიყო. შიგ რომ შევიდა, გოეთესა და კანტს შორის ჩარიგებული ყველა წიგნის ავტორი ეუცხოვა, თითქოს თავისიანები არც კი იყვნენ, უცხოელებს ჩამოჰგავდნენ. არა, ამათ ჰაერს დიდხანს ვერ ვისუნთქავო, გაუელვა თავში და ბევრი აღარ უფიქრია, მოითხოვა, ისეთი წიგნი თუ წიგნის მაგვარი მინდა შევიძინო, რომელშიც დალოცვილი გარდასული დრო იქნება აღწერილიო.

ლოიბლმა ,,ძველი დროის მამაცი გერმანელი ტომების ადათ-წესები'' იყიდა, რომელიც მცოდნე კაცის შედგენილი იყო და, მაღაზიიდან გამოვიდა; სამი მარკა ვიზარალე, ანუ ექვსი კათხა ლუდიო, — ანგარიშობდა გზადაგზა.

დაღამდა. ლოიბლი თავის ბიბლიოთეკაში იჯდა. უნდობლად განწყობილი ბუზღუნით ფურცლავდა წიგნს. შემდეგ სინათლე ჩააქრო, ერთი დაამთქნარა და თავი ძილს მისცა; და ჰოი, საკვირველებავ! ძილში კალის ჯარისკაცები და a'la Suise დეკოლტეები იხილა. რაც მას კალის ჯარისკაცებზე ესიზმრა, ამას ვერ აგიწერთ, თორემ შეიძლება სამხედრო საიდუმლოებათა გაცემა დაგვწამონ; ვერც იმას გეტყვით, დეკოლტე რანაირად ეზმანა, მეშინია, ჭუჭყსა და ლაფში არ ამოვსვაროთ.

ერთი სიტყვით. როცა ლოიბლმა დილით თვალი გაახილა, ძუძუნაწოვი ჩვილი ბავშვივით გაიღიმა და ძალების საოცარი მოზღვავება იგრძნო.

ორ კვირაში ათი გვერდი წაიკითხა და მეორე თავზე შეჩერდა, რომელსაც უცნაური სათაური ჰქონდა: jus primal noctis, ლოიბლი უცხოური სიტყვების სასტიკი წინააღმდეგი იყო და ამიტომ იფიქრა, ამ თავს შიგადაშიგ გადავხედავო, მაგრამ მერე ქვესათაურს დააკვირდა, სადაც ასე ეწერა: პირველი ღამის უფლება. ნეტა ეს რა უნდა იყოსო, გაიფიქრა და კითხვას შეუდგა; შეუსვენებლივ კითხულობდა. თავდაპირველად წაკითხული არ ესმოდა, მაგრამ მერე, როცა რაღაცას მიხვდა, ეგონა შეცდომები ბეჭდვის დროს მოუვიდათო და, თავიდან დაიწყო კითხვა. თითოეულ სიტყვას მანამდე მარცვლავდა, სანამ, როგორც მოწაფე საშინაო დავალებას, წაკითხულს აბზაც-აბზაც არ დაიზეპირებდა. ულლის თანამოზიარე კარგა ხანია ხვრინავდა, მაგრამ ლოიბლის თვალებს დაღლა არ ეკარებოდა. მის გონებაში თავაწყვეტილი ცირკის ცხენებივით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ფიქრები, სურათები და აკორდები; და უცებ, მისი ფანტაზიიდან გულშემზარავი გეგმა გამოიკვეთა, რომელმაც ლოიბლის არსება მთლიანად შეძრა და შეაზრიალა: იგი თავის უფალს — უზენაეს წინამძღოლს საკუთარ ქალიშვილს, სისხლსა და ხორცს, ტერეზას მიუძღვნის! დიახ, ქვეყნის მეუფეს და მხოლოდ მას, მიუხედავად რესპუბლიკის და ხელშეკრულების მხარდაჭერის პოლიტიკისა, აქვს პირველი ღამის უფლება! მარტოოდენ ღვთიური ნიჭით ცხებულის კურთხევა აქცევს ადამიანს ადამიანად!

ჰო, მეუფემ უნდა იცოდეს, რომ მის ქვეყანაში კვლავ მრავლად არიან ტრადიციების ერთგული მამაკაცები; მან უნდა იგრძნოს, რომ მამაპაპური ადათ-წესების დაცვა ლიტონ სიტყვებად ჯერ კიდევ არ ქცეულა; ამას იგი, ფრანც ქსავერ ლოიბლი დაამტკიცებს!

როგორც დაფდაფების გრიალი ლუდით სავსე კათხებით მიჯახუნებისას, ისე ხმამაღლა ჟღერდა ტრადიციების ერთგული კაცის სიმღერა! მაგრამ, გათენდა თუ არა, ცოლმა ლოიბლს შეუბღვირა, ეს რა სისულელე მოგიჩმახავსო. ისიც უთხრა, რაღა დაგიმალო და, მგონი აფრენ კიდევაცო; გარდა ამისა, შენი გეგმა უზნეობაა და, მართალი თუ გინდა, ეგეთი წესი მხოლოდ ჩრდილო გერმანელებს ჰქონდათ, ჩვენში არასოდეს ყოფილაო. და მაშინ თქვა ლოიბლმა, ჩემი აფრენა არავის გაუგონია, აი, შენ კი ახალი დროის ერთი უვარგისი ქალი ხარ, განაზებული და უნიათო; თუ ასე არ არის, ახლავე ადექი, რომელიმე ყოფილ არტისტულ ქუჩაზე გადი და ერთი ლაზათიანად ჩამოუარეო. და უთხრა ცოლმა — რა მეცეკვებაო. მაშინ ლოიბლმა უთხრა — ამწამსვე ნახავ, ცეკვას როგორ დაგაწყებინებო; და გასძახა: ტერეზა! — მაშინ იყვირა ქალმა, ახლავე ექიმს მოვიყვანო. და ლოიბლმა უთხრა: აბა, აბა, მოკეტე ახლა! კრინტი აღარ გამაგონო! კი, როგორ არა, ყველა სულელია, ვინც დიდებული წარსულის ერთგული დარჩაო. ესა თქვა და კვლავ თავის ასულს გასძახა.

ისიც მოვიდა და რაკი იგი თვითონ ლოიბლმა შვა, უთხრა მას:

— მე ვიცი, რომ ყოჩაღი გოგო ხარ და თუმცა ღრეობებში შენთვის გავაზე ათასჯერ უპწკენიათ, ქალწული დარჩი წინიდანაც და უკნიდანაც. მაშ, წადი ქვეყნის უფალთან და მიუძღვენი მთვლემარე საუნჯე შენი, ვინძლო ხელი შეახოს და გამოაღვიძოს, ასეთია წესი და ადათი.

ესა თქვა და თავისი ასულის დალოცვა დააპირა, მაგრამ ბავშვი არ დაეთანხმა:

— შენ სცდები მამაჩემო! შენ სცდები!

— სცდებიო?

— ჰო, სცდები, მე ჩემი საუნჯე ჰაიდელბერგში დავკარგე.

— რაო?

— ზაფხულის ერთ ცხელ ღამეს.

— დავკარგეო? — სქესობრივი სიმწიფის ტრაგედიის გმირივით წაისისინა მამამ. — დავკარგეო? ოჰ, შე ქვეყნის ნათრევო! ასეთი რამ რომელ წესიერ გოგოს დაუკარგავს!

— მამაჩემმა ცოტა ხომ არ აფრინა? — ჰკითხა ქალიშვილმა დედას. დედამ დაუმოწმა: ამას რაღა კითხვა უნდაო! მერე ქალიშვილი მამას მიუბრუნდა და სთხოვა, ამა და ამ კითხვებზე პასუხი გამეციო. სანამ გავიზრდებოდი, ნუთუ სულ გეძინა, რომ ასეთი ბინძური რამ მაკადრეო; ამას გარდა, იქნებ იმაზეც გეფიქრა, რომ ქვეყნის უფალი უკვე გვარიანად მოხრონცებული უნდა იყოსო; და კიდევ, არ უნდა იცოდე, რომ ქვეყნის უფალი უკვე აღარ არსებობს, შენ ალბათ, ლანდტაგის პრეზიდენტს გულისხმობდიო. მაგრამ ლოიბლმა თავისი ასულის პასუხის ღირსადაც აღარ ჩათვალა, გაჩუმდა. მწარედ თუ ჩაიქირქილებდა ხანდახან მკვდრეთით აღმდგარი სამეფო თეატრის მსახიობივით.

ამ ამბის მერე ლოიბლმა ყველა სულიერის ნდობა დაკარგა; უცებ შეიძულა დღე და მზის სინათლე. დასწყევლა ნათელი — მისი ოცნებების დამანგრეველი.

ერთადერთ ვნებად ახლა ძილი ექცა, მანამდეც რომ ძალიან უყვარდა. ორი კვირის თავზე უკვე შუადღისას მიდიოდა დასაძინებლად.

და ასე, ყოველდღე — თექვსმეტი თუ თვრამეტი საათის განმავლობაში ესიზმრებოდა ლოიბლს მორჩილება და განკითხვის დღე, კოცონშენთებული მწვალებლები, ავსულთა განდევნის პროცესები და ებრაელთა დაღვრილი სისხლი; ყოველ შემთხვევაში, ის ბნელი დროება წარსულს ეკუთვნოდა.

გავიდა კიდევ ორი კვირა და, ლოიბლს უკვე დღიან-ღამიანად ეძინა, მარტო იმისთვის თუ გაახელდა თვალს, რამე ხემსი ჩაედო პირში, მაგრამ გაიარა კიდევ ორმა კვირამ და საწყალს საერთოდ აღარ გამოუღვიძია.

ძილის ფრთებით ლოიბლი იმ სამეფოში გადაფრინდა, ყველაფერი რომ ისევეა დარჩენილი, როგორც პირველ დღეს; და ახლა, ლოიბლი იმ სივრცეებში დაეხეტება, სადაც ყოველივე მამაპაპურია, ყოველივე მარადისობასავით ტრადიციულია.



თარგმნა

**გიორგი მაჭუტაძე**



# ლევ შესტოვი — 130

## მხოლოდ რწმენით

**დღეს ძალიან ხშირია მცდელობა, ამა თუ იმ მოაზროვნის მსოფლმხედველობრივი კრიზისი ავადმყოფობას ან პირად ცხოვრებაში მომხდარ რაიმე ტრაგიკულ ფაქტს დაუკავშირონ, გამოიკვლიონ მიზეზი, რომელიც ,,ყველასათვის" გასაგებს გახდის ადამიანის ყველაზე ფარულ გრძნობებს, დაგვანახებს ,,ახალი თვალთახედვის" მოპოვების მეტად მტკივნეულ პროცესს. ალბათ, ასეთ ,,მიზეზებს" უნდა ,,ვუმადლოდეთ" კირკეგორის, დოსტოევსკის, ნიცშეს, როგორც მოაზროვნეების დაბადებას. მათ რიცხვს მიეკუთვნება ლევ შესტოვიც, XX საუკუნის რუსული რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი.**



ლევ შესტოვი (იეჰუდა ლეიბ შვარცმანი) 1866 წლის 13 თებერვალს დაიბადა კიევში, გავლენიანი ებრაელი კომერსანტის, ისაკ შვარცმანის ოჯახში. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, ჯერ მათემატიკურ, შემდეგ კი იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლა კიევში დაამთავრა 1889 წელს და დაიცვა დისერტაცია, რომლის გამოცემაც მთავრობის ცენზურამ აკრძალა. მუშაობდა ადვოკატად და ნაფიცი რწმუნებულის თანაშემწედ. 1895 წელს შესტოვმა მძიმე ნერვიული დეპრესია გადაიტანა, რამაც იძულებული გახადა საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო სამკურნალოდ. აქედან იწყება მისი ლიტერატურული ბიოგრაფია. ამ წლებში აღმოაჩინა მან ლიტერატურის წიაღში ფილოსოფია და დასვა კითხვები, რომელზე პასუხის გაცემასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობდა.

შესტოვი თავის პირველ მასწავლებლად შექსპირს მიიჩნევდა. ჰამლეტის ფრაზა — ,,დროთა კავშირი დაირღვა", ის ფილოსოფიური იმპულსი იყო, რომელმაც იგი ,,წყეული კითხვების" წინაშე დააყენა და ადამიანური არსებობის პრობლემაზე ჩააფიქრა. ხელგაუტეხავმა ,,ლიტერატორმა" თავის თავზე აიღო ,,ნაღრძობი დროის" მოვლა-პატრონობის პასუხისმგებლობა და ჩათვალა, რომ წყეულმა ბედმა სწორედ მას არგუნა დარღვეული კავშირის შეკვრა. წიგნში — ,,შექსპირი და მისი კრიტიკოსი ბრანდესი" (1898) იგი ტანჯვის აუცილებლობაზე, მის გაამართლებულობაზე საუბრობდა, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ტრაგედიამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა გმირებზე და აღნიშნავდა, რომ დანაშაულის მიზეზი ბოროტი ნება კი არა, ცხოვრების საიდუმლოს გამოცნობის წინაშე ადამიანის უსუსურობა იყო, ვისი გონებაც ვერ აღწევდა იქ, სადაც იწყება და სრულდება ადამიანის ბედი. ამ დროს ყალიბდება შესტოვის ისტორიოსოფიაც: შეუძლებელია ისტორიული მოვლენები ლოგიკურად ან რაღაც მზა სქემების მიხედვით ახსნა. მისი აზრით, ამ მხრივ, საბედისწერო როლი ითამაშა ნეტარმა ავგუსტინემ, რომელმაც საკმაოდ დიდხანს დაჰყო ელინურ სკოლაში და მიუხედავად წარმართობისადმი თავისი ზიზღისა, მაინც ვერ თქვა უარი დასკვნის გაკეთების უფლებაზე: ,,თუ ებრაელი ხალხის ბედი გაცხადდა, სავსებით შესაძლებელია გაცხადდეს სხვა ხალხების, მთელი კაცობრიობის ბედიც". ყველაფრის შეცნობის ეს ელინური მეთოდი, წამყვანი აღმოჩნდა ევროპული კულტურისთვის და ფილოსოფოსების ცოდვა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისინი აბსოლუტს, ჭეშმარიტს ეძიებენ, არამედ იმაში, რომ როცა ისინი რწმუნდებიან თავიანთი გარჯის ამაოებაში, ქმნიან ახალ ჭეშმარიტებას ან გადააქვთ იგი ადამიანური შემოქმედების სფეროში. მათ სურთ გამოუცნობი ისტორიული რეალობა ერთ, ადვილად აღსაქმელ ჭეშმარიტებამდე დაიყვანონ და თავიდან მოიშორონ ყველაფერი, რაც ჰარმონიულად ვერ მოთავსდება მათ მიერ შექმნილ სამყაროს სურათში.

ლევ შესტოვის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ფრიდრიჰ ნიტშეს (1844-1900) ფილოსოფიამ. ორი ახალი წიგნის სათაურში ("სიკეთე გრაფ ტოლსტოისა და ფ.ნიცშეს მოძღვრებაში. ფილოსოფია და ქადაგება". — 1900 და ,,დოსტოევსკი და ნიტშე. ტრაგედიის ფილოსოფია." — 1903) მოხსენიებული დიდი გერმანელი ერთგვარ მოსამართლედ იქცა, რომელსაც განაჩენი უნდა გამოეტანა რუსული და, საერთოდ, ლიტერატურისთვის. ამიერიდან შესტოვის დევიზი ნიცშესეული Amor fati-ა, რომელიც ,,ქადაგებას" დაუპირისპირა და უარყო მქადაგებლური ტონი, მწერლის სურვილი ,,მყარი ნიადაგი" მოიპოვოს სინამდვილის გასააზრებლად, რომლის ძალაც ,,ტრაგედიის ფილოსოფიით" გააქარწყლა. მისი აზრით, იგი ერთადერთი ჭეშმარიტი ფილოსოფიაა, მას ყოველთვის გრძნობს დიდი შემოქმედი და არ შეუძლია თავიდან აიცილოს იგი, თუმცა ,,ლიტერატურა" მთელი რიგი პირობითობების საშუალებით ასუსტებს და ჩქმალავს ტრაგედიის არსს. მწერალი განწირულია საკუთარი ემოციები ლიტერატურის სცენაზე ,,გაითამაშოს", რადგან ლიტერატურის საშუალებით უშუალობის მიღწევა შეუძლებელია, იგი მხოლოდ შუამავლის როლს თამაშობს.

,,Mihi ipsi scripsi" ("დავწერე ჩემთვის".- ლათ.) — აღმოხდა თურმე ნიცშეს, როცა ,,ასე იტყოდა ზარათუსტრა" დაასრულა. შესტოვის აზრით კი, შეუძლებელია დაწერო წიგნი შენთვის, რადგან მწერლის წინაშე დგას დილემა — ან უნდა წერო იმ მზა ფორმებით, რომელსაც ენა გაწვდის, ან ყველასთვის გაუგებარი უნდა იყო. ამის ფონზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრიტიკოსის როლს, მან თანაშემოქმედების აქტით უნდა გაარღვიოს ,,ლიტერატურა" და გადავიდეს ,,მუსიკაში" ("გხურდეს მუსიკა ახლა, ყოველთვის!... სხვა ყველა არის — ლიტერატურა". — პოლ ვერლენი), რომელიც სწორედ ,,ლიტერატურის" წყალობით ინარჩუნებს თავის ჭეშმარიტ ბუნებას. შესტოვისთვის ფილოსოფიის არსი ლიტერატურის კრიტიკაში მდგომარეობს, იგი ესთეტიზმს და ,,ლიტერატურას" უპირისპირებს კონცეფციას ,,შემოქმედება არაფრისგან", შემოქმედება იდეების გარეშე.

ლევ შესტოვის პირველი ფილოსოფიური ნაშრომები ახალი რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებასთან ერთად გამოჩნდა, დაემთხვა ე.წ. XX საუკუნის რუსულ რელიგიურ-ფილოსოფიურ რენესანსს. მას ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ამ მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან: ნ.ბერდიაევთან, ს.ბულგაკოვთან, ს.ფრანკთან, ვ.ივანოვთან, ვ.როზანოვთან და დ.მერეჟკოვსკისთან. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: ,,Мир исскуства", ,,Новый путь", ,,Вопросы жизни", ,,Русская мысль", მაგრამ არასდროს მიუღია მონაწილეობა მათ კოლექტიურ-საპროგრამო გამოსვლებში ("Проблемы идеализма"- 1902, ,,Вехи"-1909, ,,Из глубины"-1918) და ყოველთვის კრიტიკულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა მათ მიმართ. მისი აზრით, ამ თაობის ფილოსოფოსთაგან ყველა თავისებურად ცდილობდა ისტორიის ობიექტური რეალობიდან წასვლას. ძველი მარქსისტები (ბერდიაევი, ბულგაკოვი და ფრანკი საუკუნის დასაწყისში ე.წ. ,,ლეგალური მარქსიზმის" წარმომადგენლები იყვნენ). უეცრად ღვთისმაძიებლებად გადაიქცნენ და საკმაოდ მოკლე ვადებში მოახერხეს სოლოვიოვის რელიგიური ფილოსოფიის კალთებქვეშ მოკალათება. შესტოვი ირონიით უყურებდა რუსი ღვთისმაძიებლების გარჯას და აღნიშნავდა, რომ ბერდიაევი ქრისტიანი გახდა მანამ, სანამ რწმენის სიმბოლოს ისწავლიდა, ხოლო ს.ბულგაკოვმა ეს ძნელი ამოცანა მეტად ორიგინალურად გადაწყვიტა: იგი ქრისტეს სახელს ისეთივე ტონით წარმოთქვამდა, როგორც ადრე მარქსის სახელს.

ამ მოაზროვნეებმა პირველი პუბლიკაციების შემდეგ, შესტოვი თავისიანად ჩათვალეს, მერეჟკოვსკი აღფრთოვანებული იყო მისი სტილით ("საიდან ფლობს ასე ეს ებრაელი რუსული ენის ბრწყინვალებას?!"), მაგრამ თავად შესტოვმა ორი სტატიით მკვეთრად განასხვავა თავისი პოზიცია მათი მიმართულებისგან. თუმცა მიუხედავად ამ უთანხმოებისა, შესტოვს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ბევრ მათგანთან. ნ.ბერდიაევი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში ,,თვითშემეცნება" (1949) წერდა: ,,ადამიანი, რომელიც ჩემი მეგობარი დარჩა სიცოცხლის ბოლომდე... ჩვენ ყოველთვის ვკამათობდით, გვქონდა განსხვავებული მსოფლაღქმა, მაგრამ შესტოვის პრობლემატიკაში ჩემთვის რაღაც ახლობელიც იყო, ეს არამარტო საინტერესო გონებრივი ურთიერთობა იყო, ეს იყო ეგზისტენციალური ურთიერთობა, ცხოვრების არსის ძიება".

რევოლუციის შემდეგ (1920 წელს) შესტოვი ემიგრაციაში მიდის, იგი თექვსმეტი წლის მანძილზე კითხულობდა პარიზის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე თავისუფალ კურსს ფილოსოფიაში: ,,XIX საუკუნის რუსული ფილოსოფია", ,,ძველი ფილოსოფიის ძირითადი იდეები", ,,რუსული და ევროპული ფილოსოფიური აზრი", ,,ვლადიმერ სოლოვიოვი და რელიგიური ფილოსოფია", ,,დოსტოევსკისა და პასკალის ფილოსოფიური იდეები". მას ლექციების წასაკითხად იწვევენ მარტინ ბუბერი და ედმუნდ ჰუსერლი (ჰუსერლი ამბობდა: ,,ჯერ არავინ, არასდროს ასე არ დამსხმია თავს, როგორც ის (შესტოვი) — აქედან იღებს სათავეს ჩვენი მეგობრობა"), მისი წიგნები გამოდის უცხო ენებზე, პერიოდიკაში იბეჭდება მისი სტატიები, უახლოვდება ფრანგი ინტელექტუალების წრეს: ლ.ლევი-ბრიულს, ჟიდს, ამალრიოს. 1925 წელს კი მიიღო ნიცშეს საზოგადოების პრეზიდენტის, ფრიდრიჰ ვიურცბახის მოწვევა და ამ საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი გახდა თომას მანთან და ჰუგო ფონ ჰოფმანსტალთან ერთად. ამ წლებში მოხდა მისი შეხვედრა დიდი დანიელი მოაზროვნის სიორენ კირკეგორის (1813-1855) შემოქმედებასთან.

რუსეთში სრულიად უცნობი იყო ეს სახელი. შესტოვმა ამ მოაზროვნის შესახებ პირველად 1928 წელს გაიგო ე.ჰუსერლისგან და იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ არ იცნობდა მის ნაწერებს. მან დიდი ინტერესით დაიწყო კირკეგორის შესწავლა. უკვე 1932 წელს იგი სორბონის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციების კურსს ,,დოსტოევსკი და კირკეგარდი", 1934 წელს კი გამოსაცემად მოამზადა წიგნი ,,კირკეგარდი და ეგზისტენციალური ფილოსოფია", რომელიც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, 1939 წელს გამოიცა.

ჯერ კიდევ ათიან წლებში, შვეიცარიაში ყოფნისას, ჩაუღრმავდა შესტოვი რელიგიურ პრობლემებს, რწმენისა და გონების ურთიერთობას. კითხულობდა ბლეზ პასკალის, მარტინ ლუთერის ნაშრომებს. ამ უკანასკნელში მან არა მარტო რელიგიური მოღვაწე და რეფორმატორი დაინახა, არამედ მეამბოხეც, რომელიც დაუპირისპირდა ოფიციალურ კათოლიკურ ეკლესიას და გამოაცხადა იმ არაადამიანური უიმედობის შესახებ, რომელიც თავად განიცადა, როცა გააცნობიერა, რომ ადამიანის ნება პარალიზებულია და ბრძოლა მოსალოდნელ განსაცდელთან შეუძლებელია. იგი რწმენის პოზიციებიდან დაუპირისპირდა რაციონალიზმს, ერთადერთ ღირებულებად რწმენა აღიარა და პავლე მოციქულის სიტყვებს, ,,რწმენით მართლდება ადამიანი", დაუმატა: ,,მხოლოდ რწმენით მართლდება ადამიანი" (შესტოვის დაუმთავრებელ წიგნსაც ასე ერქვა ,,Sola fide" ,,მხოლოდ რწმენით").

საკირკეგორის ფილოსოფიაშიც სწორედ ეს, რწმენის იდეა იყო მნიშვნელოვანი შესტოვისთვის. მისთვის ქრისტიანული და, საერთოდ, რელიგიური ცნობიერების ალფა და ომეგას პირველი ცოდვის დოგმა წარმოადგენდა. მხოლოდ საკუთარი ცოდვის გაცნობიერებით, რწმენით არის შესაძლებელი ხსნა. ,,ღმერთი განხორციელებული კაპრიზია — ამბობდა შესტოვი — რომელიც ყველანაირ გარანტიებს უარყოფს". ყოფიერების დასაბამი მასში კი არაა, რაც ხილულია, არამედ იმაში, რაც დაფარულია, ამ დაფარულის აღმოსაჩენად კი იობის მსხვერპლი უნდა გავიღოთ, გავწიროთ ყველაფერი: გონება, ზნეობა, ნების თავისუფლება, ყოველდღიური ცხოვრება და ადამიანური კომუნიკაბელობის ღირებულებაც. ჭეშმარიტება გადაცემისას განიბნევა, ამიტომ მარტოსულობა არის საწყისი და პირობა საიდუმლოსთან მიახლებისა, მხოლოდ უკიდურესი უიმედობითაა შესაძლებელი ღმერთამდე ამაღლება. შესტოვმა, შეიძლება ითქვას, პირველმა აღნიშნა ,,სხვებთან" ინდივიდის კავშირის დარღვევის შესახებ ("ჯოჯოხეთი — ეს არის სხვა" — ჟ.პ.სარტრი) და განსაზღვრა ეგზისტენციალური ფილოსოფიის გზები.

ლევ შესტოვი 1938 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა პარიზში.

**მალხაზ ხარბედია**



17 თებერვალი, 1996 წ.

## მცირე დეტექტივი

# ედმუნდ კრისპინი



„შანტაჟისტებიო, ამბობთ..." — ინსპექტორმა პამბლბიმ ყავის სმა მოათავა, ფინჯანი მაგიდაზე დადგა და საყვარელი მანილური სიგარის ძებნას მოჰყვა ჯიბეებში. „მართალია, ხანდახან გვიწევს ხოლმე მაგათთან ურთიერთობაც. არ გაგიკვირდეთ და ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, სხვა ყალთაბანდებს ისევ შანტაჟისტები მირჩევნია. დეტექტიური რომანების ავტორები უსინდისო და ნამუსგარეცხილ ადამიანებად კი გვიხატავენ, მაგრამ პირადად მე, მათ, ბოროტმოქმედთა შორის, საზოგადოებრივად ყველაზე სასარგებლო ტიპად მივიჩნევ. ქურდობისგან, აფერისტობისგან და გაფლანგვისგან განსხვავებით, შანტაჟი, ასე ვთქვათ, დამსჯელი ფუნქციის მატარებელია. ალბათ, დამეთანხმებით, შანტაჟის მსხვერპლი რომ გახდე, რაღაცაში უნდა იყო კაცი დამნაშავე.

ისე არ გამიგოთ, თითქოს შანტაჟისტებს ვქომაგობდე", — ინსპექტორმა სიგარა იპოვა და აუჩქარებლად მოუკიდა. „ძალიან ბევრი შემთხვევა შემიძლია გავიხსენო, როცა პოლიციის ცხვირწინ უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი სამხილები გამქრალა და მერე ეს სამხილები ვიღაც-ვიღაცეებს მშვენივრად გამოუყენებიათ ანგარების მიზნით. შანტაჟისტისთვის ხომ გაცილებით იოლია სამხილის ხელში ჩაგდება, ჩვენგან განსხვავებით, უამრავი უაზრო წესი და ინსტრუქცია არ უბორკავს ხელ-ფეხს. მეორე მხრივ, ნებისმიერი ჩვენგანისა არ იყოს, ისიც მოკვდავია. მეტ-ნაკლებად სერიოზული შანტაჟისტის სიკვდილი კი ყოველთვის დიდი მოვლენაა პოლიციისთვის, შეგიძლიათ სიტყვაზე მენდოთ. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი გაუხსნელი დანაშაულის გამოძიებას დაეხმარა საიქიოს გამგზავრებული შანტაჟისტების არქივები, მკვლელობების ჩათვლით. გინდაც, სოლ კოლონას საქმე გაიხსენეთ. ვერასოდეს ვერაფერს დავუმტკიცებდით, ერთ ცნობილ გამომძალველს მისი გამომამხილებელი წერილი რომ არ ჩავგდო ხელში ცოტა ხნით ადრე, სანამ თვითონ ავტობუსის ქვეშ ჩავარდებოდა".

„ორი არმანიაკი, თუ შეიძლება". ჯერვას ფენმა კლუბის ოფიციანტს ხელით ანიშნა და მერე ისევ თანამოსაუბრეს მიუბრუნდა — „კოლონა? თითქოს ნაცნობი გვარია, ოღონდ ვერ ვიხსენებ, საიდან მეცნობა". „არადა,- გატაცებით აგრძელებდა თხრობას პამბლბი,- ერთი შეხედვით წერილში რაიმე კომპრომატის შემჩნევა ძალიან ძნელი იყო... კოლონა საიდან გეცნობათ? ძმები იყვნენ, სოლი და პარი, ამერიკელები. ორივე პირველად ჩამოვიდა ინგლისში, 1951 წლის აპრილის დასაწყისში. სოლი ჩიკაგოს რომელიღაც გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტი უნდა გამხდარიყო, პარი აპირებდა, რომანს ჩასჯდომოდა აქ.

უცხო ქვეყანაში დასახლება მართლაც მშვენიერი მიზეზია ყველაფრის ხელახლა დასაწყებად, ხომ მართალია? მაგრამ, ბარგის ამოლაგებაც ვერ მოასწრეს ხეირიანად და ბურბონის ვისკის ყოველდღიური დოზის წყალობით პარის ისედაც უკვე შერყეული ჯანმრთელობა მთლად სავალალო გახდა. მოკლედ, ჩვენს ნისლიან კუნძულებზე პირველი რამდენიმე კვირის გატარება სპეციალურ საავადმყოფოში მოუწია, კარმანტერშირში, სამხრეთ უელსში. ამგვარი დაწესებულებებისთვის ჩვეულებრივი რეჟიმი — არც ერთი გრამი ალკოჰოლი, არავითარი თამბაქო, დღეში სამჯერ რძე და რეგულარული სეირნობა მთებში, სუფთა ჰაერზე — ცხადია, პარის სრულებით არ ეხატებოდა გულზე. სუფთა ჰაერზე მისი ყოველი გასეირნება, როგორც წესი, რომელიმე ლუდხანაში გვირგვინდებოდა. ერთი ეგაა, მთავარი ექიმის ეშინოდა და მთელი არსებით სძულდა კიდეც. ამიტომ, როცა დარწმუნდა, ამგვარი ყოფის ატანა აღარ შემიძლიაო, გადაწყვიტა, ბოლოჯერ განსაკუთრებული ეშხით გაესეირნა და თანაც ისე, რეჟიმის დარღვევა ვერავის დაებრალებინა. ბევრი აღარ უყოყმანია, მიატოვა მთელი თავისი ავლა-დიდება, წავიდა და უკან აღარც დაბრუნებულა.

ეს ამბავი 7 მაისს, საღამოხანს მოხდა. მეორე დღეს, დაახლოებით შუადღისას, ორივე ძმა — ყურადღება მიაქციეთ — ორივე, — მანქანით ჩავიდა ბრიქსემში, დევონშირის საგრაფოში და სასტუმრო „ბოლტონში" დაბინავდა. თავისუფალი დრო საკმაზე საყრელი ჰქონდათ: კორესპონდენტად სულ რაღაც ერთი თვის მუშაობის შემდეგ, სოლი, როგორც ამ საქმისთვის სრულიად შეუფერებელი, გაათავისუფლეს და ლონდონიდან ჩამოსვლაც არ გასჭირვებია. ბრიქსემში შესანიშნავ დროს ატარებდნენ, ერთობოდნენ როგორც შეეძლოთ. ბოლოს იქვე იყიდეს იალქნიანი კანჯო და ხშირად გადიოდნენ ღია ზღვაში.

და აი, 12 მაისს, საღამოს, მიუხედავად იმისა, რომ ქარიშხლის მოახლოება არანაირ ეჭვს არ იწვევდა, დემონსტრაციულად დაიკიდეს ფეხებზე ამინდის პროგნოზი, იალქანი აუშვეს, ზღვაში გაქიდნენ „სასეირნოდ" და, რაღა თქმა უნდა, პირდაპირ გრიგალის ეპიცენტრში ამოყვეს თავი. იმათ კანჯოს მთელი ღამე ბურთივით ათამაშებდა ცალკე ტალღები და ცალკე ქარაშოტი. რომელიღაც საბედისწერო წამს კი, პარის იალქნის ძელი მოხვდა თავში, გემბანიდან გადავარდა და საცოდავმა თქვენი ჭირი წაიღო.

ყოველ შემთხვევაში, ასე ჰყვებოდა ამ ამბავს სოლ კოლონა, რომელიც დარტმუტელმა მაშველებმა იპოვეს მეორე დილით. ვერსია იმდენად დამაჯერებელი ჩანდა, მაშინაც კი ვერ შეარყია ვერაფერმა, როცა ცოტა მოგვიანებით გაირკვა — თურმე პარის სიცოცხლე საკმაოდ გვარიან თანხად ყოფილა დაზღვეული და ერთადერთი მემკვიდრეც, რასაკვირველია, მისი ძმა სოლი აღმოჩნდა და არა ვინმე სხვა. გინდაც დანაშაულთან ჰქონოდა ხაქმე, ამის დამტკიცების არანაირი საშუალება არ ჩანდა და ამიტომ, პოლიციამ სადაზღვევო კომპანიას ფულის გადახდა ურჩია. რაც შეეხება გვამს, სექტემბრის დასაწყისში ამოათრიეს მეთევზეებმა სტარტ პოინტის ახლოს. სიკვდილის მიზეზის დადგენა უკვე შეუძლებელი იყო, თუმცა, სტომატოლოგიურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ეს მართლაც პარი კოლონას გვამი უნდა ყოფილიყო...

ასეც მოთავდებოდა ეს საქმე, ბარნი ლეიკინგი რომ არა.

არ შემიძლია, ღირსეული პატივი არ მივაგო ამ ადამიანს. ბარნი გაქნილიც იყო და გონიერიც. ჭეშმარიტი პროფესიონალი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. რამდენჯერმე დაიჭირეს და ჩასვეს კიდეც, მაგრამ როგორც კი ციხიდან გამოდიოდა, ისევ ძველ საქმეს, შანტაჟს, უბრუნდებოდა. იოლი წარმოსადგენია, რა გამგელებულები გავცვივდით იმის ბინის გასაჩხრეკად, როცა გავიგეთ, უაიტ-პოლთან 88-ე მარშრუტის ავტობუსმა გაიტანაო. უამრავ სხვა დოკუმენტთან ერთად, ის წერილიც იქ ვიპოვეთ. და მერე რა წერილი!

თავიდან არაფერი განსაკუთრებული არ მოგვხვედრია თვალში. მას მერეც, როცა გავარკვიეთ, რომ წერილს პარი კოლონა აწერდა ხელს, მაინც ძალიან დიდხანს ვიმტვრიეთ თავი, ვერა და ვერ მივხვდით, რა ხეირს ელოდა ამ წერილისგან საცოდავი ბარნი. როდის-როდის ამოვხსენი რებუსი... მოითმინეთ, ამწუთას გიჩვენებთ ამ თავსატეხ „უსტარს".

პამბლბიმ ბლოკნოტი ამოიღო და წერა დაიწყო.

„იმდენჯერ გადავიკითხე ეს წერილი,- წერის დროს ბურტყუნებდა პამბლბი,- ყველა სიტყვა სამუდამოდ ჩამებეჭდა ტვინში".

„წერილი კონვერტში იდო?" — დაინტერესდა ჯერვას ფენი.

„არა, კონვერტი ვერ ვიპოვეთ. მაგრამ გაითვალისწინეთ — ჩვენი გრაფოლოგები ერთხმად მივიდნენ დასკვნამდე, წერილი ნამდვილად პარი კოლონას დაწერილია და შიგ არც ერთი ასო არაა ჩამატებული, არც ამოშლილიო. აი, ინებეთ..."

პამბლბიმ ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია და ფენს გაუწოდა, რომელმაც შემდეგი წაიკითხა:

> შენც იცი საიდან
> 6.5.51
> ძვირფასო სოლ!
> მეტი აღარ შემიძლია. დროა სადმე გადავბარგდე. ამ ბარათს მიიღებ თუ არა, ყველა საქმე მიატოვე და მანქანით ჩამოდი ლანეგვადაში, კარმანტენშირის საგრაფოში, აქვეა, აქედან რაღაც ხუთი-ექვსი მილის მოშორებით. ერთი კარგი ლუდხანა აღმოვაჩინე, „ვარდი" ჰქვია, ამ დილით დავაჭაშნიკე აქაური ვისკი. ექვსი საათის მერე დაგელოდები ცალკე კაბინეტში (თუ ამას კაბინეტი ჰქვია). გეფიცები, გულის გადასაყოლებლად სადმე თუ არ გამიყვანე, საბოლოოდ გავაფრენ. სასწრაფოდ ჩამოდი!
> პარი

„ჰოო,- ჩაილაპარაკა ჯერვას ფენმა, თან ისევ წერილს ჩასცქეროდა. „მგონი, მართლა შევამჩნიე რაღაც".

„ორ რამეზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება".

„მართლა? კეთილი. ოღონდ ჯერ ბოლომდე მიამბეთ ყველაფერი".

„მოკლედ მოვჭრი. სოლი დავიბარეთ და წერილი ვაჩვენეთ. რა თქმა უნდა, მისი ვერსიის წინასწარ გამოცნობა არ გაგვჭირვებია. ბუნებრივია, გვიმტკიცებდა, ეს ის წერილია, სასოწარკვეთილმა პარიმ საავადმყოფოდან რომ გამომიგზავნაო. თარიღიც და ლანეგვადამდე მანძილიც თითქოს მართლა ამას ადასტურებდა. და მაინც, დავაპატიმრეთ..."

„როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილი?"

„არა, მაშინვე არა. თავიდან, როგორც დაზღვევის თანხის ხელში ჩასაგდებად მოწყობილი შეთქმულების თანამონაწილე".

„გასაგებია... ერთი პატარა დეტალის შემჩნევა ძნელი არ არის," — თქვა ფენმა, თან ისევ პამბლბის აცა-ბაცა ნაწერს არ აშორებდა თვალს. „როცა ერთი ამერიკელი მეორეს წერილს წერს და თარიღს უთითებს — 6.5.51 — ეს 6 მაისს კი არ ნიშნავს, არამედ 5 ივნისს. მაგრამ, მეორე მხრივ, ინგლისში დაბინავების შემდეგ, ძმები თავისუფლად შეიძლება ინგლისურ სტილზე გადასულიყვნენ, ასე ხომ უფრო გაუიოლდებოდათ საქმე?!.."

„ზუსტად მაგით იმართლებდა თავს სოლიც, როცა გამომძიებელმა წინასწარი მოკვლევისას წერილი წარუდგინა,- თქვა პამბლბიმ და თავი გააქნია, — ოღონდ ამან ვერაფერი უშველა".

ფენმა კიდევ ერთხელ დახედა ფურცელს ყურადღებით. უცებ, თავი აიღო და თითები გაატკაცუნა.

„არ მითხრათ ახლა, 1951 წლის 6 მაისი კვირა იყოო!"

„ათიანში გაარტყით! სწორედ რომ კვირა! კვირაობით უელსში ყველა ლუდხანა დაკეტილია. წვეთ ვისკის ვერსად იშოვიდა პარი, წამლად. აქედან ცხადია, წერილი ამერიკულად იყო დათარიღებული, ესე იგი, დაწერილი 5 ივნისს — ოთხი კვირის შემდეგ იმ დღიდან, როცა პარი ვითომდა ზღვაში დაიხრჩო. დღესავით ნათელია, ძმებმა იმამაძაღლეს და მოტყუებით აიღეს ფული.

მერე პარი სადღაც, ისევ იმ მიდამოებში მიიმალა, საავადმყოფოსთან ახლოს. შინიდან ცხვირს ვერ ყოფდა, ხომ შეიძლებოდა, ვიღაცას შემთხვევით ეცნო? უბედურება ისაა, პარის ღვთით მომადლებულ ღირსებათა შორის მოთმინება არ ერია. ძალიან მალე მობეზრდა ოთხ კედელში ჯდომა და ლოდინი. სოლს კი იმ დროისთვის ახალი იდეა დაებადა: სრულებითაც არ არის აუცილებელი ფულის შუაზე გაყოფაო. ჩუმად, შუაღამისას, ძმები ბრიქსემში დაბრუნდნენ, ისევ გავიდნენ ღია ზღვაში თავიანთი კანჯოთი და ამჯერად, პარი უკვე მართლა გადაფრინდა გემბანიდან, უკვე მართლა დაიხრჩო."

„და თქვენ მოახერხეთ მკვლელობა ძმისთვის დაგემტკიცებინათ?"- ჰკითხა ჯერვას ფენმა.

„როგორც კი ყურადღება 5 ივნისის შემდგომ პერიოდს მივაპყარით, მაშინვე სწორ გზაზე დავდექით. უნდა ვაღიარო, გაგვიმართლა კიდეც. სოლმა გაუფრთხილებლობა გამოიჩინა, მაისის ბოლოს კაიუტის კედლებს ლაქის ახალი ფენა გადაუსვა. გულმოდგინე ძებნის მერე, ამ ახალ ფენაზე ადამიანის სისხლის წვეთები აღმოვაჩინეთ. ერთი ბეწო, ოდნავ შესამჩნევი, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა ჯგუფის დასადგენად. იგივე ჯგუფი აღმოჩნდა, რაც პარის ჰქონდა, სხვათა შორის, უიშვიათესი. რაღაც სხვა დეტალებიც ამოტივტივდა, რომლებმაც საბოლოოდ დაარწმუნეს ნაფიცი მსაჯულები სოლის დანაშაულში. მოკლედ, სახრჩობელაზე დაასრულა სიცოცხლე...

იმედი მაქვს, ახლა გესმით, ხანდახან რატომ არ ვიშურებ კეთილ სიტყვას ბარნი ლეიკინგისნაირი ტიპებისათვის? პარი კოლონას მკვლელობის გახსნა შეიძლება მთლიანად მის დამსახურებად ჩაითვალოს. მართლაც, გინდაც თავიდანვე მე ჩამვარდნოდა ეს წერილი ხელში, ალბათ არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდი. ასე მონდომებით მარტო იმიტომ ვუკირკიტეთ, შანტაჟისტის არქივში რომ იყო ნაპოვნი. ბარნი უმნიშვნელო ქაღალდებს არ აგროვებდა. მასზე არ ხურდავდებოდა. შორიდან იყნოსავდა ხოლმე საკბილოს, იშვიათი ნიჭი ჰქონდა. წარმოიდგინეთ, რა შესანიშნავი დეტექტივი შეიძლებოდა დამდგარიყო.

სხვათა შორის, მაშინ რიგგარეშე შვებულებაც მომცეს, ჩემი შეფის აზრით, ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციისთვის. ასე რომ, ყველა საფუძველი მაქვს ცხონებული ბარნის მადლიერი ვიყო."

პამბლბიმ ჭიქისკენ გაიწვდინა ხელი.

„არა, ჩემო ძვირფასო ფენ, რაც გინდა თქვით, მე კი შანტაჟისტები მესიმპათიურებიან. მოდი, იმათ გაუმარჯოს!"




## სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (ეთ. რედაქტორი)
თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო გოგია,
ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედია
თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახურება)

# ამერიკის ამბები

## NHL

...იდილოეთ ამერიკაში ...ელდება NHL-ის რეგულა-... ჩემპიონატი. გუშინ გა-...რთა მორიგი ტურის მატ-... ბრწყინვალე ფორმაშია ...ოიტ „რედ ვინგსი", რო-...მაც მორიგ ტურში, ვაში-...ონში დაამარცხა „კეპიტა-...სი" — 4:3 და 53 თამაშიდან



... ქულით ერთპიროვნულად ...იდერობს, არა მხოლოდ სა-...თარ დივიზიონს, არამედ ...ელ ჩემპიონატს. ოტავა აგ-...ძლებს დაუმარცხებელ სერი-... წინა ტურში, ნიუ-იორკში, ...ილენდერსის" დამარცხების ...მდეგ — 1:4, „სენატორებმა" ...ნ ხოსეშიც ფრეს მიაღწიეს ... 2:2, მაგრამ მათ აუტსაიდე-...ობას არაფერი ეშველა. ლე-...ის „პინგვინზმა" ვერაფერი ...უხერხა ტორონტოს მობი-...ურ დაცვას და შინ უსახე-...ოდ დაბრუნდა — 1:4. ამ ...ტჩში მარიო ლემიემ მხოლოდ ...ნი დარტყმა განახორციელა. ...გაცნობთ სხვა შეხვედრათა ...დეგებს: მონრეალი — ნიუ-...რკ (რეინჯერსი) 2:2, ანაჰა-... — ვანკუვერი 3:5, კალგა-... — ნიუ-იორკ (აილენდერსი) ...3, კოლორადო — ტამპა-ბეი ...4, ბოსტონი — ჩიკაგო 0:3.

### აღმოსავლეთ კონფერენცია

#### ჩრდილო-აღმოსავლეთ დივიზიონი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...ბურგი | 56 | 33 | 4 | 18 | 252-184 | 70 |
| ...რეალი | 57 | 28 | 7 | 22 | 180-171 | 68 |
| ჰარტფორდი | 54 | 23 | 6 | 25 | 157-171 | 52 |
| ბოსტონი | 53 | 22 | 7 | 24 | 183-194 | 51 |
| ბუფალო | 54 | 22 | 4 | 28 | 166-178 | 48 |
| ოტავა | 56 | 11 | 3 | 42 | 130-217 | 25 |

#### ატლანტიკის დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 57 | 33 | 11 | 13 | 207-157 | 77 |
| ფლორიდა | 55 | 33 | 7 | 15 | 189-149 | 73 |
| ფილადელფია | 54 | 27 | 11 | 16 | 189-143 | 65 |
| ვაშინგტონი | 55 | 26 | 7 | 22 | 158-147 | 59 |
| ნიუ-ჯერსი | 54 | 24 | 7 | 23 | 139-131 | 55 |
| ტამპა-ბეი | 54 | 23 | 8 | 23 | 163-180 | 54 |
| აილენდერსი | 55 | 15 | 8 | 32 | 160-215 | 38 |

### დასავლეთ კონფერენცია

#### ცენტრალური დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 53 | 39 | 4 | 10 | 196-116 | 82 |
| ჩიკაგო | 58 | 31 | 11 | 16 | 201-152 | 73 |
| ტორონტო | 56 | 24 | 10 | 22 | 167-165 | 58 |
| სენტ-ლუისი | 55 | 22 | 10 | 23 | 149-159 | 54 |
| ვინიპეგი | 53 | 23 | 4 | 26 | 187-198 | 50 |
| დალასი | 56 | 16 | 11 | 29 | 153-194 | 41 |

#### წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 57 | 30 | 10 | 17 | 221-166 | 70 |
| ვანკუვერი | 56 | 21 | 14 | 21 | 204-189 | 56 |
| კალგარი | 57 | 21 | 11 | 25 | 167-174 | 53 |
| ლოს-ანჯელესი | 56 | 18 | 12 | 26 | 185-201 | 48 |
| ედმონტონი | 53 | 19 | 6 | 28 | 142-197 | 44 |
| ანაჰაიმი | 56 | 19 | 5 | 32 | 156-188 | 43 |
| სან-ხოსე | 56 | 13 | 6 | 37 | 174-243 | 32 |

### რას აღარ იგონებენ...

კანადის ნაციონალური ლიგის ისტორიაში საუკეთესო ჰოკეისტად აღიარებულმა ბომბარდირმა, უეინ გრეტცკიმ („ლოს-ანჯელეს" კინგზი") არ დაადასტურა ცნობა თავისი გუნდიდან წასვლის შესახებ. ინფორმაცია, თითქოს გრეტცკის ყიდვას „რეინჯერსი" აპირებდა, ლას-ვეგასის ერთ-ერთ სპორტულ გადაცემაში გავიდა. ამას გულშემატკივრებისა და სპეციალისტების დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. გრეტცკის ბოლომდე არ განუმარტავს რაშია საქმე და ჯერჯერობით კლუბ „ლოს-ანჯელესში" განაგრძობს თამაშს.

## NBA

NBA-ს ჩემპიონატის მატჩებში შესამჩნევი ცვლილებები არ მომხდარა. ფავორიტებმა კვლავ გაიმარჯვეს:

კლივლენდ „კავალიერსი" — ტორონტო „რაპტორსი" 95:76,



დენვერ „ნაგეთსი" — მაიამი „ჰიტი" 91:97,

სან ანტონიო „სპიორსი" — ჰიუსტონ „როქითსი" 108:112,

ფენიქს „სანსი" — პორტლენდ „ტრეილ ბლეიზერსი" 96:84,

ჩიკაგო „ბულსი" — დეტროიტ „პისტონსი" 112-109 (დამატებით დროში),

ვაშინგტონ „ბულითსი" — მილუოკი „ბაქსი" 98:109,

დალას „მავერიქსი" — იუტა „ჯაზი" 103:106.

სნაიპერთა დავაში პირველი სამეული ასე გამოიყურება:

მაიკლ ჯორდანი — ჩიკაგო: თ-48 ქ-1477 საშ-30,8

კარლ მელოუნი — იუტა: თ-49 ქ-1317 საშ-26,9

ჰაკიმ ოლაჯუვონი — ჰიუსტონი: თ-50 ქ-1295 საშ-25,9

ჭადრაკი

# «გრუნტის მეფე» — ახალი გვირგვინით

კვირის დასაწყისში კომპიუტერულმა რეიტინგმა, რომელიც 1973 წლიდან ფუნქციონირებს, ჩოგბურთის ახალი ხელმწიფე დაადგინა. ამ რანგში მოგვევლინა 28 წლის ავსტრიელი ჩოგბურთელი, თომას მუსტერი. „გრუნტის მეფე" რიგით მეცამეტეა ჩოგბურთის ისტორიაში, ვისაც ეს პატივი ერგო. ქალთა შორის კი ორხელისუფლებიანობაა. ახალი რეიტინგის მიხედვით პირველობას ორი ჩოგბურთელი — შტეფი გრაფი და მონიკა სელეში ინარჩუნებს. გთავაზობთ საუკეთესო ათეულებს:

### ვაჟები:

1. თომას მუსტერი — ავსტრია 4474
2. პიტ სამპრასი — აშშ 4465
3. ანდრე აგასი — აშშ 4379
4. ბორის ბეკერი — გერმანია 4145
5. მაიკლ ჩანგი — აშშ 3537
6. ევგენი კაფელნიკოვი — რუსეთი 2709
7. თომას ენქვისტი — შვედეთი 2519
8. ჯიმ კურიე — აშშ 2369
9. გორან ივანიშევიჩი — ხორვატია 2174
10. უეინ ფერეირა — სარ 1939

### ქალები:

1. შტეფი გრაფი — გერმანია 337,07

მონიკა სელეში — აშშ

2. კონჩიტა მარტინესი — ესპანეთი 250,59
3. არანტა სანჩესი — ესპანეთი 217,06
4. ივა მაიოლი — ხორვატია 160,32
5. ანკე ჰუბერი — გერმანია 160,12
6. გაბრიელა საბატინი — არგენტინა 135,52
7. მაგდალენა მალეევა — ბულგარეთი 133,89
8. კიმიკო დატე — იაპონია 124,26
9. მერი ჯო ფერნანდესი — აშშ 122,43
10. ჩანდა რუბინი — აშშ 117,42.

# შტიხი დამშვიდებულია

ჩოგბურთის გერმანელი ვარსკვლავი მიხაელ შტიხი 1992 წლიდან ავსტრიაში ცხოვრობს, რადგან იქ შემოსავლებზე დიდი შეღავათებია დაწესებული.



როგორც ავსტრიული ჟურნალი „News" იუწყება, ამ ბოლო დროს ზალცბურგის ფინანსური ორგანოები დაინტერესდნენ შტიხის საგადასახადო აქტებით, კერძოდ, აპირებენ შეამოწმონ, აქვს თუ არა მას 1993 წლის დეკლარაციაში მითითებული ყველა თავისი შემოსავალი. იმასაც იუწყებიან, რომ შტიხი და მისი მენეჯერი რალფ შტაინბერგერი ამ ამბავს სრული სიმშვიდით შეხვდნენ.

კრივი

# ...იდსის მორიგი მსხვერპლი

...ოცდაშვიდი წლის ამერიკე-...ა მოკრივემ, ტომ მორისო-



... ექვსი დღის წინ ისეთი რამ ...ტყო, რამაც სრულიად შე-...ლა მისი ცხოვრება. ის ...სით დაავადებული აღმოჩნ-... საშინელი ხულიერი სტრე-... მიუხედავად, მან მაინც ...რთა პრესკონფერენცია. ...რტსმენს წარმოდგენა არა ... როგორ წარიმართება მისი ...ვრება შემდეგში.

* * *

მაიკლ ტაისონი აქტიურად ემზადება, მარტში, ლას-ვეგასში, ფრანკო ბრუნოსთან შესახვედრად. მართალია, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჩატარებული ბრძოლებიდან ყველა ტაისონის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ღირსეულ მოწინააღმდეგეს ის ჯერ არ შეხვედრია. ამის თქმა ფრანკო ბრუნოზე არ შეიძლება, რადგან ტაისონზე ნაკლებს არ ვარჯიშობს და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ტაისონი მაღალ შეფასებას აძლევს ბრუნოს, მაგრამ დათმობას არ აპირებს.





ფორმულა — 1

# მზადება მიმდინარეობს



მიხაელ შუმახერმა, რომელიც ამ წლიდან იტალიაში ფერარის გუნდში იასპარეზებს, განაცხადა, რომ ამ წელს ფერარი დიდ წარმატებებს ვერ მიაღწევს. 1997 წლიდან კი ლიდერობისთვის იბრძოლებსო.

### ჰაკინენი გუნდში დაბრუნდა

ფინელი მიკა ჰაკინენი ემზადება მომავალი რბოლებისთვის. ის გუნდში დაბრუნდა და პირველი საცდელი ტესტი ახალი, მაკლარენ-მერსედესის მანქანაზე გაიარა. მან კარგი დრო აჩვენა, მაგრამ საუკეთესო შედეგები ბერგერსა და ალეზის ეკუთვნის.



უცნაური წყვილები

# ქალების სწრაფვა ახალგაზრდა მამაკაცებისკენ

უწინ ქალები, რომლებიც ახალგაზრდა მამაკაცებზე გაბედავდნენ დაქორწინებას, საზოგადოების განსჯის საგანი ხდებოდნენ. დღეს კი, ქმარზე უფროსია ყოველი მეხუთე ცოლი: ალბათ, იკითხავთ, თუ რამდენად ამართლებს ასეთი ქორწინება? — მაგალითები გვარწმუნებს, რომ ამართლებს.

## სამ შეკითხვაზე გვპასუხობს ბერლინელი ფსიქოლოგი სუზან კიტლიჩკო

1. რას ეძებენ ქალები ახალგაზრდა მამაკაცებში?

ქალები ხშირად გულგატეხილნი არიან მათ ტოლ ან მათზე უფროს მამაკაცებთან ურთიერთობებით. ახალგაზრდა მამაკაცში განახლებას, საკუთარი თავის ახლიდან აღმოჩენის საშუალებას ხედავენ, ძალიან ხშირად კი ახალგაზრდა პარტნიორის გამოძერწვას თავიანთი იდეალების შესაბამისად ცდილობენ.

2. ურთიერთობის რომელი მხარე ხიბლავს პარტნიორებს ყველაზე მეტად?

მოსწონთ, წესებს რომ გადაუხვევს. მათი ურთიერთობა სამაგალითოდ ხომ ნამდვილად არ გამოდგება.

3. რა შემთხვევაში ვერ უძლებს მსგავსი ურთიერთობა დროის გამოცდას?

როდესაც ასაკოვანი ქალი მხოლოდ და მხოლოდ თავის სექსუალურ მიმზიდველობაში საკუთარი თავის დასარწმუნებლად ირჩევს ახალგაზრდა პარტნიორს, მამაკაცს კი ქალის გამოცდილებას სურს ეზიაროს და მეტი არაფერი; ასეთი სასიყვარულო ისტორია მალე კარგავს ხიბლს. თუკი ურთიერთობის საფუძველი უფრო სერიოზულია, პარტნიორები შეძლებენ კომპრომისებზე წასვლასაც და თანხმობის მიღწევასაც.



ტინა ტერნერი (55 წლის) 15 წლით უმცროს მეუღლესთან ერთად

## ცნობილი ქალები და მათი ახალგაზრდა ქმრები

ედიტ პიაფი 48 წლისა იყო, 1962 წლის ოქტომბერში 20 წლით უმცროს ბერძენ თეო სარაპოს რომ გაჰყვა ცოლად. ამ ფაქტმა პარიზში უზარმაზარი სკანდალი გამოიწვია. ბედნიერებამ ერთ წელიწადს გასტანა — ედიტ პიაფი გარდაიცვალა.

ფრანგ ფემინისტსა და წლების მანძილზე ფრანგი ფილოსოფოსის — ჟან პოლ სარტრის „თანამგზავრს" სიმონე დე ბოვუარს 44 წლის ასაკში 17 წლით უმცროსი ებრაელი ინტელექტუალი კლოდ ლანზმანი შეუყვარდა. მათი ურთიერთობა ექვს წელიწადს გაგრძელდა, სანამ 1958 წელს კლოდმა არ მიატოვა ცოლი.

გალა დალი 10 წლით იყო უფროსი სიურეალიზმის დიდოსტატზე — სალვადორ დალიზე. 1929 წელს, ესპანეთში სალვადორ დალის გაცნობისას გალა 35 წლისა იყო. ახალგაზრდა დალი ისე მოიხიბლა მშვენიერი რუსი ქალბატონით, რომ ხანშიშესულობის დროსაც მუდამ ახალგაზრდას ხატავდა მეუღლეს. 1982 წელს გარდაიცვალა გალა. მისი სიკვდილიდან შვიდი წლის შემდეგ კი — გალას მოყვარული მეუღლე.

დიდ რევოლუციონერს, პროგრესულად მოაზროვნე ქალს როზა ლუქსემბურგს 1906 წელს ბერლინში შეუყვარდა ცნობილი ფემინისტის კლარა ცეტკინის ვაჟი კოსტია. იმხანად როზა 35-ის, მისი რჩეული კი 21 წლისა იყო. ბოროტი ენების შიშით, ორივე საიდუმლოდ ინახავდა სიყვარულის ამბავს. ამგვარმა ურთიერთობამ ხუთ წელიწადს გასტანა. კოსტიასთან დაშორებიდან შვიდი წლის შემდეგ როზა გარდაიცვალა.

ამერიკელი მოცეკვავე აისიდორა დუნკანი და სერგეი ესენინი 1921 წლის დასაწყისში სანკტ-პეტერბურგში შეხვდნენ ერთმანეთს. აისიდორა მაშინ 44 წლის იყო, ესენინი 26-ისა. მათი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. 1925 წელს ესენინმა სასტუმროს იმ ნომერში მოიკლა თავი, რომელშიც პირველი ღამე გაატარა აისიდორასთან.

+ + +

მითქმა-მოთქმას ბოლო არ უჩანდა, როდესაც 42 წლის ამერიკელი სექსოლოგი ქალი შირ ჰაიტი გერმანელ ხელოვანს, პიანისტ ფრიდრიხ ჰიორიკეს გაჰყვა ცოლად. საქმე ისაა, რომ იმ დროს საზოგადოებამ იუცხოვა 20 წლით უმცროსი ქმარი ხანშიშესული მეუღლის გვერდით. „მიყვარდა და გავყევი" ეუბნებოდა შირი მეგობრებს. ამჟამად 52 წლის შირ ჰაიტი და მისი 20 წლით უმცროსი ფრიდი უკვე მეათე წელია ბედნიერი წყვილია. დღესდღეობით მათი ცოლქმრობა სავსებით მოდურად გამოიყურება. ამერიკაში 1995 წელს პატარძლების 25 პროცენტი, გერმანიაში კი ყოველი მეხუთე პატარძალი ბევრად უფროსი იყო ქმარზე. ტენდენცია მზარდია. ყველაზე ხშირად ახალგაზრდა ქმრებს 35-დან 44 წლამდე ასაკის ქალები ირჩევენ.

უკვე ჩაიარა დრომ, როცა ქალები საზოგადოებრივ აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მუდამ „სავსებით ნორმალურად" მიაჩნდათ სამოცდაათ წელს მიღწეული მამაკაცისა და ოცდაათი წლის ქალის წყვილი და სკანდალურს ამაში ვერავინ ვერაფერს ხედავდა. დღეს ქალებიც უფრო და უფრო ეჩვევიან და გულგრილად ისმენენ გარეშეთა მომაკვდინებელ შეკითხვას: „თქვენი ვაჟია?"



ჰანელორე ელსნერი (51 წ.) და უვე კარსტენსენი (40 წ.)

„ასაკობრივი სხვაობა არასოდეს გვიგრძვნია", ამბობს 57 წლის მსახიობი ვიტა პოლი. იგი მანამდე ორჯერაა განქორწინებული და თავის 15 წლით უმცროს მეუღლესთან, ჰამბურგელ კბილის ექიმ ფრანც ეკეჰარტთან შეხვედრამდე 28 წლის ტყუპი გოგონების მარტოხელა დედიკო იყო. „სულერთია, 90 წლისაც რომ ყოფილიყო ფრანცი, მაინც შემიყვარდებოდა", ამბობს მსახიობი. ამ ქორწინებას უმადლის იგი, 20 წლით გაახალგაზრდავებულად რომ გრძნობს თავს და ასეთი სიმძაფრით აღიქვამს „ყოფიერების მშვენიერებას".

51 წლის ჰანელორე ელსნერმაც მაშინ იგრძნო თავი ბედნიერად, ექვსი წლის წინ თავისი „ოცნების მამაკაცს" რომ შეხვდა. 1993 წელს ცოლადაც გაჰყვა მასზე 11 წლით უმცროს უვე კარსტენსენს, იმ წინათგრძნობით, რომ სწორედ უვე იქნებოდა მისი ცხოვრების თანამგზავრი. ასაკობრივ სხვაობას არც ჰანელორეს შემთხვევაში უთამაშია რაიმე როლი: „უვე ნაადრევად, მე კი — გვიან განვვითარდი. ასე რომ, კარგად მოვერგეთ ერთმანეთს", ნახევრად ხუმრობით ამბობს ჰანელორე, რომელიც მეუღლესთან და 12 წლის ვაჟთან — დომინიკთან ერთად „ბედნიერად და კმაყოფილი" ცხოვრობს ქალაქ ვისბადენში. უვეც ფიქრობს, რომ სახელმწიფო მოღვაწე და ბანკის დირექტორი მისგან არასოდეს გამოვიდოდა. ასე რომ, ბედნიერი სიყვარული მისი საუკეთესო საქმიანობა და მონაპოვარია.

საკუთარ თავში დარწმუნებული თანამედროვე ქალები თუმცა მამაკაცებზე არანაკლები წარმატებით იკეთებენ კარიერას და მათზე არანაკლებ წარმატებებს აღწევენ სხვადასხვა სფეროში, მათი ყველაზე მთავარი საზრუნავი მაინც პირადი ცხოვრების მოწყობაა. მათ დიდი ხანი არაა, რაც თავი დააღწიეს დედების მიერ თავსმოხვეულ პრეტენზიებსა და შეხედულებებს უფროსი, მატე; რიალურად წელგამართული და ფეხზე დამდგარი ქმრების შესახებ. ახლა ქალები თავის თავზე იღებენ ინიციატივას: „მე რომ არ გადამედგა პირველი ნაბიჯი, არც არაფერი გამოგვივიდოდა", — ამბობს 55 წლის როკვარსკვლავი ტინა ტერნერი, რომელიც 9 წელია თავისზე 15 წლით უმცროს ერვინზე დაქორწინდა, მაგრამ ასაკობრივ სხვაობას ჯერ არც ერთი მეუღლეთაგანი არ შეუწუხებია. „ერვინი ყველაზე კარგი სამეგობრო კაცია, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი — ამბობს ტინა, — ყოველთვის მჩუქნის ყვავილებს, მიღებს კარს და მისწორებს სკამს".

მხოლოდ ეს მცირე გალანტურობა არ გახლავთ ქალების ახალგაზრდა მამაკაცებისკენ სწრაფვის მიზეზი. როგორც ტოუსონის უნივერსიტეტის დოქტორი, ფსიქოლოგი ჟან სინოტი გვიხსნის, „40 წლის ასაკის ქალი სექსუალურობის მწვერვალს აღწევს, მაშინ, როცა ამ ასაკის მამაკაცს მამაკაცური ინტერესი ან სრულიად ეკარგება, ან პოტენციის მხრივ პრობლემა უჩნდება".



ლაიზა მინელი (49 წ.) და სკოტ ბეიო (33 წ.)

„რაც გერჰარდი გავიცანი, სამყაროს ახალგაზრდა ქალიშვილის თვალით დავუწყე ცქერა", — ამბობს 56 წლის ქრისტიან ჰორბიგერი. იგი 11 წელია ექვსი წლით უმცროს რეჟისორ გერჰარდ ტოტშინგერთან ცხოვრობს: „იგი ვერ ამჩნევს ჩემს ნაოჭებს და ამიტომ მის გვერდით თავს თვითონაც ახალგაზრდად ვგრძნობ". და კიდევ უფრო ოპტიმისტურად ამატებს: „დავრწმუნდი, რომ 70 წლის ასაკშიც შეიძლება ვილაცისთვის რამეს ნიშნავდე".

ახალგაზრდა პარტნიორების გვერდით ქალები საოცრად არიან გაცისკროვნებულნი, რაც მათ საკუთარ ძალებში კიდევ უფრო დარწმუნებულ გამომეტყველებას აძლევს.

„ახალგაზრდა მამაკაცის გვერდით, მართლაც, თანასწორუფლებიანად გრძნობ თავს, ისინი ხომ ემანსიპირებული დედების აღზრდილნი არიან", — აცხადებს ჰოლივუდის 51 წლის რეპორტიორი დაიან ბენეტი, რომელმაც ყოფილ სტიუარდესასთან, 50 წლის დუი ჯენტრისთან ერთად ერთი წლის წინ ლოს-ანჯელესში „მუტუალ ადმირაციონ კლუბი" დააარსა. ეს არის კლუბი „ხანშიშესულთა გასაოცებლად". კლუბი „ხნიერი ქალებისა" და „ახალგაზრდა მამაკაცების" 5000 წევრს აერთიანებს. კვირაში ერთხელ აქ 40-დან 60 წლამდე ასაკის ქალები და 20-დან 30 წლამდე ასაკის მამაკაცები ერთმანეთს ხვდებიან და ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობენ.

„ამგვარად დახარჯული ენერგია უფრო ალანთებს და ახალი ძალით ავსებს ადამიანს", — ამბობს დუი ჯენტრი, რომელსაც, როგორც ჩანს, საკითხი ზედმიწევნით კარგად უნდა ესმოდეს — მისი საყვარელი ხომ 25 წლისაა.

53 წლის ლინდა ევანსი უზომოდაა კმაყოფილი თავისზე 14 წლით უმცროსი მეუღლით. „იგი საუკეთესო საყვარელია მათ შორის, ვინც კი ოდესმე მყოლია", — ამბობს ლინდა ბერძენ მუსიკოს იანი კრისხომალიზე. ლინდა უზომოდ შეყვარებულია და თავისი წინა ორი ქორწინების გახსენებაც კი არ უნდა. მისი პირველი ქმარი ჯონ დერეკი იყო, რომელმაც ლინდა ცნობილი მსახიობის, ქერა ლამაზმანის ბო დერეკის გულისთვის მიატოვა.

იანისთან ჰპოვა ლინდამ გრძნობა, რომლისკენაც ასე ილტვოდა. შედეგი მიღწეულია: „აღარ მჭირდება ვიტამინების კომპლექსი ახალგაზრდობისა და სილამაზის შესანარჩუნებლად — ამბობს ლინდა — აღარც დიეტას ვიცავ, ჩემი „ჯადოსნური" კოსმეტიკური საშუალებების ნახევარიც მოვისროლე, აღარ მჭირდება".

კარგად წარიმართა ჰოლივუდის თვალსაჩინო ვარსკვლავის 63 წლის ლიზ ტეილორის საქმეც. მას შემდეგ, რაც ყოფილ მშენებელ მუშასთან — 20 წლით უმცროს ლერი ფორტენსკისთან თავისი მერვე ქორწინება დააგვირგვინა, „ქალწულმა" ჰპოვა აბსოლუტური ბედნიერება: ლერისთან მუდამ შემიძლია მსუქანი, ზარმაცი და უიმედოდ შეყვარებული გოგონა ვიყო". ქორწილი ლიზმა 1991 წლის 8 ოქტომბერს მაიკლ ჯექსონის რანჩოში გადაიხადა. 3 მილიონი დოლარი დაჯდა მხოლოდ შამპანურებით, თეთრი ტრიუფელებითა და ხუთსართულიანი საქორწინო ტორტით დამშვენებული სუფრა. ნეფე-დედოფალი ყურძნის წვენსა და უალკოჰოლო ლუდს შეექცეოდა; ალკოჰოლიზმისგან სამუდამოდ განკურნება მათ თავიანთ დიდ სიყვარულს დაუკავშირეს და საბოლოოდ გამოიჯანსაღეს თავი. მაგრამ, ბოლო დროს ჭორები დაირხა, თითქოს მათი დიდი სიყვარული მიწასთან იყოს გასწორებული. წყვილი სხვადასხვა საძინებელ ოთახში სძინავსო, იტყობინებოდა „ბილდი" გასული წლის მაისში. ახლა ხან კი ლერიმ, რომელიც ლიზას ყველა სურვილს მის თვალებში კითხულობდა და ყოველ დილით საუზმე ლოგინში მიჰქონდა, განაცხადა: — დიდი ხანი არ არის, რაც შევეშვი მის მოსამსახურეობას.

„ხნიერ ქალებს თავიანთი ყოფის სამკაულად სჭირდებათ ახალგაზრდა მამაკაცები" — ამბობს ფსიქოლოგი ურსულა რიჰტერი — „ესენი არიან ქალები, რომელთაც კარგად აქვთ მიგნებული, როგორ არ უნდა გაუშვან ხელიდან შანსი, რომელსაც ცხოვრება აძლევთ".

მოამზადა

ნათია ფანჯიკიძე

# პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია

## №19 და 20 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონების შედეგები

შენიშვნა: გამარჯვებული განაცხადის შემთხვევაში განაცხადის ნომერი უნდა ემთხვეოდეს კვითარში მითითებული განაცხადის რეგისტრაციის ნომერს და პუნქტის ნომერს

| საწარმოს დასახელება | განაცხ. რეგისტ. № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| ელექტროიზოლიტი“ | 48 | 01 | 135 |
| | 95 | 01 | 90 |
| | 12 | 03 | 18 225 |
| ლუხური აბრეშუმი“ | 19 | 01 | 87 |
| | 102 | 01 | 812 |
| | 103 | 01 | 290 |
| | 113 | 01 | 290 |
| | 128 | 01 | 145 |
| | 190 | 01 | 74 385 |
| | 191 | 01 | 70 470 |
| | 192 | 01 | 50 895 |
| | 193 | 01 | 62 640 |
| | 194 | 01 | 144 420 |
| | 1 | 58 | 232 |
| | 2 | 58 | 290 |
| | 3 | 58 | 87 |
| | 4 | 58 | 29 |
| | 5 | 58 | 29 |
| | 7 | 58 | 87 |
| | 8 | 58 | 145 |
| | 9 | 58 | 174 |
| | 10 | 58 | 145 |
| | 11 | 58 | 58 |
| | 12 | 58 | 1 798 |
| | 13 | 58 | 174 |
| | 14 | 58 | 377 |
| | 15 | 58 | 406 |
| | 16 | 58 | 58 |
| | 17 | 58 | 145 |
| | 18 | 58 | 29 |
| | 19 | 58 | 116 |
| | 20 | 58 | 1 189 |
| | 21 | 58 | 87 |
| | 22 | 58 | 58 |
| | 23 | 58 | 29 |
| | 24 | 58 | 116 |
| | 25 | 58 | 290 |
| | 26 | 58 | 232 |
| | 27 | 58 | 29 000 |
| | 28 | 58 | 116 |
| | 29 | 58 | 58 |
| | 30 | 58 | 29 |
| | 31 | 58 | 232 |
| | 32 | 58 | 2 900 |
| | 33 | 58 | 174 |
| | 34 | 58 | 145 |
| | 35 | 58 | 145 |
| | 36 | 58 | 203 |
| | 37 | 58 | 116 |
| | 38 | 58 | 145 |
| | 39 | 58 | 145 |
| | 40 | 58 | 87 |
| | 41 | 58 | 493 |
| | 42 | 58 | 58 |
| | 43 | 58 | 522 |
| | 44 | 58 | 290 |
| | 45 | 58 | 145 |
| | 46 | 58 | 29 |
| | 47 | 58 | 87 |
| | 48 | 58 | 145 |
| | 49 | 58 | 232 |
| | 50 | 58 | 58 |
| | 51 | 58 | 87 |
| | 52 | 58 | 145 |
| | 53 | 58 | 29 |
| | 54 | 58 | 10 179 |
| | 55 | 58 | 29 |
| | 56 | 58 | 87 |
| | 57 | 58 | 203 |
| | 58 | 58 | 87 |
| | 59 | 58 | 29 |
| | 60 | 58 | 116 |
| | 61 | 58 | 87 |
| | 62 | 58 | 116 |
| | 63 | 58 | 145 |
| | 64 | 58 | 145 |
| | 65 | 58 | 203 |
| | 67 | 58 | 58 |
| | 68 | 58 | 87 |
| | 69 | 58 | 116 |
| | 70 | 58 | 145 |
| | 71 | 58 | 203 |
| | 72 | 58 | 203 |
| | 73 | 58 | 6 206 |
| | 74 | 58 | 58 |
| | 75 | 58 | 87 |
| | 76 | 58 | 5 017 |
| | 77 | 58 | 116 |
| | 78 | 58 | 174 |
| | 79 | 58 | 116 |
| | 80 | 58 | 145 |
| | 81 | 58 | 11 745 |
| | 82 | 58 | 174 |
| | 83 | 58 | 145 |
| | 84 | 58 | 377 |
| | 85 | 58 | 203 |
| | 86 | 58 | 116 |
| | 87 | 58 | 29 |
| | 88 | 58 | 58 |
| | 89 | 58 | 174 |
| | 90 | 58 | 290 |
| | 91 | 58 | 18 038 |
| | 92 | 58 | 348 |
| | 93 | 58 | 638 |
| | 94 | 58 | 19 575 |
| | 95 | 58 | 87 |
| | 96 | 58 | 116 |
| | 97 | 58 | 2 697 |
| | 98 | 58 | 290 |
| | 99 | 58 | 87 |
| | 100 | 58 | 29 |
| | 101 | 58 | 203 |
| | 102 | 58 | 58 |
| | 103 | 58 | 17 632 |
| | 104 | 58 | 87 |
| | 105 | 58 | 290 |
| | 106 | 58 | 58 |
| | 107 | 58 | 58 |
| | 108 | 58 | 29 |
| | 109 | 58 | 29 |
| | 110 | 58 | 87 |
| | 111 | 58 | 957 |
| | 112 | 58 | 29 |
| | 113 | 58 | 290 |

| საწარმოს დასახელება | განაცხ. რეგისტ. № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| | 116 | 58 | 58 |
| | 117 | 58 | 116 |
| | 118 | 58 | 377 |
| | 119 | 58 | 116 |
| | 120 | 58 | 58 |
| | 121 | 58 | 29 |
| | 122 | 58 | 290 |
| | 123 | 58 | 377 |
| | 124 | 58 | 87 |
| | 125 | 58 | 116 |
| | 126 | 58 | 58 |
| | 127 | 58 | 116 |
| | 128 | 58 | 87 |
| | 129 | 58 | 87 |
| | 130 | 58 | 58 |
| | 131 | 58 | 145 |
| | 132 | 58 | 15 283 |
| | 133 | 58 | 29 |
| | 134 | 58 | 116 |
| | 135 | 58 | 87 |
| | 136 | 58 | 145 |
| | 137 | 58 | 464 |
| | 138 | 58 | 29 |
| | 139 | 58 | 87 |
| | 140 | 58 | 290 |
| | 141 | 58 | 290 |
| | 142 | 58 | 116 |
| | 143 | 58 | 58 |
| | 144 | 58 | 116 |
| | 145 | 58 | 290 |
| | 146 | 58 | 116 |
| | 147 | 58 | 58 |
| | 148 | 58 | 11 890 |
| | 149 | 58 | 29 |
| | 150 | 58 | 145 |
| | 151 | 58 | 116 |
| | 152 | 58 | 87 |
| | 153 | 58 | 116 |
| | 154 | 58 | 145 |
| | 155 | 58 | 174 |
| | 156 | 58 | 290 |
| | 157 | 58 | 87 |
| | 160 | 58 | 145 |
| | 161 | 58 | 58 |
| | 162 | 58 | 290 |
| | 163 | 58 | 348 |
| | 164 | 58 | 116 |
| | 165 | 58 | 87 |
| | 166 | 58 | 58 |
| | 168 | 58 | 145 |
| | 169 | 58 | 783 |
| | 170 | 58 | 29 |
| | 171 | 58 | 58 |
| | 172 | 58 | 29 |
| | 173 | 58 | 2 900 |
| | 174 | 58 | 58 |
| | 175 | 58 | 493 |
| | 176 | 58 | 116 |
| | 177 | 58 | 29 |
| | 178 | 58 | 116 |
| | 179 | 58 | 58 |
| | 180 | 58 | 29 |
| | 181 | 58 | 145 |
| | 182 | 58 | 435 |
| | 183 | 58 | 203 |
| | 184 | 58 | 29 |
| | 185 | 58 | 145 |
| | 186 | 58 | 29 |
| | 187 | 58 | 29 |
| | 188 | 58 | 29 |
| | 189 | 58 | 1 479 |
| | 190 | 58 | 44 399 |
| | 191 | 58 | 29 |
| | 1 | 63 | 29 |
| „საქტარა“ | 30 | 01 | 20 |
| | 42 | 01 | 16 450 |
| | 129 | 01 | 50 |
| | 2 | 08 | 10 |
| | 1 | 10 | 13 500 |
| | 2 | 10 | 40 770 |
| „ბიზნეს ცენტრი-სასტუმრო „რუსთავი“ | 27 | 01 | 44 |
| | 65 | 01 | 2 200 |
| | 126 | 01 | 220 |
| | 131 | 01 | 176 |
| | 188 | 01 | 241 472 |
| | 1 | 56 | 132 |
| | 1 | 67 | 220 |
| „ავენის ღვინის ქარხანა“ | 23 | 01 | 38 |
| | 28 | 01 | 380 |
| | 34 | 01 | 95 000 |
| | 63 | 01 | 380 |
| | 118 | 01 | 152 |
| | 13 | 03 | 15 390 |
| | 2 | 30 | 76 |
| | 3 | 30 | 418 |
| | 4 | 30 | 494 |
| | 5 | 30 | 570 |
| | 6 | 30 | 76 |
| | 7 | 30 | 684 |
| | 8 | 30 | 570 |
| | 9 | 30 | 380 |
| | 10 | 30 | 380 |
| | 11 | 30 | 988 |
| | 12 | 30 | 114 |
| | 13 | 30 | 380 |
| | 14 | 30 | 380 |
| | 15 | 30 | 380 |
| | 16 | 30 | 266 |
| | 17 | 30 | 228 |
| | 18 | 30 | 380 |
| | 19 | 30 | 380 |
| | 20 | 30 | 1 064 |
| | 21 | 30 | 380 |
| | 22 | 30 | 342 |
| | 23 | 30 | 304 |
| | 24 | 30 | 266 |
| | 25 | 30 | 380 |
| | 26 | 30 | 228 |
| | 27 | 30 | 342 |
| | 28 | 30 | 380 |
| | 29 | 30 | 380 |
| | 30 | 30 | 380 |
| | 31 | 30 | 380 |
| | 32 | 30 | 228 |

| საწარმოს დასახელება | განაცხ. რეგისტ. № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| | 33 | 30 | 380 |
| | 34 | 30 | 228 |
| | 35 | 30 | 380 |
| | 36 | 30 | 380 |
| | 37 | 30 | 380 |
| | 38 | 30 | 152 |
| | 39 | 30 | 380 |
| | 40 | 30 | 114 |
| | 41 | 30 | 380 |
| | 42 | 30 | 152 |
| | 43 | 30 | 114 |
| | 44 | 30 | 380 |
| | 45 | 30 | 190 |
| | 46 | 30 | 380 |
| | 47 | 30 | 380 |
| | 48 | 30 | 380 |
| | 49 | 30 | 380 |
| | 50 | 30 | 38 |
| „მერკური-92“ | 1 | 01 | 84 |
| | 2 | 01 | 192 |
| | 3 | 01 | 84 |
| | 5 | 01 | 312 |
| | 6 | 01 | 36 |
| | 7 | 01 | 60 |
| | 8 | 01 | 36 |
| | 9 | 01 | 48 |
| | 10 | 01 | 60 |
| | 12 | 01 | 120 |
| | 14 | 01 | 60 |
| | 15 | 01 | 120 |
| | 16 | 01 | 240 |
| | 17 | 01 | 24 |
| | 18 | 01 | 48 |
| | 20 | 01 | 36 |
| | 21 | 01 | 60 |
| | 25 | 01 | 12 |
| | 29 | 01 | 60 |
| | 31 | 01 | 24 |
| | 38 | 01 | 120 |
| | 40 | 01 | 300 |
| | 43 | 01 | 36 |
| | 45 | 01 | 48 |
| | 47 | 01 | 12 |
| | 54 | 01 | 36 |
| | 58 | 01 | 36 |
| | 59 | 01 | 96 |
| | 60 | 01 | 72 |
| | 62 | 01 | 48 |
| | 65 | 01 | 54 |
| | 69 | 01 | 60 |
| | 70 | 01 | 48 |
| | 71 | 01 | 120 |
| | 75 | 01 | 24 |
| | 78 | 01 | 72 |
| | 79 | 01 | 48 |
| | 80 | 01 | 48 |
| | 81 | 01 | 72 |
| | 82 | 01 | 12 |
| | 90 | 01 | 60 |
| | 94 | 01 | 48 |
| | 104 | 01 | 60 |
| | 106 | 01 | 324 |
| | 108 | 01 | 48 |
| | 109 | 01 | 36 |
| | 110 | 01 | 48 |
| | 112 | 01 | 120 |
| | 115 | 01 | 120 |
| | 117 | 01 | 1 080 |
| | 132 | 01 | 24 |
| | 134 | 01 | 12 |
| | 140 | 01 | 12 |
| | 141 | 01 | 72 |
| | 142 | 01 | 12 |
| | 144 | 01 | 12 |
| | 147 | 01 | 3 240 |
| | 150 | 01 | 4 380 |
| | 151 | 01 | 2 160 |
| | 152 | 01 | 2 412 |
| | 154 | 01 | 24 |
| | 160 | 01 | 2 760 |
| | 163 | 01 | 3 504 |
| | 168 | 01 | 7 596 |
| | 170 | 01 | 24 |
| | 171 | 01 | 84 |
| | 174 | 01 | 24 |
| | 175 | 01 | 240 |
| | 176 | 01 | 480 |
| | 180 | 01 | 12 |
| | 182 | 01 | 36 |
| | 1 | 03 | 24 |
| | 2 | 03 | 12 |
| | 3 | 03 | 9 720 |
| | 37 | 04 | 60 |
| | 3 | 05 | 31 392 |
| | 39 | 06 | 204 |
| | 40 | 06 | 720 |
| | 3 | 08 | 1 080 |
| | 4 | 08 | 100 440 |
| | 61 | 19 | 120 |
| „აგარის საკონსერვო ქ-ნა“ | 1 | 36 | 315 |
| „ფეიქარი“ | 1 | 66 | 45 |
| | 5 | 66 | 90 |
| „ამირანი“ | 2 | 66 | 45 |
| | 3 | 66 | 90 |
| | 4 | 66 | 45 |
| „ქარელის საკონსერვო ქ-ნა“ | 138 | 01 | 9 990 |
| | 139 | 01 | 24 975 |
| | 146 | 01 | 15 207 |
| | 11 | 03 | 11 100 |
| | 2 | 36 | 148 |
| | 3 | 36 | 185 |
| | 4 | 36 | 185 |
| | 5 | 36 | 74 |
| | 6 | 36 | 74 |
| | 7 | 36 | 74 |
| | 8 | 36 | 74 |
| | 9 | 36 | 185 |
| | 10 | 36 | 74 |
| | 11 | 36 | 185 |
| | 12 | 36 | 111 |
| „ავტომობილი-3“ | 155 | 01 | 135 |
| „ცენტროლიტი“ | 125 | 01 | 225 |

| საწარმოს დასახელება | განაცხ. რეგისტ. № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| „ფარნავაზი“ | 53 | 01 | 44 |
| | 77 | 01 | 22 |
| | 93 | 01 | 66 |
| | 127 | 01 | 110 |
| | 136 | 01 | 1 584 |
| | 137 | 01 | 9 856 |
| | 145 | 01 | 56 430 |
| | 185 | 01 | 44 000 |
| | 187 | 01 | 13 684 |
| | 189 | 01 | 5 588 |
| „ელექტროავტომატი“ | 4 | 03 | 11 880 |
| | 5 | 03 | 11 880 |
| | 6 | 03 | 11 880 |
| | 7 | 03 | 11 880 |
| | 8 | 03 | 11 880 |
| | 9 | 03 | 24 200 |
| | 10 | 03 | 22 616 |
| | 15 | 03 | 13 200 |
| „დვრიტა“ | 4 | 01 | 93 |
| | 13 | 01 | 155 |
| | 22 | 01 | 217 |
| | 24 | 01 | 93 |
| | 26 | 01 | 31 |
| | 32 | 01 | 62 |
| | 33 | 01 | 248 |
| | 35 | 01 | 6 882 |
| | 36 | 01 | 6 882 |
| | 37 | 01 | 465 |
| | 39 | 01 | 775 |
| | 41 | 01 | 155 |
| | 44 | 01 | 310 |
| | 46 | 01 | 21 700 |
| | 49 | 01 | 93 |
| | 50 | 01 | 62 |
| | 51 | 01 | 62 |
| | 52 | 01 | 62 |
| | 55 | 01 | 6 882 |
| | 56 | 01 | 62 |
| | 57 | 01 | 62 |
| | 61 | 01 | 248 |
| | 64 | 01 | 155 |
| | 67 | 01 | 155 |
| | 72 | 01 | 310 |
| | 73 | 01 | 279 |
| | 74 | 01 | 31 |
| | 76 | 01 | 93 |
| | 84 | 01 | 31 |
| | 85 | 01 | 31 |
| | 87 | 01 | 31 |
| | 92 | 01 | 124 |
| | 95 | 01 | 124 |
| | 100 | 01 | 217 |
| | 101 | 01 | 93 |
| | 105 | 01 | 62 |
| | 111 | 01 | 62 |
| | 114 | 01 | 248 |
| | 119 | 01 | 155 |
| | 121 | 01 | 124 |
| | 123 | 01 | 155 |
| | 130 | 01 | 620 |
| | 133 | 01 | 62 |
| | 143 | 01 | 31 |
| | 148 | 01 | 310 |
| | 149 | 01 | 744 |
| | 153 | 01 | 31 |
| | 156 | 01 | 31 |
| | 157 | 01 | 62 |
| | 158 | 01 | 31 |
| | 159 | 01 | 6 200 |
| | 161 | 01 | 62 |
| | 162 | 01 | 93 |
| | 164 | 01 | 155 |
| | 165 | 01 | 124 |
| | 166 | 01 | 310 |
| | 167 | 01 | 124 |
| | 169 | 01 | 62 |
| | 178 | 01 | 93 |
| | 179 | 01 | 31 |
| | 181 | 01 | 310 |
| | 183 | 01 | 93 |
| | 186 | 01 | 31 |
| | 1 | 05 | 310 |
| | 2 | 05 | 2 790 |
| „მუხნარი“ | 86 | 01 | 42 |
| | 88 | 01 | 42 |
| | 89 | 01 | 42 |
| | 29 | 32 | 39 648 |
| | 30 | 32 | 39 690 |
| | 6 | 58 | 126 |
| | 66 | 58 | 252 |
| | 114 | 58 | 168 |
| | 115 | 58 | 210 |
| | 168 | 58 | 84 |
| | 159 | 5[illegible] | 42 |
| | 167 | 5[illegible] | 4 200 |
| „ქუთაისის ქიმ-ვიდეო“ | 97 | 01 | 45 |
| | 107 | 01 | 315 |
| | 116 | 01 | 225 |
| | 120 | 01 | 360 |
| | 124 | 01 | 225 |
| | 135 | 01 | 135 |
| | 172 | 01 | 270 |
| | 173 | 01 | 180 |
| | 177 | 01 | 45 |
| „გორგოტა“ | 248 | 39 | 45 |
| | 249 | 39 | 225 |
| | 250 | 39 | 90 |
| | 251 | 39 | 45 |
| | 252 | 39 | 90 |
| | 253 | 39 | 180 |
| | 254 | 39 | 135 |
| | 255 | 39 | 225 |
| | 256 | 39 | 45 |
| | 257 | 39 | 180 |
| | 258 | 39 | 90 |
| | 259 | 39 | 180 |
| | 260 | 39 | 45 |
| „ლაინი“ | 96 | 01 | 32 |
| | 184 | 01 | 6 400 |
| | 14 | 03 | 3 120 |
| | 1 | 08 | 16 |
| „ლილო“ | 122 | 01 | 225 |

## განცხადებები

**სააქციო საზოგადოება „აჩი-2“-ის მეანაბრე-აქციონერთა საყურადღებოდ!**

„აჩი-2“-ის მეანაბრე-აქციონერთა ერთ ნაწილს 1995 წელსა და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში რეგისტრაცია არ გაუვლია სააქციო საზოგადოების აქციონერთა სტატუსის იურიდიულად გასაფორმებლად.

„აჩი-2“ აგრძელებს მეანაბრე-აქციონერთა რეგისტრაციას 1996 წლის 15 მარტამდე ოფისის მისამართზე: დალმაშენებლის 75, ამავე დროს კატეგორიულად აცხადებს, რომ ის პირები, ვინც არ გაივლის რეგისტრაციას 15 მარტამდე, არ ჩაითვლებიან ს/ს „აჩი-2“-ის აქციონერებად და შესაბამისად, კარგავენ „აჩი-2“-დან შენატანი თანხების მიღების უფლებას

**ს/ს „აჩი-2“-ის სამეთვალყურეო საბჭო**

**თავაზობთ გაზეთ „კავკასიონში“ კვირის მანძილზე გამოქვეყნებული განცხადებებს**

ვაწარმოებთ უცხოური და ე.წ. სამამულო წარმოების ელექტრო აგრეგატების (დიზელის და ბენზინის ძრავიანი ელექტროგენერატორების) კვალიფიციურ მომსახურებას და შეკეთებას.

მოგვმართეთ ტელეფონით:

**36-24-73; 96-92-78.**

დარეკეთ დილის და საღამოს საათებში.

■ მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს მათემატიკასა და ფიზიკაში, სახლში მისვლით. ტელ.: 31-58-00 (იზო).

### ვაქირავებ

■ ოროთახიანი კერძო ბინა ვაკის პარკთან ახლოს, ტელეფონით, ფასი 150§ (შესაბამისი კურსით). ტელ.: 34-31-28.

■ საბურთალოს ქუჩაზე, ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას, მეროთხე სართულზე, ტელეფონით, მაცივრით, ავეჯით ან უავეჯოდ. ცნობისთვის დარეკეთ: 22-57-48.

■ ოროთახიან, ლოჯიიან სუფთა ბინას 5 სართულიანი სახლის პირველ სართულზე, ბელეტაჟზე. ნაწილობრივ ავეჯით, ტელეფონით. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი“, რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანზე. ფასი – თვეში 150 დოლარი. ტელეფონი: 37-23-72. იკითხეთ მიხეილი.

■ ვერაზე 2-ოთახიან ბინაში ერთ ოთახს 2 გოგონასთვის. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 29-18-06.

### იყიდება

■ წყნეთში 2 სართულიანი კორპუსის 1 სართ. 2 ოთახიან, იზოლირებულ ბინას, (სამზარეულო, აბაზანა, ტელეფონი, ავტოფარეხი, საბოსტნე ნაკვეთი). ბელეტაჟზე. მიშენების პერსპექტივით. ტ.: 29-86-55, 73-78-90.

■ სამოთახიან გარემონტებულ ბინას მიშინებული ლოჯიით, დიდუბეში — წყალტუბოს ქუჩაზე, მე-4 კორპ. 1 სართული, ბინა 51. ტელ.: 34-28-08. ფასი შეთანხმებით.

■ არმატურა №18, მე-2 კლასის, 60 ტ. 1 ტონის ფასი 350 ლარი. ტელ.: 98-56-10, 68-25-64.

■ გერმანული ლიცენზიით დამზადებული ექვსსიმიანი აკუსტიკური გიტარები. ტელ.: 96-34-51, 96-22-33.

■ **3 ოთახიანი ბინა სათავსოებით გ. ტაბიძის №7 ტელ: 99-75-13**

■ იყიდება ტანსაცმლის ორი კარადა. ტელეფონი: 22-46-89.

■ იყიდება გერმანული, ჰოლში დასადგმელი ტანსაცმლის ჩამოსაკიდებელი სარკით და ფეხსაცმლის სათავსოთი. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 36-56-23 (7 საათის შემდეგ, დოდო).

■ იყიდება საკერავი მანქანა „პოდოლსკი“. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 36-56-23. (7 საათის შემდეგ, დოდო).

■ ვყიდი ორ ძველ კარადას და საწერ მაგიდას ოფისისთვის. ფასი ნორმალური. ტელეფონი: 22-46-89.

■ ვყიდი სარეცხ მანქანას „ВЯТКА“, ახალს, შეფუთულ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 72-03-98.

■ ვყიდი ტყავის ფინურ სამეულს და საძინებელს „ავრორა“. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 96-89-17 (იკითხეთ ილო).

■ ვყიდი ან ვცვლი 3 ოთახიან (მიშენებული აქვს 2 ოთახი და 2 აივანი, სულ 5 ოთახი) სტანდარტულ, იზოლირებულ, გარემონტებულ ბინას ტელეფონით და ავტოფარეხით, წერეთლის გამზირზე, 8 სართულიანი კორპუსის მე-5 სართულზე, ოროთახიან ჩეხური პროექტის ბინაზე. გაყიდვის შემთხვევაში, ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: ... 11-22.

■ იყიდება ხარისხიანი, ... წარმოების, ორმაგი ... ფანჯრები. ჩარჩოს ზომა 180x90, 153 ცალი, ... — ჩარჩოს ზომა 240x90, ... ცალი, კარები — უჩარჩო ზომა 210x90, 60 ცალი. ... შეთანხმებით. ტელეფონი: 98-56-10; 53-64 (11-დან 16 საათამდე), 23-38-34; 35-00-33 (19 საათის შემდეგ).

**მომავლის სკოლა**

**არასახელმწიფო საერო სასწავლებელი «მომავლის სკოლა»**

**სკოლის და უფროსი ასაკის მსმენელებს იწვევს სკოლასთან არსებულ**

**ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე**

კურსებს გაუძღვებიან სკოლის პედაგოგები, რომლებსაც ამერიკული კორპორაცია A.C.E.-ს პროგრამით ინგლისურ ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება გააჩნიათ.

ასს „მომავლის სკოლის“ ოფისის მისამართი: ქ.თბილისი, ბარნოვის ქ. №69. შესასვლელი ეზოდან.

ტელეფონი: 23-31-99.

## კროსვორდი

თარაზულად: 1. უაზრო სიტყვები, აბდაუბდა. 2. შეიარაღებული თანმხლები ჯგუფი. 6. მეცნიერი, რომელიც შეისწავლის ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, წარმოშობას, რასებს. 11. მოწყობილობა მოსაქარგი ქსოვილის გადასა... 13. მორავიას რომანი. 15. ვაზის ლერწი. 16. ესპანური ღვინო. 19. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თურქეთში. 20. საბჭოთა წარმოების ფოტო და კინოფირი. 21. ქათმისოდენა უფრთო ფრინველი ახალ ზელანდიაში. 22. ... რომელსაც გადაჰყავდა მიცვალებულთა სულები მიწისქვეშა სამეფოს მდინარეზე. 23. ჯარის ერთ-ერთი ძირითადი გვარეობა. 24. ინგლისელი მწერალი ქალი. 26. მთელი რიგი ქართული ეკლესიების სახელწოდება. 28. წერილობი... ზეპირი პროტესტი ვინმეს წინააღმდეგ. 30. ვენესუელას ფულის ერთეული. 33. გადაშენებული ძუძუმწოვარი ცხოველი. 43. სტილი, რომელიც მოკლედ, სხარტად და მკაფიოდ გამოხატავს აზრს, გრძნობას. 44. ძლიერი მბრუნავი... 45. ზღაპრული ძალა, წყალობა, ნიჭი, სიკეთე. 46. იულ ბრინერის გმირი „შესანიშნავ შვიდეულში“. 47. საქართვე... მეორე პრეზიდენტი. 48. რუკა, რომელზედაც გრაფიკულად არის გამოსახული რაიმე მოვლენის სტატისტ... მონაცემები. 52. რუხი ფერის ფისისებური მასა გზის საფარისთვის. 55. ბრუნვა ზოგიერთ ენაში, რომელიც და... ალნიშნავს. 58. ალპინისტების გადასვლა მარშრუტით, რომელიც გადის მთაგრეხილის თხემზე და მოიცავს რამდ... მწვერვალს. 60. კაპიტალისტების ხანმოკლე გაერთიანება ამა თუ იმ საქონელზე ფასის ასაწევად. 65. მ... ტროფიალი. 66. ქალაქი ცენტრალურ მექსიკაში. 67. დაბა ქართლში. 69. ფოლადის ხის ან რკინა-ბეტონის ვერ... ლური ბოძი. 70. პატარა მტაცებელი ნადირი. 71. მომცრო ღამის ფრინველი. 72. თვე. 74. ორსახოვანი ღ... რომაულ მითოლოგიაში. 75. ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი. 76. ოხცილოგრაფით ჩაწ... მრუდი. 77. უფერული ან მოყვითალო ზეთოვანი სითხე, იყენებენ სალებავებისა და სხვადასხვა წამლის დასამ... ბლად. 78. მრავალწახნაგა სხეული.



შვეულად: 1. ეთიოპიის ძველი არაოფიციალური სახელწოდება. 2. ნოდარ დუმბაძის რომანის გმ... მოძღვრება ადამიანის მაიმუნისგან წარმოშობის შესახებ. 5. „ილიადას“ გმირი, მიკენის მეფე. 7. ოლქი სამხრ... მოსავლეთ საბერძნეთში. 9. ცალკე ადამიანი, პიროვნება. 10. ქალის სახელი. 12. ცხენის სხვადასხვაგვარი სვ... შალითა, იგივე– 14. მდინარე ქართლში. 16. საქართველოს ტელევიზიის ყოფილი საინფორმაციო პროგრ... ქვეყანა ევროპაში. 25. საქართველოს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე. 27. მანაკისთვის დასახასია... ქცევა. 28. ფეხბურთის გუნდი იტალიაში. 29. პირი, რომელიც სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური მო... ობისთვის ემზადება. 31. ოლქი იტალიაში. 32. ორგანიზმის შევალობა შხამის, დასნებოვნების მიმართ. მისი ... არ დაავადდეს ამა თუ იმ გადამდები სნეულებით. 33. ცბიერი, გაიძვერა. 34. იმამის ხელისუფლება. 35. სახელ... მთელ შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა. 36. ფანჯრის ან კარის ფრთა. 37. ქვა ან ნიჟარა, რომელზეც რელიეფ... ამოკვეთილია ჩუქურთმა. 38. კელტური ტომების სახალხო მგოსან-მომღერალი. 39. ხის ჩასაბერი მუსიკ... საკრავი. 40. მაჰმადიანი სწავლული ღვთისმეტყველი და სამართალმცოდნე. 41. ინდოეთსა და აღმოსავლეთ... სხვა ქვეყანაში კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ჯგუფი. 42. ისტორიული ოლქი ძველ საბერძნეთში, მთავარი... ათენი. 49. ბური, იგივე... 50. ლიტერატურული ან სხვა ნაწარმოების მიმთვისებელი. 51. XX საუკუნის უდიდესი... 53. მდინარე თურქეთსა და ერაყში. 54. XVII საუკუნის იტალიელი ფერმწერი. 56. რელიეფის თავისებური ფ... იმ ადგილებში, სადაც ნიადაგი შედგება მსხვილმარცვლოვანი ხსნადი ქანებისგან. 57. რკინის პატარა ნიჩაბ... ასაფხეკად, გვხვდება „შუშანიკის წამებაში“. 59. რელიგიური სექტის წევრი. 61. ქვეყანა ევროპაში. 62. მეცნ... დარგი. 63. თბილისის ისტორიული უბანი. 64. ოჯახის დიდად მოყვარული კაცი.

კუთხეებში: 8. ხორციანი კერძი. 18. დაავადება. 68. გერმანელი კომპოზიტორი. 79. შუა საუკ... ბრალდებულის წამება დამნაშავეობა-უდანაშაულობის დასადგენად.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ფოფანა. 4. როშტო. 7. ბარნსი. 10. ნეტო. 11. ფოჯა. 12. ბარი. 13. ინსი. 14. კინი. 16. ფლოე. 22. ალთაი. 23. კროლი. 24. ევანი. 26. უნალი. 27. კონტი. 28. გოგია. 31. პორტუ. 32. ჰავრი. 33. ბრაგა. 38. არაუ. 40. მილა. 43. ლანი. 46. სიკი. 47. პელე. 48. ალგა. 49. ალოფსი. 50. ასადი. 51. ოსკარი.

შვეულად: 1. ფაბრი. 2. ფერი. 3. ანცი. 4. როი. 5. შირეა. 6. ოფუ. 7. ბაჯი. 8. ნენე. 9. ილინი. 15. ნილი. 17. ლილი. 18. ბენფიკა. 19. პარკერი. 20. არბიტრი. 21. კანტონა. 25. ანი. 29. ვავა. 30. ეგლი. 34. მალტა. 35. ფეოლა. 36. არისი. 37. ენცო. 39. რეპი. 41. ... 42. იარა. 44. ვეა. 45. რაი.

დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი
**ვასილ მაღლაფერიძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა ვეშაპიძე**
გენერალური დირექტორი **ვახტანგ სალია**
პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაზა ტალახაძე**

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.